„საქართველოსთვის ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება" A2

საქართველოს "ვარდების რევოლუცია" შესაძლოა სხვაგანაც განმეორდეს A8

კვირა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 13 დეკემბერი, 2003 წელი. №322 (534)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ვახტანგ რჩეულიშვილი - ისტორიის "სავანეში"

"ვარდების რევოლუციამ" არაერთი პარტიული ლიდერის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. პირველი, ვინც შექმნილ რეალობას თვალი გაუსწორა, ვახტანგ რჩეულიშვილია. გუშინ მან "სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა.

A2

## ეკონომიკა

### ეკონომიკის ექსპერტები - რკინიგზის რეფორმირების მოდელზე...

"24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ უახლოეს დღეებში მოხდება რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 12-15-მდე, დროებითი მმართველის დანიშვნა და რკინიგზის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება. "24 საათმა" ეკონომიკის ექსპერტებს ამ გადაწყვეტილების კომენტირება სთხოვა.

A4

## უცხოეთი

### ჩადრი - პოლიტიკური სიმბოლო

საფრანგეთის ყველა სკოლაში მუსლიმ გოგონებს უნდა აეკრძალოთ ჩადრის ტარება, სასწავლებლებში უნდა გამოიკრას რესპუბლიკის დევიზი: "ძმობა, ერთობა, თანასწორობა,"

A5

## საზოგადოება

### ახალ ხელისუფლებას ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ეპატიჟებიან

საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრი, 6 თვეა, ფუნქციონირებს და ჯერ კიდევ სჭირდება იმის მტკიცება, რომ სრულად ამართლებს სახელს - "ეროვნული". მის წინააღმდეგ არაერთგზის გაილაშქრეს თავად იმ ექიმებმა, რომლებიც კლინიკაში სამუშაოდ ვერ მოხვდნენ და, რომელთაც მიაჩნიათ, რომ, ეროვნული სამედიცინო ცენტრის სახით, ძლიერი კონკურენტი გაუჩნდათ.

A6

## სამართალი

### "კანონიერი ქურდები" დახმარებას "თავისუფლების ინსტიტუტს" სთხოვენ

რუსთავის პოლიციამ 10 ნოემბერს დილით დაკავებული "შავი" ავტორიტეტები კახა შუშანაშვილი და კობა შემაზაშვილი იმავე საღამოს სახლებში გაუშვა. პოლიციას მათზე საქმე არ აღუძრავს, სამაგიეროდ შეთავაზება კი ასეთი იყო - გიშვებთ, ოღონდ ქალაქიდან წადით. 11 დეკემბერს "კანონიერმა ქურდებმა" საკუთარი უფლებების დასაცავად "თავისუფლების ინსტიტუტის" რუსთავის ოფისს მიმართეს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 18 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 17 |
| თელავი | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1575 |
| ევრო | 2.6233 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7521 |
| რუბლი | 0.0733 |

# ხალხმა თავისი კონსტიტუციური ძალაუფლება განახორციელა

ინტერვიუ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, სამართლის თეორიის და ადამიანის უფლებათა სპეციალისტთან ბიძინა სავანელთან

**- ბატონო ბიძინა, გთხოვთ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასოთ 22-23 ნოემბრის მოვლენები. ხალხის პარლამენტში შეჭრა - იყო თუ არა ეს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა?**

- არა! და აი, რატომ:

მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, არჩევნების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების და ხელისუფლების დანაწილების შესახებ საქართველოს კონსტიტუციით და სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის თანახმად, ყოფილ პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა, დაენიშნა პარლამენტის სხდომა საარჩევნო ხანდაზმულობის ვადაში და ვალდებული იყო, დალოდებოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატებისათვის განკუთვნილი ადგილები სწორედ რომ თვითნებურად და კანონსაწინააღმდეგოდ დაიკავეს იურიდიულად არაუფლებამოსილმა პირებმა. ერთადერთი **იურიდიული პირი**, ვინც იმ დროს დარბაზში კანონიერად იმყოფებოდა, იყო საქართველოს პრეზიდენტი, დანარჩენები იყვნენ **ფიზიკური პირები**, რადგან უზენაესი სასამართლოს მიერ არჩევნების შედეგები არ იყო აღიარებული და, შესაბამისად, მათი უფლებამოსილება არ იყო ცნობილი.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საპარლამენტო არჩევნების შედეგები, რითაც პოსტ-ფაქტუმ კანონსაწინააღმდეგოდ ცნო არაუფლებამოსილი პირების მიერ პარლამენტში სადეპუტატო ადგილების დაკავება.

ამრიგად, ხალხის "შეჭრა" პარლამენტის დარბაზში იყო კონსტიტუციური და, აქედან გამომდინარე, სამართლიანი, რადგან, ვიმეორებ, პარლამენტის სხდომა იყო კანონსაწინააღმდეგო. ხალხმა აღკვეთა უკანონობა. უზენაესმა სასამართლომ არაპირდაპირ კანონიერი ძალა მიანიჭა თვითმარქვია პარლამენტის გარეკვას. ამრიგად, უზენაესმა სასამართლომ წერტილი დაუსვა დავას: იყო თუ არა ლეგიტიმური 22 ნოემბერს შეკრებილი პარლამენტი.

**- რამდენად კანონიერი იყო რუსთაველზე მიმდინარე აქცია და ხალხის მიერ კანონსაწინააღმდეგო გზით მოხდა თუ არა პრეზიდენტის იძულება, მიეღო გადაწყვეტილება გადამდგომის შესახებ?**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართველი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისაგან ცვლილებებს ელიან

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისაგან მათთვის სასიკეთო ცვლილებებს ელიან. ელიან, რომ ქვეყანაში შეიქმნება ისეთი ბიზნესგარემო, სადაც ყველაფერი კანონიერად და კანონის მიხედვით დალაგდება, სადაც თანასწორუფლებიანი და ჯანსაღი კონკურენციის პირობები იარსებებს და ეს ყველაფერი კანონმდებლობით იქნება დაცული. ერთი სიტყვით, ქართველი ბიზნესმენები ლეგალური და ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას იმედოვნებენ. ქართული საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ინიციატივით, "შერატონ მეტეხი პალასში" პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილთან და სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მსხვილი, საშუალო თუ მცირე ბიზნესის თავკაცები ესწრებოდნენ.*

გაგრძელება A4 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბიზნესმენთა მოლოდინი და ეჭვები.*

# მერაბ ჟორდანია პატიმრობაში რჩება

ინგა ალავიძე
სოფიკო ჩხაიძე

*„ხავერდოვანი რევოლუცია" ქართულ სამართალწარმოებაში დაწყებული გადატრიალებით, წლების წინ პროკურატურასა და შსს-ში აღძრული და შემდეგ დაარქივებული რეზონანსული საქმეების სკანდალური გახსნით გრძელდება. სამართალდამცველი უწყების თავკაცების მიერ დაწყებული ანტიკორუფციული შეტევა გუშინ პრაქტიკული ქმედებით დაგვირგვინდა. კანონდამცველთა რისხვის პირველი ობიექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გახდა.*

მერაბ ჟორდანია გუშინ, გამთენიისას, თბილისის აეროპორტში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს და შსს-ში წაიყვანეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პარიზში გამგზავრებას აპირებდა.

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის შალვა ლონდარიძის ინფორმაციით, მერაბ ჟორდანია ქართველმა მესაზღვრეებმა, დაახლოებით, დილის 5 საათსა და 20 წუთზე დააკავეს, მას შემდეგ, რაც აეროპორტის ტერიტორიაზე

გაგრძელება A3 გვერდზე



*გუშინ დილით მერაბ ჟორდანია დააპატიმრეს.*

# რას იგებს და რას კარგავს სეპარატისტული რეჟიმების მხარდამჭერით რუსეთი სამხრეთ კავკასიაში

*რუსეთის მხრიდან საქართველოს კიდევ ერთი ავტონომიური სუბიექტის - აჭარის - მიმართ გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღების ფაქტმა, ისედაც დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობები კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი გახადა. საქართველოს გარდამავალმა ხელისუფლებამ დიპლომატიურ დემარშს მიმართა და თბილისში გამოიძახა საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში. ამასთან, საქართველოს სეპარატისტული რეჟიმებისთვის კრემლის უაპელაციო მხარდაჭერას გულგრილი არც ზოგიერთი ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი დაუტოვებია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამგვარი პოლიტიკით რუსეთი საბოლოოდ დაკარგავს მეგობრებს სამხრეთ კავკასიაში.*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

რუსეთის სახელმწიფო დუმის 7 დეკემბრის არჩევნებში პროსახელისუფლებო და ნაციონალისტური ძალების გამარჯვება საქართველოსთვის კიდევ ერთი არამეგობრული ნაბიჯით, თბილისთან შეუთანხმებლად აჭარის რეგიონის მცხოვრებლებისთვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შექმნით აღინიშნა. ნიშანდობლივია, რომ აქამდე ანალოგიური რეჟიმი მოქმედებდა მხოლოდ ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელთა სეპარატისტული მთავრობები არ აღიარებენ საქართველოს იურისდიქციას. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში ნაციონალისტური ძალების მოსვლას ინგლისურენოვან ჟურნალ "მოსკოუ ტაიმს"-ში საგანგებო სტატია მიუძღვნა დამოუკიდებელმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა. რუსმა ექსპერტმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ნაციონალისტებს ყოველთვის აქვთ ცდუნება, აღადგინონ ძველი კავშირი. ასეთი რეინტეგრაციის მთავარ ინსტრუმენტად კი სამხედრო ბაზები და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა მიაჩნიათ. იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა საამისო ეკონომიკური და სამხედრო ძალა რუსეთში.

**"ჩვენთან, რუსეთში, ნაირნაირი იდეები არსებობს; გამოითქმებოდა აზრი, რომ, აი, ამერიკა ჩაეფლო ერაყში, ევროპა კი ამერიკის წინააღმდეგ ერაყის საკითხში აღმოჩენილი დახმარებისთვის სამუდამოდ მადლიერია რუსეთისა; რომ პუტინი ყველა ევროპელი ლიდერის მეგობარია და დადგა დრო, რომ რუსეთმა აღადგინოს თავისი უპირობო გავლენა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელ სივრცეზე არა, მის ნაწილზე მაინც. მაგრამ ეს ძალიან დიდი შეცდომაა. ჯერ ერთი, რუსეთს**

გაგრძელება A2 გვერდზე

# სულხან მოლაშვილი თავს იზღვევს

*როგორც ჩანს, სხვადასხვა სისხლის სამართლის ქმედებებში დადანაშაულებულმა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თუ ჯერ კიდევ თანამდებობაზე მყოფმა მაღალჩინოსნებმა თავდაცვის ერთობლივი სისტემა შეიმუშავეს. "თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა" - ამ პრინციპით მოქმედება ლევან მამალაძის შემდგომ კონტროლის პალატის თავმჯდომარემ განაგრძო. სულხან მოლაშვილმა მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიების უსაფუძვლობის დასადასტურებლად მასზე პოლიტიკური ზეწოლის მცდელობის ფაქტები და კონტროლის პალატის შესახებ ბოლო სამი წლის მანძილზე გაკეთებული ყველა დადებითი გამოხმაურება გაახმოვანა.*

სოფიკო ჩხაიძე

რეალურად, სულხან მოლაშვილისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ჯერ არავის დაუბრალებია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი არ განიხილება. თბილისის პროკურატურამ მხოლოდ იმ ფაქტის გამო აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომ კონტროლის პალატა რიგ სახელმწიფო უწყებებში ჩატარებული რევიზიის ოქმებს შეგნებულად ჩქმალავდა, რაც სრულიად ლოგიკურია, ანგარების გარეშე არ მოხდებოდა. საქმე ზოგადად კონტროლის პალატის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამოა აღძრული და პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციისთვის თბილისის პროკურატურამ უკვე მიმართა სასამართლოს, ხოლო გუშინ საღამოს მოიპოვა კიდეც უფლება ამოიღოს და შეამოწმოს კონტროლის პალატის მიერ 2000 წლიდან დღემდე ჩატარებული შემოწმებების დოკუმენტაცია.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ევროკავშირი კონსტიტუციას განიხილავს

*გუშინ და დღეს ბრიუსელში გადამწყვეტი დღეებია. იქ ევროკავშირის სამიტი იმართება, სადაც კავშირის წევრი 15 და წევრობის კანდიდატი 10 ქვეყნის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები ერთიანი ევროპის კონსტიტუციაზე მსჯელობენ. სხვადასხვა ზომისა და გავლენის, განსხვავებული ინტერესების მქონე სახელმწიფოებს სამიტის დაწყებამდე არ ჰქონდათ შეთანხმებული კონსტიტუციის ცალკეული დეტალები. ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის ე.წ. ხმების გადანაწილების პრინციპი, ანუ ის, თუ როგორი იქნება თითოეული ქვეყნის კონტროლი ევროკავშირის ინსტიტუტებზე. განსახილველი საკითხების სირთულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ორდღიანი სამიტი კონსტიტუციის მიღებით არ დასრულდება. თუმცა, ევროპული ინტეგრაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ ურთულესი კრიზისების დაძლევა ხშირად ბოლო შეხვედრებზე ხერხდებოდა.*

დავით აფრასიძე

ერთიანი ევროპის შენება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 50-იან წლებში დაიწყო და თავდაპირველად იგი 6 ქვეყანას მოიცავდა. მაშინ ამ იდეის უმთავრესი ფუნქცია ევროპულ ერებს შორის საუკუნოვანი მტრობის დასრულება იყო. ერთიანი ევროპის იდეა ემსახურებოდა ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიც იყო გერმანიის საკითხის მოგვარება, საფრანგეთის ინტერესების დაკმაყოფილება, იტალიის შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფა, ევროპის პატარა ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა, ატლანტიკური თანამშრომლობის ფარგლებში ევროპის პოზიციების გაძლიერება და აღმოსავლეთიდან პოტენციური საფრთხის განეიტრალება. თავდაპირ`ველად ერთიანი ევროპა, ძირითადად, ეკონომიკურ ერთობას წარმოადგენდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B1 ნომრის სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# „საქართველოსთვის ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება"

## ასეთია ეუთო-ს მისიის შეფასება

სოფო ბუკია

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ოფისმა, საქართველოში მოახლოებული არჩევნების მონიტორინგის განსახორციელებლად, კვლავ ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი მისია დააარსა.

დამკვირვებელთა მისიის ოფისს ელჩი კრეიგ ჯენესი უხელმძღვანელებს. ჯენესი კანადელია. ორი წლის განმავლობაში იგი სკოპიეში ეუთო-ს მისიას ხელმძღვანელობდა. იგი ასევე გახლდათ ეუთო-ს კოსოვოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, სადაც, სხვა მოვალეობებთან ერთად, კოსოვოში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობასაც იკავებდა. ჯენესი სამი წლის განმავლობაში ეუთო-ს მისიით მივლინებული იყო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში.

**“საქართველოსთვის ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დემოკრატიული საარჩევნო პროცესისადმი ხალხის ნდობა აღადგინოს. მართალია, ჩვენ ძალიან მცირე დრო გვაქვს არჩევნებისთვის მოსამზადებლად, მაგრამ, ალბათ, სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, დროზე მეტად, პოლიტიკური კეთილი ნებაა საჭირო, რაც, ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებას აქვს,”** – განაცხადა ჯენესმა გუშინ სასტუმრო “მარიოტში” გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ძალიან ბევრი რამე, მათ შორის - საერთაშორისო დაფინანსების დროულად მიღებაც, დამოკიდებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაზე. ჯენესი არ აკონკრეტებს, კმაყოფილია თუ არა ახალი საარჩევნო კომისიის მუშაობით. **“ცესკო-ს მუშაობის შესახებ რაიმეს თქმა ჯერ ადრეა, თუმცა, ვფიქრობ, საქართველოში ღირსეული არჩევნები ჩატარდება. საქართველო ამას იმსახურებს,”** – აღნიშნა მან.

გრძელვადიანი მისიის შემადგენლობა, რომელსაც ჯენესი ხელმძღვანელობს, დაკომპლექტებულია არჩევნების 13 ექსპერტისა და 24 გრძელვადიანი დამკვირვებლისაგან, რომლებიც ქვეყნის რეგიონალურ ცენტრებში მუშაობენ.

ისინი დააკვირდებიან და გააანალიზებენ საარჩევნო პროცესს, პოლიტიკური კანდიდატებისა და პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების, მედიის, იურიდიული მხარის საქმიანობას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არჩევნების დღეს და გასაჩივრების პროცედურებს.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დაახლოებით, 450 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრი ქვეყნებიდან, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის წევრებთან ერთად, დაიწყებენ მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა ხმის მიცემის, ხმის დათვლისა და შედეგების გამოქვეყნების პროცედურებს დააკვირდნენ. ეუთო-ს მოკლევადიან დაკვირვებას უხელმძღვანელებს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ბრუს ჯორჯი, რომელიც რამდენიმე დღის წინ საგანგებო კოორდინატორად დაინიშნა.

როგორც ჯენესმა განაცხადა, არჩევნების შემდგომ დღეს, 5 იანვარს დამკვირვებელთა მისია გამოსცემს განცხადებას წინასწარი შედეგებისა და დასკვნების თაობაზე. საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან, დაახლოებით, ერთ თვეში კი გამოცემული იქნება სრული მოხსენება.

სამართლიანია თუ არა აჭარის ლიდერის პოზიცია არჩევნების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით? ამ კითხვას ჯენესმა დიპლომატიურად აუარა გვერდი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ **“ბოიკოტი არ არის კარგი სტრატეგია. არჩევნების ბოიკოტირება, პირველ რიგში, უარყოფით გავლენას იქონიებს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც არჩევნებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ამით მოქალაქეების ინტერესები დაირღვევა,”** – განაცხადა ჯენესმა.

# ვახტანგ რჩეულიშვილი - ისტორიის "სავანეში"

გიორგი ასანიშვილი

*"ვარდების რევოლუციამ" არაერთი პარტიული ლიდერის პოლიტიკური კარიერა შეიწირა. მართალია, მათში ჯერ კიდევ მძლავრობს თვითგადარჩენის ინსტიქტი და, არსებობის შესანარჩუნებლად, ისინი თავგამოდებით იბრძვიან, მაგრამ შინაგანად თავადაც კარგად ხვდებიან, რომ მათმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. პირველი, ვინც შექმნილ რეალობას თვალი გაუსწორა, ვახტანგ რჩეულიშვილია. გუშინ მან "სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა.*



*"რა უნდა ვუთხრა ხალხს ისეთი, რაც აქამდე არ მითქვამს? ამიტომ, წასვლა სჯობია".*

**"რა უნდა ვუთხრა ხალხს ისეთი, რაც აქამდე არ მითქვამს? ამიტომ, წასვლა სჯობია - მეც დავისვენებ, ხალხიც დაისვენებს,"** - ღიმილით ემშვიდობება აწ უკვე ყოფილი ნომერ პირველი სოციალისტი თანაპარტიელებს. თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად ვახტანგ რჩეულიშვილი იმას ასახელებს, რომ **"ხალხმა რევოლუციური არჩევანი გააკეთა და ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა წყლის ნაყვა იქნება."**

გარდა ამისა, თავისი გადადგომით, რჩეულიშვილს სურს, “სოციალისტური პარტია” იმ შემოტევებისგან დაიცვას, რომელიც, მისი აზრით, მის პერსონას უკავშირდება.

პარტიული მოღვაწეობის შეწყვეტის მიუხედავად (რჩეულიშვილი პარტიის რიგით წევრად რჩება), “სოციალისტური პარტიის” ყოფილი ლიდერი დეპუტატის მანდატზე და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე უარის თქმას არ აპირებს. იგი არ მალავს, რომ ამას მერკანტილური მოსაზრებით აკეთებს.

**"მე ისევე უკანონოდ ვარ ვიცე-სპიკერი, როგორც ამჟამინდელი პარლამენტის სხვა ხელმძღვანელი პირები. ამიტომ, რადგან ისინი არ ტოვებენ თანამდებობებს, ამას არც მე გავაკეთებ. მით უმეტეს, ჩემი სტატუსი საზღვარგარეთ მოგზაურობებს გამიადვილებს,"** - აცხადებს რჩეულიშვილი, რომელიც საპარლამენტო პრივილეგიების გამოყენებას უახლოეს დღეებშივე აპირებს: ორშაბათს ის, რამდენიმე დღით, იერუსალიმში მიემგზავრება, რათა "საქართველოს გამარჯვებისთვის ილოცოს".

დიდ პოლიტიკას გარიდებული რჩეულიშვილი მომავალში იმის გაკეთებას აპირებს, რაც, მისივე მტკიცებით, კარგად გამოსდის: იმუშავებს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაზე, მიხედავს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ფორუმს, დაწერს მონოგრაფიას, რომლის პირობითი სახელწოდება იქნება "მშვიდობიანი კავკასია"...

ნოემბრის რევოლუციის გადასახედიდან, რჩეულიშვილი უკვე ნანობს იმ არჩევანს, რომელიც მან, თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძისა და სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ გააკეთა. **"ჩემ მიერ ამ ბლოკის გინება არ გამოდის, თორემ, მას დიდი პერსპექტივა რომ არ ჰქონდა, თავიდანვე ნათელი იყო... რუსები მეუბნებოდნენ, შევარდნაძესთან ყოფნა არაფერში გამოგადგებაო, მაგრამ მე მაინც მეგონა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე,"** - არასწორად ჩასულ პოლიტიკურ ფსონზე ფიქრი თავიდან ვერ მოუშორებია სოციალისტების ექსთავმჯდომარეს. თუმცა, იგი სულაც არ არის იმის გამო გაბოროტებული, რომ მისი პარტიული კარიერა რევოლუციამ შეიწირა. მეტიც, ქვეყანაში მომხდარ კარდინალურ ცვლილებებს იგი, ერთგვარად, გაგებითაც კი ხვდება.

**"შეიძლება, კონფლიქტური პიროვნება ვიყო, მაგრამ რევოლუციონერი არა ვარ. მიუხედავად ამისა, იმ ხალხისაც მესმის, ვინც შევარდნაძის მთავრობა ჩამოაგდო. როცა ხალხს რაღაც არ სურს, აღარ უნდა დაუწყო მტკიცება, გინდა თუ არა, მე ვარ მართალიო,"** - აღნიშნავს რჩეულიშვილი.

რეალობას შეგუებული სოციალისტი პარტიულ სადავეებს ირაკლი მინდელს აბარებს. მისი ხელმძღვანელობით, მთავარი კომიტეტი ორ კვირაში შეიმუშავებს პარტიის რეორგანიზაციის გეგმას, რომელსაც ყრილობაზე გაიტანენ დასამტკიცებლად. სოციალისტების უმაღლესი პარტიული ფორუმი კი რამდენიმე თვის შემდეგ გაიმართება. მისი ზუსტი დრო საპარლამენტო არჩევნების თარიღის გათვალისწინებით განისაზღვრება.

“სოციალისტური პარტიის” ახალი ლიდერი სამომავლო გეგმებზე დაწვრილებით საუბრისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. ირაკლი მინდელი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პარტიის სახელწოდება არ შეიცვლება. მისი თქმით, სხვა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან “სოციალისტური პარტიის” შერწყმა ასევე გამორიცხულია.

# რას იგებს და რას კარგავს სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერით რუსეთი სამხრეთ კავკასიაში

პირველი გვერდიდან

**ამისთვის საჭირო არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური და არც სამხედრო ძალა არ მოეპოვება. გარდა ამისა, ეს მცდელობა წააწყდება სასტიკ წინააღმდეგობას დასავლეთისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ელიტის მხრიდან, რომელსაც არ სურს რუსეთთან ინტეგრირება. ეს საკმაოდ სულელური პოლიტიკაა, მაგრამ იგი ახლა დომინირებს რუსეთში.”**

პაველ ფელგენგაუერის თქმით, სწორედ დასავლეთის მხრიდან მკაცრი ზეწოლის გამო ვერ მოახერხა რუსეთმა მოლდოვისთვის თავს მოეხვია ხელშეკრულება, რომელიც ამ ქვეყნის სამ დამოუკიდებელ სუბიექტად – დნესტრისპირეთის, გაგაუზიისა და საკუთრივ მოლდოვის რესპუბლიკად გაყოფას ითვალისწინებს. სამხედრო ექსპერტის აზრით, იგივე წინააღმდეგობა მოჰყვება რუსეთის მცდელობას, საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანოს კრემლის ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური ძალა, “ჯანსაღი ძალა”, როგორც მას რუსეთში მოიხსენიებენ. თანაც, საქართველოს წინააღმდეგ კრემლის მხრიდან ნებისმიერი ძალისმიერი ბერკეტის ამოქმედების მცდელობა და იმის იმედზე ყოფნა, რომ აჭარასა და ახალქალაქში განლაგებული მცირე სამხედრო ბაზებით მოსკოვი შეცვლის სამხედრო-პოლიტიკურ სურათს რეგიონში, ფელგენგაუერის აზრით, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს ჯარების შემოყვანითაც დასრულდეს:

**“რუსეთში ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ სულ ახლოს იმყოფება თურქეთის მესამე საველე არმია. რუსეთის ნებისმიერი მცდელობა, ძალის გამოყენებით მოიყვანოს თბილისში “ჯანსაღი ძალები”, საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება და მე არსებითად არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქართველოში ნატო-ს სამშვიდობო ძალები გამოჩნდეს. ეს შეიძლება იყოს ამერიკული დახმარებით შექმნილი თურქეთის კონტინგენტი. ამისთვის საკმარისია აღმოსავლეთ ანატოლიიდან გადმოსროლილი იქნეს იქ განლაგებული სამხედრო ძალების მცირე ნაწილი, რომელიც სწრაფად შეიწოვს საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ძალას. ანუ მოსკოვში თითქმის არ ითვალისწინებენ იმ ფაქტორს, რომ საქართველოს გვერდით არის ძლიერი სამხედრო სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ძალით რუსეთს ათჯერ აღემატება აღნიშნულ რეგიონში და რომლისთვისაც ჩვენი პატარ-პატარა გარნიზონები არაფერს წარმოადგენს.”**

ცნობილი რუსი ექსპერტი სახიფათო დაბნეულობას უწოდებს 23 ნოემბრის თბილისის მოვლენების გამო რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დამკვიდრებულ აზრს საქართველოს მცირე სახელმწიფოებად დაშლის შესახებ. ამ აზრს რუსეთის საინფორმაციო საშუალებები განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ ნოემბრის ბოლოს მოსკოვში მიმდინარე იმ კონსულტაციების ფონზე, რომელშიც აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები ღებულობდნენ მონაწილეობას. პაველ ფელგენგაუერი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პერმანენტული დაშლა, რაზეც ბევრი ფიქრობს რუსეთში, არ მოხდება და რომ რუსეთის გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის უფრო გონივრულია, არა სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა, არამედ იმ პოლიტიკურ ლიდერებთან თანამშრომლობა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებაში “ხავერდოვანი რევოლუციის” შემდეგ მოვიდნენ:

**“მე ვფიქრობ, ყოველგვარი სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერასა და სამსახურის გაწევას ასლან აბაშიძისთვის, რომელსაც იმედი აქვს, რომ ამის შედეგად საქართველოს ხელისუფლებას ჩაუდგება სათავეში, აჯობებს მოსკოვმა სწორედაც რომ იმ ძალებს დაუჭიროს მხარი, რომელთაც სურთ ააშენონ უფრო სიცოცხლისუნარიანი და ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა, ვიდრე ეს შევარდნაძის დროს იყო.”**

ფელგენგაუერის თქმით, ასეთი პოლიტიკით რუსეთი თავის გავლენას ამიერკავკასიაში გაცილებით გრძელვადიანი პერსპექტივით შეინარჩუნებს, ვიდრე იმით, რომ ისარგებლოს საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებით და სიტუაციის დესტაბილიზებით შეეცადოს, მას რაღაც ნაწილები წაგლიჯოს.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ასეთ მოსაზრებებს სულ უფრო ნაკლები მომხრე ეყოლება 7 დეკემბრის არჩევნებით დაკომპლექტებულ ახალ სახელმწიფო სათათბიროში, რაც საქართველოს გარდამავალ ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს.

# ხელმოწერების შეგროვება მხოლოდ შვიდმა კანდიდატმა შეძლო

*გუშინ, საღამოს ექვს საათზე ამოიწურა ის ვადა, რომელიც, კანონის თანახმად, პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატებს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად ჰქონდათ მინიჭებული. როგორც მოსალოდნელი იყო, საკუთარი გულშემატკივრების ავტოგრაფთა საკმარისი რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე მათგანმა წარმოადგინა.*

თამარ მჭედლიშვილი

ჯერ კიდევ ორი დღის წინ, ცესკო-ში მხარდამჭერთა ხელმოწერები წარადგინეს მიხეილ სააკაშვილმა, ქართლოს ღარიბაშვილმა და ზურაბ ქელეხსაშვილმა. გუშინ კი ცესკო-ში უკვე თემურ შაშიაშვილის, იგორ გიორგაძის, როინ ლიპარტელიანისა და ზაზა სიხარულიძის ნდობით აღჭურვილი პირები გამოჩნდნენ. ასე რომ, საარჩევნო მარათონს უკვე რვა კანდიდატი გამოეთიშა. თუმცა შესაძლოა, 17 დეკემბრის შემდეგ დარჩენილთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდეს, რადგან სწორედ ამ დღეს ცესკო-მ კანდიდატები რეგისტრაციაში უკვე ოფიციალურად უნდა გაატაროს.

პირველ რიგში, ასეთი საშიშროება საქართველოს უშიშროების ექსმინისტრ იგორ გიორგაძეს ემუქრება, რადგან, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სამართალდამცავი სტრუქტურები კვლავ დაჟინებით იმეორებენ, რომ იგი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობდა და, შესაბამისად, ავტომატურად უნდა გამოეთიშოს წინასაარჩევნო მარათონს.

ამის მიუხედავად, იგორ გიორგაძე უკვე ღიად აცხადებს, რომ იგი მზად არის, დაამტკიცოს, რომ ამ დროის მანძილზე ნამდვილად ცხოვრობდა საქართველოში. თუმცა ამის საშუალება მხოლოდ მაშინ მიეცემა, თუკი ცესკო რეგისტრაციაში გაატარებს.

მანამდე კი წინასაარჩევნო კამპანიას, იგორ გიორგაძის მაგივრად, მისი მეუღლე ქეთევან გიორგაძე აწარმოებს.

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სწორედ მან შეიტანა 280 000 მხარდამჭერის ხელმოწერა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, გადასამოწმებლად, მხოლოდ 81 ხელმოწერა დაიტოვა.

გუშინ ქეთევან გიორგაძე აცხადებდა, რომ მის მეუღლეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არაკონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეობა უჭერს მხარს და, მათ შორის, გალის რაიონისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებიც არიან. სხვათა შორის, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია იგორ გიორგაძის საცხოვრებელი მისამართიც. ოღონდ, წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, ამ ცნობის მიხედვით, იგი კუტუზოვის ქუჩაზე ცხოვრობს. ორი ნოემბრის არჩევნების წინ წარმოდგენილ ცნობაში კი სულ სხვა მისამართი იყო მითითებული – ზნაურის რაიონი, სოფელი ძაგანა.

**“ჩემი მეუღლე ახლაც საქართველოშია და, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია მას რეგისტრაციაში არ გაატარებს, ეს მხოლოდ პოლიტიკური მოტივით იქნება განპირობებული”,** – ამბობს ქეთევან გიორგაძე და იქვე დასძენს, რომ ამ შემთხვევაში, მისი მხარდამჭერები ამ ფაქტს პოლიტიკურ შეფასებას მისცემენ და სასამართლოში გაასაჩივრებენ.

შედარებით მოკრძალებული აღმოჩნდა თემურ შაშიაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა – ცესკო-ში სულ 70 ათასი ხელმოწერაა წარმოდგენილი. მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, ლევან რობაქიძის თქმით, სიები მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვდა და თემურ შაშიაშვილი აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ორშაბათიდან დაიწყებს. საარჩევნო შტაბის უფროსი პრეზიდენტობის კანდიდატის გამარჯვების შანსებზე საუბრისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებული მზარდი აგრესიის პირობებში, პროგნოზის გაკეთება ძნელია.

გუშინ ცესკო-ში რეგისტრაციისთვის საკმარისი ხელმოწერები წარადგინეს როინ ლიპარტელიანმა (60 ათასი) და ზაზა სიხარულიძემ (56 ათასი ხელმოწერა).

როგორც უკვე ვთქვით, ცესკო ამ ხელმოწერების გადამოწმებას რამდენიმე დღეს მოანდომებს, ხოლო სხდომა, სადაც კანდიდატთა რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს, 17 დეკემბერს გაიმართება.

და ბოლოს: გუშინ გაიმართა ცესკო-ს საკმაოდ ხანმოკლე სხდომა, რომელზეც გადაწყდა რომ, ადგილებზე საარჩევნო უბნების შექმნამ რამდენიმე დღით გადაიწიოს.

გუშინვე ზურაბ ჭიაბერაშვილი შეხვდა ეუთო-ს მისიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს. საუბარი არჩევნების დაფინანსების საკითხებს შეეხო. როგორც მოგვიანებით “24 საათს” ცესკო-ში განუცხადეს, ამ მხრივ შეფერხებები არ იქნება და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დაფინანსებაში დონორი ორგანიზაციები დაგვეხმარებიან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** “აღორძინების" ყოფილი წარმომადგენელი ვალერი გელბახიანი გამორიცხავს, რომ აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მიერ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება დაძაბავს და გაამწვავებს ურთიერთობას აჭარის ხელისუფლებასა და აჭარის მოსახლეობას შორის. გელბახიანის განცხადებით, აჭარის ბოიკოტი უფრო პოლიტიკური პროტესტის ფორმა იქნება, ვიდრე არჩევნებისთვის ხელის შეშლის ადმინისტრაციული ფორმა, ამიტომ გელბახიანი მიიჩნევს, რომ აჭარაში საარჩევნო უბნები 4 იანვარს გაიხსნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ”აღორძინების“ ყოფილი წევრის, დეპუტატ სანდრო ბრეგაძის ვარაუდით, საპარლამენტო ფრაქცია ”აღორძინების“ლიდერის ჯემალ გოგიტიძის აჭარის შს მინისტრად დანიშვნა იმაზე მიანიშნებს, რომ ”აღორძინება“ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებს, რაც მკვეთრად უარყოფითი მოვლენაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** “ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის” ლიდერმა ირაკლი წერეთელმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს, ”ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში ღია მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისის შესაფასებლად, საქართველოში 16-19 დეკემბერს ევროპის საბჭოს ხუთკაციანი დელეგაცია ჩამოვა. საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ცნობით, საპრეზიდენტო არჩევნებს მეთვალყურეობას გაუწევს სპეციალური გაფართოებული კომიტეტი 20 პარლამენტარის შემადგენლობით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახური უზრუნველყოფს აფხაზეთიდან რუსეთის მიმართულებით რუსი მშვიდობისმყოფელების ეშელონის გადაადგილების უსაფრთხოების პროცესს, რომელიც როტაციის ფარგლებშია დაგეგმილი. აფხაზები, რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად, მონაწილეობენ ეშელონის დაცვაში ოჩამჩირემდე და შემდეგ - რუსეთთან საზღვრამდე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე თელავის 111-ე მსუბუქ ქვეითთა ბატალიონის მიერ "წვრთნისა და აჭღურვის" ამერიკული პროგრამის მესამე ფაზის დასრულებისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი გაიმართება. თელავის ბატალიონთან ერთად, პროგრამაში შინაგანი ჯარების და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თითო ოცეულიც მიიღებს მონაწილეობას. აღლუმი 12 საათზე დაიწყება და მას ხელისუფლების ამჟამინდელი პირველი პირები, თავდაცვის სამინისტროს გენერალიტეტისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარტიზანული შენაერთის “ტყის ძმების” მეთაური დავით შენგელია “სიცრუეს” უწოდებს სოხუმის ბრალდებებს ქართველი პარტიზანების მიმართ, თითქოს ისინი 4 იანვრამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების სერიას გეგმავენ.

დავით შენგელიას თქმით, სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები იმის შესახებ, რომ სოხუმში, დიდების პარკში აფეთქება ქართველმა პარტიზანებმა განახორციელეს ქართული სპეცსამსახურების დავალებით, ასევე სინამდვილეს არ შეეფერება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 15 ან 16 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან თედო ჯაფარიძესთან ერთად შესაძლოა მოსკოვში გაემგზავროს. თედო ჯაფარიძის განცხადებით, მოსკოვის შეხვედრაზე დაგეგმილია იმ პრობლემების განხილვა, რაც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში ბოლო დროს წარმოიშვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ”სოციალისტური პარტია” რამდენიმე დღეში უზენაეს სასამართლოში რამდენიმე სარჩელის შეტანას აპირებს, რომელთაგან ერთ-ერთი ცესკო-ს მიერ ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 12 დეკემბერი. პოლიტიკური გაერთიანების - ”ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინება" - ლიდერი გურამ აბსანძე 2 ნოემბერს ზუგდიდში ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების შედეგებს ასაჩივრებს, რის მიხედვითაც ზუგდიდის ოლქში დამოუკიდებელმა კანდიდატმა გოჩა ფიფიამ გაიმარჯვა. ზუგდიდში მაჟორიტარული სისტემის არჩევნების შედეგების ოქმების გაუქმების მოთხოვნით, დღეს გურამ აბსანძის წარმომადგენელმა ანგული მიქავამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივარი შეიტანა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამხედრო განათლებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე კობა ამირხანაშვილი ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" მიერ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზაზა შერაზადაშვილის წარდგენის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას არასწორს უწოდებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გარდაიცვალა ჰეიდარ ალიევი



გუშინ საღამოს შვიდ საათზე აშშ-ში კლივლენდის კლინიკაში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

პრეზიდენტი ალიევი 6 აგვისტოს მოათავსეს კლინიკაში გულის მწვავე უკმარისობისა და თირკმელების ავადმყოფობის დიაგნოზით. მანამდე იგი მკურნალობის კურსს თურქეთში, გულჰანეს სამხედრო ჰოსპიტალში გადიოდა. პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა 21 აპრილს გართულდა, როდესაც მას სატელევიზიო გამოსვლის დროს დაემართა გულის შეტევა.

ჰეიდარ ალიევის ცხედარს უახლოეს დღეებში გადაასვენებენ სამშობლოში.

ჰეიდარ ალის ძე ალიევი დაიბადა 1923 წლის 10 მაისს ქალაქ ნახჭევანში. დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერისტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1941-1944 წლებში მუშაობდა ნახჭევანში. 1944 წლიდან - აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. 1969 წელს იგი აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა. 1982-1987 წლებში ჰეიდარ ალიევი იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პოლიტბიუროს პირველი მუსულმანი წევრი.

1990 წელს ალიევმა მკაცრად გააპროტესტა საბჭოთა ჯარების მიერ ბაქოში დემონსტრაციის დაშლისას მშვიდობიანი ადამიანების დახოცვა და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა.

1991-1993 წლებში იგი იყო ნახჭევანის პარლამენტის თავმჯდომარე.

1993 წლის ივნისში იგი აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა, რითიც თავისი ქვეყანა სამოქალაქო ომისაგან იხსნა. დასრულდა სომხეთთან შეიარაღებული კონფლიქტიც.

1993 და 1998 წლებში ალიევი ორჯერ აირჩიეს აზერბაიჯანის პრეზიდენტად. პრეზიდენტობის მანძილზე მან მოახერხა ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის აღდგენა და აზერბაიჯანული ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების შესახებ დასავლურ კომპანიებთან "საუკუნის კონტრაქტის" ხელმოწერა, რითიც სამხრეთ კავკასია დიდი ხნით მოაქცია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ყურადღების ცენტრში. აზერბაიჯანი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა ნავთობინვესტიციებისათვის, მაგრამ ამავე დროს სწრაფად დაიმსახურა კორუმპირებული და ავტორიტარული სახელმწიფოს რეპუტაციაც.

ალიევის მმართველობის წლებში აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის რანგში ავიდა

2003 წელს ალიევი მესამედ აპირებდა კენჭისყრას, მაგრამ ჯანმრთელობამ ამის საშუალება არ მისცა და იძულებული გახდა, ხელისუფლება თავისი ვაჟისათვის გადაებარებინა.

ჰეიდარ ალიევის მეუღლე, ოფთალმოლოგიის პროფესორი ზარიფა ალიევა 1985 წელს გარდაიცვალა. მათ დარჩათ ვაჟიშვილი, ქალიშვილი და ექვსი შვილიშვილი.

# ხალხმა თავისი კონსტიტუციური ძალაუფლება განახორციელა

პირველი გვერდიდან

- საქართველოში მოხდა სახალხო ანუ დემოსის ანუ დემოკრატიული რევოლუცია. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ადგენს: "საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, თავისი წარმომადგენლების და **დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით."** ხალხმა თავისი ძალაუფლება განახორციელა კონსტიტუციით გათვალისწინებული დემოკრატიის ისეთი ფორმების მეშვეობით, როგორიც არის სიტყვის და აზრის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრება და მანიფესტაცია, რაც დაეფუძნა საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე, მეშვიდე და ოცდამეცხრამეტე მუხლებს. ამიტომ ეწოდა რევოლუციას ხავერდოვანი.

**- მაგრამ, რამდენად სამართლიანი იყო არჩეული, ლეგიტიმური პრეზიდენტისთვის გადადგომის ულტიმატუმის წაყენება?**

- პრეზიდენტმა არ შეასრულა საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლიდან გამომდინარე პრეზიდენტის მოვალეობა. კერძოდ:

1. არ დაიცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა.
2. არ აღასრულა კეთილსინდისიერად პრეზიდენტის მოვალეობა.
3. არ იზრუნა ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობისთვის.
4. არ იღვაწა მისი ხალხის და მამულის აღორძინების და ძლევამოსილებისთვის.
5. არ დაიცვა საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები.

**- ახლა ხშირია საუბარი იმაზე, რომ ამ გადატრიალების შედეგად, საქართველოს შემდგომი დანაწევრება ემუქრება, თუმცა სამართლებრივად ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?**



უკანონო პარლამენტის სხდომა შეწყდა, ხალხი გამარჯვებას ზეიმობს.

- რუსეთს სურს, საქართველოს ყურადღება გადაიტანოს აჭარაზე, რომ ამით აფხაზეთის საკითხის კონსერვაცია გააგრძელოს. აჭარა არსად გაგვექცევა. უბრალოდ, აბაშიძე ევაჭრება დანარჩენ საქართველოს. აბაშიძე უნდა ეცადოს, რომ მანუჩარ ათაბაგის, შადიმან ბარათაშვილის და სერგო ორჯონიკიძის განზოგადოებული სახელი არ დაიმკვიდროს საქართველოს უახლეს ისტორიაში. და თუ ეს მას უნდა, იგი ამას მიიღებს.

აფხაზეთთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს. საერთაშორისო პრაქტიკით, მრავალგზის აპრობირებულია კონფლიქტის ზონაში მრავალეროვნული ძალების ჩაყენება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მხოლოდ არამოსაზღვრე სახელმწიფოების სამხედრო ძალებით (მოსაზღვრე სახელმწიფოებს ყოველთვის აქვთ თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესები). ამრიგად, საქართველოს შემთხვევაში სამშვიდობო კონტიგენტში არ უნდა შესულიყო თურქეთის, რუსეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის სამხედრო ძალები.

მრავალგზის აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, აფხაზეთთან დაკავშირებით სწორედ მსგავსი წინადადებით, თავის დროზე, მიმართა გაერო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ შევარდნაძეს. შევარდნაძემ არ შეისმინა რჩევა. თავისი ძალაუფლების და თავისი კლანის ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის და პირადი უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, მან აფხაზეთი დე-ფაქტოდ დაუთმო რუსეთს და საქართველო შეიყვანა დსთ-ში. რუსეთის პასპორტების გაცემა აფხაზეთის რუსეთისთვის დე-იურედ დაკანონების პროცესის ბოლოს წინა ეტაპია.

ამრიგად, გადაუდებლად აუცილებელია დსთ-დან გამოსვლა და, გაერო-ს მეშვეობით, აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ძალების ჩანაცვლება მრავალეროვნული ძალებით, რასაკვირველია, არამოსაზღვრე სახელმწიფოებიდან, რაც რეალურად უზრუნველყოფს ლტოლვილთა ეტაპობრივ დაბრუნებას ოჩამჩირიდან ლესელიძემდე.

# თბილისს თურქი გენერალი ეწვია

გუშინ საქართველოში, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, თურქეთის არმიის სახმელეთო ჯარების კადრების სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ისმაილ ჰააქი პეკინი ჩამოვიდა. იგი შეხვედრებს გამართავს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან დავით თევზაძესთან, შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან ვლადიმერ იმნაძესთან, კადრების სამმართველოს უფროსთან დიმიტრი ლეჟავასთან. შეხვედრების დროს მხარეები საქართველოსა და თურქეთს შორის კადრების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

თურქი გენერალი დაესწრება, აგრეთვე, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მესამე ფაზის დასრულებისადმი მიძღვნილ აღლუმს, რომელიც ხვალ რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება. გენერალი საქართველოდან 15 დეკემბერს გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

# შაშიაშვილის ბედი აბაშიძეზეა დამოკიდებული

**"მზად ვარ, აჭარას ბოდიშიც მოვუხადო, თუ ისე ვერ ვთქვი რამე მისი მისამართით",** - განაცხადა იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა თემურ შაშიაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, იგი არ აპირებს აჭარასთან ხმების გამო ვაჭრობას და ამ განცხადებას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ აჭარამ ქვეყანას აჩვენა ნამდვილი ქართული პოზიცია, როცა არ შეეკრა "მოქალაქეთა კავშირს", რომლებმაც ე.წ. რევოლუცია მოაწყვეს. **"მოქალაქეთა კავშირს" მთელი 10 წლის მანძილზე აჭარა სჭირდებოდა, მე იგი მხოლოდ მიყვარდა",** - აღნიშნა შაშიაშვილმა, რომელიც უახლოეს დღეებში საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებაში ოფიციალური ბათუმის პოზიციას ელოდება. შემდგომ ამისა, იგი გადაწყვეტს, მოხსნის თუ არა თავის კანდიდატურას 4 იანვრის არჩევნებში. **"თუ ასლან აბაშიძე მეტყვის, რომ მისთვის მიუღებელი ვარ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, მე მზად ვარ, ამ შემთხვევაშიც მოვხსნა ჩემი კანდიდატურა",** - აცხადებს თემურ შაშიაშვილი და ამას იმით ხსნის, რომ აჭარის გარეშე რაიმე არჩევნებზე საუბარი წარმოუდგენელია. **ინტერ-პრესი**

# მიხეილ სააკაშვილი კიევში გაფრინდა

პრეზიდენტობის კანდიდატი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი პარასკევს საღამოს კიევში გაფრინდა.

ეს ინფორმაცია პრაიმ-ნიუსს სააკაშვილთან დაახლოებულმა წყარომ დაუდასტურა, რომელმაც აღნიშნა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, რასაც პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა, "ცოტა ხნით დასვენება სჭირდება".

ვიზიტის სხვა მიზეზებზე წყარო არ საუბრობს.

როგორც ორი დღის წინ სააკაშვილმა "ნაციონალური მოძრაობის" ყრილობაზე განაცხადა, მთელმა მსოფლიომ იცის უკვე, რომ უკრაინის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვიქტორ იუშენკო 6 თვეში ამ ქვეყნის შემდეგი პრეზიდენტი გახდება და იგი საქართველოს უახლოესი მეგობარია.

მისი თქმით, უკრაინა, რომელსაც ძლიერი ჯარი, ფლოტი და ეკონომიკა გააჩნია, გახდება რეგიონული ზესახელმწიფო და ნატო-ს წევრი, მაგრამ, რაც მთავარია, ეს სახელმწიფო საქართველოს არაფერს დაუშავებს და, პირიქით, ყოველთვის გვერდით დაუდგება. **პრაიმ-ნიუსი**

# მერაბ ჟორდანია პატიმრობაში რჩება

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო საზღვარი მესაზღვრეების გვერდის ავლით გადალახა, ანუ სასაზღვრო კონტროლი არ გაიარა. როგორც ამბობენ, სასაზღვრო ზოლი მან ავიაკომპანია "აირზენას" პრეზიდენტთან თამაზ გაიაშვილთან ერთად, მისივე მანქანით გადალახა. მესაზღვრეთა თქმით, ჟორდანიას დაკავების მომენტში გაიაშვილიც იქვე იმყოფებოდა. სასაზღვრო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ უწყებას მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც გააჩნდა ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიის შესაძლო დატოვების თაობაზე და მერაბ ჟორდანიას დაკავება სწორედ ამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომლის დაპატიმრებაც საზღვრის უკანონო გადაკვეთით გამყარდა, სინამდვილეში შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის ბრალდების საფუძველზე დააკავეს.

კლუბ "დინამოს" ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს - მერაბ ჟორდანიას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციის 160-ე მუხლით - დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდება. საუბარია, 750 ათასი ლარის ბიუჯეტისთვის დამალვაზე. უფრო კონკრეტულად კი, "დინამოს" ყოფილ ხელმძღვანელობას ბრალი ედება კლუბის ხუთი ფეხბურთელის - გიორგი დემეტრაძის, ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილის, ალექსანდრე იაშვილის და კახა კალაძის ტრანსფერებიდან გადასახადების გადაუხდელობაში. ეს ტრანსფერები 1996-1998 წლებში განხორციელდა. დემეტრაძე – ვლადიკავკაზის "ალანიაში", კალაძე – კიევის "დინამოში", ხოლო ცქიტიშვილი, კობიაშვილი და იაშვილი გერმანიის "ფრაიბურგში" გადავიდნენ სათამაშოდ. ტრანსფერების შედეგად მიღებული თანხები, გამოძიების ინფორმაციით, სხვადასხვა საზღვარგარეთულ ბანკებში, ძირითადად კი, შვეიცარიაში ირიცხებოდა.

საფეხბურთო კლუბ "დინამოში" არსებულ ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით საქმე რამდენიმე წლის წინ, კახა თარგამაძის მინისტრობის პერიოდში აღიძრა. მაშინ ამ საქმის გამო კლუბ "დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი მერაბ რატიანი პასუხისგებაში მისცეს და მისი საქმის განხილვა დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში კარგა ხანს მიმდინარეობდა.





მოსამართლე სონღულაშვილმა მერაბ ჟორდანიას სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მერაბ ჟორდანიას შესაძლო დაპატიმრებაზე საუბარი ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში აღიძრა საქმე საფეხბურთო კლუბ "თბილისის დინამოს" წინააღმდეგაც. ამ პერიოდში კლუბის პრეზიდენტის პოსტი სწორედ მერაბ ჟორდანიას ეკავა. საქმე რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. ერთი ნაწილის მიხედვით, კლუბს, როგორც იურიდიულ პირს, ბრალი ედებოდა 1996-1997 წლებში განხორციელებული კომერციული საქმიანობიდან 28 მილიონი დოლარის გადასახადების გადაუხდელობაში. თუმცა, იმის გამო, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, საფეხბურთო კლუბ "დინამოს" დამხმარე მეურნეობის წარმოებისა და აქედან მიღებული შემოსავლებით კლუბის განვითარების უფლება მიეცა, თანაც, კლუბი ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლდა, მოგვიანებით, 28 მილიონის დამალვის ბრალდება მოიხსნა და დარჩა მხოლოდ ტრანსფერის საქმე.

დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მერაბ ჟორდანიამ აღიარა, რომ "დინამოს" ბიუჯეტისთვის გადასახადები არ გადაუხდია. **"1998 წელს განხორციელებული ფეხბურთელების ტრანსფერებიდან მართლაც უნდა გადაგვეხადა 750 ათასი ლარი, მაგრამ ასე რომ გაგვეკეთებინა, "დინამო" ბანკროტად გამოცხადდებოდა და კლუბი არსებობას შეწყვეტდა. კლუბის ხელმძღვანელობამ არჩია, რომ ის თანხები "დინამოს" მოხმარებოდა, რითიც ამ გუნდის არსებობა შენარჩუნდა. რაც შეეხება გადასახადებს, კლუბის ხელმძღვანელობა მის გადახდას მოგვიანებით გეგმავდა, რისთვისაც საგადასახადო სამსახურთან ერთად გადახდების გრაფიკის შედგენას აპირებდა,"** – გენპროკურორის პირველი მოადგილის გია ჯიქიას ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

არსებული ინფორმაციით, გრაფიკის შედგენა ვეღარ მოხერხდა. რადგან საქმეში ჩაერია შს მაშინდელი მინისტრი, რომლის სახელიც კლუბ "დინამოს" გაყიდვის პროცედურას ძალზე საეჭვოდ დაუკავშირდა. არსებული ინფორმაციით, 2000 წელს კახა თარგამაძის უწყებამ დაიჭირა "დინამოს" პრეზიდენტი მერაბ რატიანი და მანამდე არ გამოუშვა ციხიდან, სანამ არ მიიღო გარანტიები, რომ რატიანი "დინამოს" მფლობელობაზე უარს განაცხადებდა. ამ ოპერაციის შემდეგ "დინამოს" წილები ოფშორულ ზონაში მოქმედი უცხოური ფირმის საკუთრება გახდა, ვისგანაც შემდეგ იგი ბადრი პატარკაციშვილმა შეიძინა. "დინამოს" დღევანდელმა მფლობელმა ბადრი პატარკაციშვილმა კლუბის ხელახალი რეგისტრაცია მოახდინა, რითიც "დინამოს" ძველი ვალები მის ანგარიშზე აღარ მოხვდა. კანონით, ამ ვალებზე პასუხისმგებელი ის უცხოური ფირმა უნდა იყოს, რომელთანაც არაოფიციალურად კახა თარგამაძის სახელს აკავშირებენ.

**"ჩემს შემდეგ "დინამოს" პრეზიდენტის პოსტზე დანიშნული მერაბ რატიანი საგადასახადო სამსახურის წინაშე არსებული დავალიანების გადახდას აპირებდა, მაგრამ ეს ვერ მოასწრო. მას პრაქტიკულად წაართვეს კლუბი და ეს რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო, ყველა ცივილიზებული ქვეყნის (მათ შორის - საქართველოს) კანონმდებლობის შესაბამისადაც, კლუბის ახალი მფლობელი მისი სრულფასოვანი სამართალმემკვიდრე უნდა იყოს და ძველი ვალებიც მისი გასასტუმრებელია,"** – აცხადებდა მერაბ ჟორდანია.

თუმცა, როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, საფეხბურთო კლუბ "დინამოში" ჩატარებული სარევიზიო-საფინანსო შემოწმებისას გაირკვა, რომ ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერებიდან მიღებული თანხები კლუბის ბუღალტერიაში აღრიცხული არ იყო და ამის გამოც ბიუჯეტში საშემოსავლო თანხების პროცენტები ვერ მოხვდა. შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ირაკლი განუგრავას განცხადებით, ადამიანის დაკავება უკიდურესი ღონისძიებაა და თუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ძველ დავალიანებას – 750 ათას ლარს ბიუჯეტს დაუბრუნებს, მას დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ. **"მერაბ ჟორდანია დავაკავეთ, რადგან გვქონდა ინფორმაცია, რომ ის საქართველოს დატოვებას აპირებდა,"** – განაცხადა ირაკლი განუგრავამ.

**"მერაბი არსად აპირებდა გაქცევას. იგი ჩემს დისშვილს და დედას პარიზში აცილებდა, სადაც ჩემს დისშვილს კონცერტი აქვს. ჩვენ ავიაკომპანიის თანამფლობელები ვართ და უფლება გვაქვს, მივიდეთ თვითმფრინავთან. ამისთვის რეგისტრაციის გავლა საჭირო არ არის, როგორც ეს გააკეთა დედამ და ჩემმა დისშვილმა, რომლებიც უცხოეთში მიფრინავდნენ. მერაბი ორი დღის წინ ჩამოვიდა ევროპიდან. თუ გაქცევა უნდოდა, აქ ნამდვილად აღარ დაბრუნდებოდა.**

**მე არ ვერევი სამართალდამცველების კომპეტენციაში, მაგრამ მინდა მივმართო ახალ ხელისუფლებას, მოეშვან მსგავს საქმიანობას და ძველი ინერციით ნუ აგრძელებენ ჩვენი ოჯახის შანტაჟს. ისინი აგრძელებენ ძველი ხელისუფლების ტრადიციას - კომუნისტური მეთოდებით დაჭერებს, ჩემი ოჯახის დისკრედიტაცია კვლავ გრძელდება. ეს იაფფასიანი პიარია და ამ ხელისუფლებას სასიკეთოს არაფერს მოუტანს,"** – გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა მაკა ასათიანმა. თუმცა, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მერაბ ჟორდანიას პარიზის რეისზე ბილეთი აღებული ჰქონდა.

გუშინვე შს მინისტრს შუამდგომლობით მიმართეს და მერაბ ჟორდანიას თავდებით გათავისუფლება ითხოვეს, სპორტსმენებმა, ინტელიგენციისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა.

ეს განცხადება მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოშიც შევიდა ჟორდანიას ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის შუამდგომლობასთან ერთად, რომლითაც იგი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად ამისა, რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი მაინც შინაგან სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას დაეთანხმა. გამოძიება კი ცალსახად ითხოვდა ჟორდანიასთვის აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოსამართლემ კომპრომისზე წასვლა სცადა - მან ბრალდებული ჟორდანიას მხარეს აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით შაბათის დილის რვა საათამდე სახელმწიფო ბიუჯეტისადმი არსებული დავალიანების ერთი მესამედის - 240 ათასი ლარის გადახდა შესთავაზა. მამუკა სონღულაშვილის თქმით, მერაბ ჟორდანიამ ამ წინადადებას უარით უპასუხა და სანაცვლოდ ერთი კვირის ვადაში 150 ათასის ოდენობის გირაოს შეტანას დაპირდა სასამართლოს. **"ჩვენ ამას გარანტიად ვერ მივიჩნევდით,"** - ამბობს სასამართლოს თავმჯდომარე და საბოლოო გადაწყვეტილებას იმ არგუმენტებით ამართლებს, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გამოძიების მიერ სამი უწყების გამოგზავნის მიუხედავად, არც ერთხელ არ გამოცხადებულა დაკითხვაზე და ამავე დროს, მისი დაკავება მეტად საეჭვო ვითარებაში მოხდა.

სხვათა შორის, როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი უწყება ჟორდანიას 8 დეკემბერს ჩაბარებია და იგი 11 დეკემბერს უნდა გამოცხადებულიყო შს სამინისტროში. იგი დაკითხვაზე არ მისულა, 12 დეკემბერს გამთენიისას კი აეროპორტში დააკავეს. ამჟამად მას სამთვიანი პატიმრობა ელის იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარის მიერ საოლქო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

**"მე ბევრი რამ ვერ გავიგე იქიდან, რაც მოსამართლემ ილაპარაკა, მაგრამ ერთი ვიცი, სასამართლოში ვაჭრობა მიდიოდა - 240 ათასი, 150 ათასი და ასე შემდეგ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის პირობებში რაიმე შეიცვლებოდა, თუმცა, სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი ძველებურად რჩება,"** - განაცხადა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მერაბ ჟორდანიას დამ, ხათუნა ჟორდანიამ.

# ამერიკელი სენატორის წერილი

ამერიკელმა სენატორმა ედვარდ კენედიმ წერილი მისწერა საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, სადაც აღნიშნავს, რომ ისტორიაში შესაბამისად აისახება ყველაფერი, რაც შევარდნაძემ გააკეთა ცივი ომის დამთავრებისთვის, რათა "მსოფლიო ოდნავ მაინც გათავისუფლებულიყო ბირთვული იარაღისგან და საქართველოშიც დამთავრებულიყო სამოქალაქო ომი".

ამერიკელი სენატორი "გაბედულ გადაწყვეტილებას"უწოდებს ედუარდ შევარდნაძის მიერ 23 ნოემბერს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას, რასაც წინ მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები უძღოდა.

შეერთებულ შტატებში იმედოვნებენ, რომ ქართველ ხალხს მშვიდობიანი, სტაბილური, დემოკრატიული მომავალი ექნება, რისკენაც "თქვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგით", - ნათქვამია ედვარდ კენედის წერილში ედუარდ შევარდნაძისადმი. **პრაიმ-ნიუსი**

# ეკონომიკის ექსპერტები - რკინიგზის რეფორმირების მოდელზე...

*გარდამავალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იქნება რკინიგზის რეფორმირება. "24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ უახლოეს დღეებში მოხდება რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 12-15-მდე, დროებითი მმართველის დანიშვნა და რკინიგზის სააქციო საზოგადოებად გადაკეთება. დღევანდელი სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ეს მოდელი გამოყენებული იქნება სხვა სახელმწიფო საწარმოებშიც.*
*"24 საათმა" ეკონომიკის ექსპერტებს ამ გადაწყვეტილების კომენტირება სთხოვა:*

ეთერ მამულაშვილი

**ავთანდილ სილაგაძე – ქონების მართვის ყოფილი მინისტრი:**

"სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის დღეს არსებული რაოდენობის გაზრდა გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ეს არის მეთვალყურე ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს საწარმოში მიმდინარე პროცესებს და ისმენს მის ფინანსურ ანგარიშგებას. ასევე აუცილებელია, რომ მასში გარკვეული დოზით იყვნენ პროფესიონალები, რომლებსაც შეეძლებათ გარკვევა უშუალოდ დარგის სპეციფიკაში.

ამასთან, საჭიროა ყველა სახელმწიფო შპს აქციონერული საზოგადოების სახით ჩამოყალიბდეს, რაც კიდევ უფრო მეტად დემოკრატიული ფორმაა.

გარდა ამისა, პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავერკვეთ, რომელი საწარმოები არის მოგებიანი და თითოეულ საწარმოს რა პერსპექტივა აქვს. ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ სიტუაციას, რომ ზოგჯერ დავალიანებები აღემატება თავად საწარმოში არსებული ქონების ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად, საწარმოებს ფასი საერთოდ აღარ აქვთ, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავთავისუფლდეთ არაპერსპექტიული საწარმოებისგან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დავალიანებას აგროვებენ.

მეორე მხრივ, ბუნებრივია, უნდა გამოიყოს ისეთი საწარმოები, რომლებიც არასწორი მენეჯმენტის გამო დღეს წამგებიან სიტუაციაში იმყოფებიან, მაგრამ რეალურად აქვთ პერსპექტივა. ასეთი საწარმოების მისამართით შეიძლება გადადიდგას ნაბიჯები როგორც მართვის სრულყოფის თვალსაზრისით, ასევე სახელმწიფოს მხრიდან - იგივე ინვესტორების მოზიდვის სახით, ან საჭიროების შემთხვევაში, თუკი აუცილებელი გახდა, გარკვეული შეღავათიანი სახსრების გამოყოფის სახით, იმ პირობით, რომ საზოგადოებას, ბიუჯეტს ეს სახსრები უკან გაზრდილი ოდენობით დაუბრუნდება."

**ლადო პაპავა - ეკონომიკის ექსპერტი:**

მეთვალყურეთა საბჭოს გაფართოება თავისთავად პოზიტიურ შედეგს მოიტანს, მაგრამ, პირველ რიგში, რკინიგზა შპს-დან უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად. ამ კონტექსტში მეთვალყურეთა საბჭო სულ სხვა ფუნქციას შეიძენს. გარდა რკინიგზისა, სასურველია, რომ ყველა შპს გადაიქცეს სააქციო საზოგადოებად; მაგრამ საწარმოს წარმატებულად მუშაობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა კადრებით დაკომპლექტდება ეს მეთვალყურეთა საბჭო. ჩემი აზრით, სასურველი იქნება, თუკი ისინი მოცემული დარგის მაღალი რანგის სპეციალისტები იქნებიან, ძირითადად - სამეცნიერო სფეროდან მოსულები, რომელთაც აქვთ შეურყვნელი რეპუტაცია.

**ზურაბ გარაყანიძე – ექსპერტი:**

"სამეთვალყურეო საბჭოს გაფართოება ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო. ამასთან, ჩემი აზრით, საჭიროა, რომ სახელმწიფო საწარმოები, რომელთა უმრავლესობა ჩამოყალიბებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სასწრაფოდ გადაკეთდნენ სააქციო საზოგადოებებად. გაფართოებული სამეთვალყურეო საბჭოს პრაქტიკა ძალიან ბევრ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს და ვფიქრობ, რომ ეს საწარმოს მუშაობას უფრო მეტ გამჭვირვალობას შეჰმატებს; მით უმეტეს - როცა დღეს არსებული სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოები, ძირითადად, ისეთი კადრებით არის დაკომპლექტებული, როგორიც აწყობდა ხელმძღვანელობას.

მეორე - რაც მთავარია, რკინიგზა უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი ინფრასტრუქტურის ობიექტებისგან. იქ არის მაღაზიები, საწყობები, სასადილოები... ფაქტიურად, ეს არის დიდი მონსტრი სახელმწიფო სახელმწიფოში. კარგი იქნება, თუკი სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტდება კონკურსის წესით შერჩეული პირებისგან. კადრები უნდა დაკომპლექტდეს იმ პირებისაგან, ვისაც კარგად ესმის ესა თუ ის სფერო. სასურველი იქნება, თუკი გამოცხადდება კონკურსი ამ ვაკანტურ თანამდებობაზე, თუმცა კანონმდებლობა ამას არ მოითხოვს."

# "თბილგაზი" ვალების რესტრუქტურიზაციას ითხოვს

"ინჟმშენი" თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ორშაბათიდან განაახლებს. სამუშაოები ქალაქში ბუნებრივი აირის წნევის დარეგულირებას ისახავს მიზნად. მიმდინარე კვირის ბოლოს შეხვედრა იგეგმება ენერგეტიკის სამინისტროშიც, სადაც "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტი" "ინჟმშენისთვის" კუთვნილი თანხების გადარიცხვას მოითხოვს. "თუ "ინჟმშენი" ბიუჯეტიდან კუთვნილ თანხებს მიიღებს, წნევის დარეგულირებისთვის საჭირო სამუშაოები ნუცუბიძის პლატოზე, ვაჟა ფშაველას კვარტლებში და ვაზისუბნის დასახლებაშიც ჩატარდება," - განაცხადეს კომპანიაში. 155-მილიონლარიანი დავალიანებიდან 32 მილიონ 884 ათასი ლარი "თბილგაზს" ბიუჯეტის მართებს. კომპანიის აქციონერებმა გადაწყვიტეს, ფინანსთა სამინისტროს სთხოვონ ვალის ერთი წლით გადავადება. "ერთი წლის შემდეგ ვალს ბიუჯეტის მიმართ ორი წლის განმავლობაში, ეტაპობრივად დავფარავთ," - განაცხადეს კომპანიაში. ამჟამად "თბილგაზის" მმართველ "ახალ მენეჯმენტს" მხოლოდ "იტერას" მიმართ არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულება ეკისრება. დანარჩენი ვალი კი "თბილგაზმა" საკუთარი რესურსებიდან უნდა დაფაროს. მიმდინარეობს სხვა კრედიტორებთან მოლაპარაკებები და ყველასთან ინდივიდუალური შეთანხმება გაფორმდება. **ინტერ-პრესი**

# სოფლის მოსახლეობამ ნავთობსადენის მშენებლობა შეაფერხა

მეოთხე დღეა, რაც გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგორის მოსახლეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას აფერხებს — მათ შეძლეს გაეჩერებინათ მძიმე ტექნიკა და მშენებლებს მუშაობის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი ასამდე ადამიანი მოითხოვს "ბი-პი"-მ შეცვალოს ნავთობსადენის მარშრუტი და ახალი ნავთობსადენი მათ სოფელზე გამავალი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პარალელურად გაიყვანოს. მოსახლეობის განცხადებით, "ბი-პი" არ ასრულებს თავის პირობებს და ნავთობსადენს ზოგ ადგილას დასახლებული პუნქტიდან 50 მეტრის დაშორებით აშენებს. "როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ნავთობსადენი სტრატეგიული ობიექტებიდან და დასახლებული პუნქტიდან 500-მეტრიანი დისტანციით უნდა აიგოს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ნავთობსადენის კონტრაქტორი ფირმები ზედმეტ ხარჯს ერიდებიან და პროექტის შეცვლას არ გეგმავენ. შესაბამისად, არ აპირებენ არც იმ კომპენსაციის გადახდას, რაც ნავთობსადენიდან მინიმალურ მანძილზე დასახლებულმა მაცხოვრებელმა უნდა მიიღოს," – აცხადებენ აქციის მონაწილენი. მათივე თქმით, სოფელი ძლიერი ქარის ზონაშია გაშენებული და გამორიცხული არ არის, რომ ნავთობსადენის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში ახალ სამგორს სერიოზული საფრთხე შეექმნას. სოფლის მოსახლეობა პიკეტის მოხსნას არ აპირებს და აცხადებს, რომ მშენებლებს მუშაობის გაგრძელების უფლებას არ მისცემს. **მედია-ნიუსი**

# საქართველოში ტვირთბრუნვა გაიზარდა

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით გადაზიდულია 33.2 მილიონი ტონა ტვირთი და შესრულებულია 5150.3 მილიონი ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა, რაც, შესაბამისად, 7.4 პროცენტით და 6.9 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2003 წლის აღნიშნულ პერიოდში საქართველოს რკინიგზით გადატანილია 1.7 მილიონი ტვირთი და შესრულებულია 4583.8 მილიონი ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა. ეს მაჩვენებლები 8.7 პროცენტითა და 7.2 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტს, გადატანილი ტვირთის მოცულობამ 2003 წლის იანვარ-ოქტომბერში 19.5 მილიონი ტონა შეადგინა, ტვირთბრუნვამ კი 455.5 მილიონი ტონა-კილოგრამი, რაც გასულ წელთან შედარებით 6.6 და 3.1 პროცენტით მეტია. **მედია-ნიუსი**

# ქართველი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისაგან ცვლილებებს ელიან

პირველი გვერდიდან

**"თქვენ ხართ ის ხალხი, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი უნდა შექმნას. ყოველივე, რაც ბიზნესს ეხება, არ არის არც გამგებლების, არც საგადასახადო ან სხვა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის ჩარევის საგანი, როგორც ეს ხდებოდა, როცა სახელმწიფო ორგანოები სახანძრო, სანიტარული თუ სხვა სახის ინსპექციების სახით, შეიძლება ითქვას, შევარდნილნი იყვნენ ყველა კომპანიაში. ბიზნესი ხელშეუხებელი უნდა იყოს,"** - შეხვედრის დასაწყისშივე განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რამაც, რა თქმა უნდა, დამსწრეთა კმაყოფილება გამოიწვია.

დადებითი განწყობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, როცა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების მიმართ თავისი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ **"უნდა იქნეს მიღებული კანონი, რომლითაც საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართული წარმომავლობის ბიზნესმენებს და წარმატებულ ადამიანებს ორმაგი მოქალაქეობის უფლება მიენიჭებათ, რათა მათ უფრო ადვილად შეძლონ საქართველოში ჩამოსვლა და აქ საკუთარი ბიზნესის წარმოება. ქართველებს საქართველოში ჩამოსასვლელად ვიზა არ უნდა სჭირდებოდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში კვლავაც განხორციელდება ისეთი გრანდიოზული პროექტები, როგორიც არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. ეს ნავთობსადენი აუცილებლად აშენდება და მივა თავის ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა მსგავსი პროექტები, პირველ რიგში, ხალხის სამსახურში უნდა იყოს და არა რომელიმე კლანის ინტერესებში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა."**

ძირითადი თემა, რომელიც შეხვედრაზე გამოიკვეთა, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს - პოლიტიკური დაკვეთა ერთნაირად დამღუპველია როგორც ბიზნესისათვის, ასევე პოლიტიკისათვის. მიხეილ სააკაშვილის თქმით, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს კანონის უზენაესობა, გამიჯნოს ერთმანეთისგან ბიზნესი და ხელისუფლება, შექმნას ხელსაყრელი


ლევან ხერხეულიძის ფოტო
სააკაშვილი ბიზნესმენებს მემორანდუმის გაფორმებას სთავაზობს.

საინვესტიციო გარემო, სადაც ყველას - მცირე თუ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელს, უცხოელს თუ ჩვენს თანამემამულეს - საქმიანობის თანაბარი პირობები შეექმნება.

ბიზნესმენების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ურთიერთობის ფორმა, რომელსაც ახალი ხელისუფლება მათ მიმართ აირჩევს. ეს საყოველთაო აზრია და ამასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილმაც განაცხადა, აუცილებელია **"ჩამოყალიბდეს ერთგვარი მემორანდუმი ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის, რათა ყველას მიეცეს საშუალება კონკურენტულ გარემოში აწარმოოს საკუთარი ბიზნესი, სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან ყოველგვარი რეკეტისა და გამოძალვის გარეშე."** ამ განცხადებას სამაუწყებლო კომპანია "მზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვანო ჩხარტიშვილის საკმაოდ საგულისხმო კომენტარი მოჰყვა. კერძოდ, მან აუცილებლად და მიზანშეწონილად მიიჩნია, აღნიშნულ მემორანდუმზე უშუალო პასუხისმგებელი თვითონ მიხეილ სააკაშვილი იყოს.

შეხვედრაზე საუბარი არსებულ საგადასახადო კოდექსსაც შეეხო, რომელიც "კატასტროფულად" შეფასდა, ქართული ინოვაციების შექმნის აუცილებლობასაც, რაც მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას შექმნის და იმასაც, რომ სახელმწიფოსა და ხალხის ხარჯზე სიმდიდრის დაგროვების დრო წავიდა.

კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა – სამართალდამცავ ორგანოებს მიეცა განკარგულება უცხოურ ბანკებში საქართველოს მაღალი თანამდებობის პირთა ანგარიშების გადამოწმების შესახებ და თუკი რაიმე ოდენობის თანხა არაკანონიერი გზით ნაშოვნი აღმოჩნდა, იგი ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს.

რაც შეეხება 4 იანვრის შემდგომ პერიოდს, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში, **"აუცილებლად გამარტივდება საგადასახადო სისტემა. პირველივე სამი კვირის განმავლობაში განისაზღვრება საკადრო პოლიტიკა, შეიქმნება კანონი მონოპოლიზაციის წინააღმდეგ და, რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში სასტიკი ბრძოლა გამოცხადდება დამნაშავეობისა და კრიმინალის წინააღმდეგ".**

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის ამ ინიციატივებს საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ბიზნესმენების მხრიდან, რისი ლოგიკური შედეგიც 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილს თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვა გახდა, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ისიც აღნიშნა, რომ **"აუცილებელია, ხელისუფლებამ ყველა ის პირობა შეასრულოს, რასაც ამჟამად ასე უხვად არიგებს".**

პასუხს ისევ მიხეილ სააკაშვილი იძლევა: **"მესმის, რომ დრო, რომელიც ჩვენთვის არის მოცემული, ძალიან მცირეა, მოლოდინი კი ძალიან დიდი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ ეკონომიკური სასწაულების მოხდენას, მაგრამ ხალხი დაინახავს, რომ მას ფულს აღარ სძალავენ, რომ ქვეყანაში უზენაესი იქნება კანონი, რომელსაც ყველა დავიცავთ..."**

# მსოფლიო ბანკს ახალი მთავრობის იმედი აქვს

*"მსოფლიო ბანკი ახალი ხელისუფლებისგან თანამშრომლობას ელის და იმედს იტოვებს, რომ ხანმოკლე ვადაში მთავრობა მძიმე ფისკალური მდგომარეობის გამოსწორებას მოახერხებს, 2004 წლისთვის მყარ ბიუჯეტს შეადგენს და კორუფციასთან ბრძოლას გააქტიურებს," – ასე ჩამოაყალიბა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა შიგეო კაცუმ მსოფლიო ბანკის იმედები, რომელსაც საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე ამყარებს.*

ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლისთანავე თბილისს მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეწვია და მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ დირექტორ დონა დოუსეთ-კიორროლოსთან ერთად შეეცადა გაერკვია, თუ რა მეთოდებით აპირებს ახალი ხელისუფლება ქვეყნის დონორებთან ურთიერთობის გაგრძელებას. შიგეო კაცუს განცხადებით, თბილისში გამართული ყველა შეხვედრა (იგულისხმება შეხვედრები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან და ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან) **"ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ახლა მსოფლიო ბანკს მკაფიო წარმოდგენა აქვს იმის თაობაზე, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარების გამოყენებას."** შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის საკრედიტო პორტფელი საქართველოში 725 მილიონ 200 ათასი დოლარის ღირებულების 34 კრედიტს მოიცავს.

შეხვედრების შემდეგ მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ხელისუფლებას მხარდაჭერას აღუთქვამს და ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობაზე. ბუნებრივია, ბანკი საქართველოში რეფორმების გაგრძელების საჭიროებასაც ხედავს.

მომავალი წლიდან ამ კონტექსტში ე.წ. "სტრუქტურული რეორგანიზების პროექტის" განახლებასაც უნდა ველოდოთ. ამ პროექტის მიხედვით, მსოფლიო ბანკი საქართველოს სახელმწიფო უწყებების რეფორმას აფინანსებს. პროექტის ასპექტები გუშინ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან განიხილეს. იმისათვის, რომ ბანკმა ეს პროგრამა განაახლოს, ქართულ მხარეს გარკვეული ვალდებულებების შესრულება მოუწევს. ამასთან, მთავრობა იმედოვნებს, რომ კრედიტის ოდენობა და მისი მიღების ვადები 2004 წლის ბიუჯეტის საბოლოო შეჯერებამდე გაირკვევა. ცნობისათვის, "სტრუქტურული რეორგანიზების პროექტით" საქართველომ მსოფლიო ბანკის ტრანში უკვე ოთხჯერ მიიღო. უკანასკნელად ტრანშის მოცულობამ 4 მილიონი დოლარი შეადგინა.

მსოფლიო ბანკის მაღალჩინოსანთა დაინტერესება ბანკის უკვე განხორციელებულმა პროექტებმაც გამოიწვია. შიგეო კაცუმ და დონა დოუსეთ-კორიოლომ გუშინ დაათვალიერეს ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, რომლისთვისაც ბანკმა 7-მილიონ დოლარიანი კრედიტი და ტექნიკური აღჭურვილობა გაიღო. ბანკის მიერ გამოყოფილი თანხების ეფექტურად ხარჯვის საკითხს და, შედეგად, ცენტრის ეფექტურ მუშაობას ამჟამად მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობა აკონტროლებს. თუკი ბანკის ხელშეწყობით განვითარებული სამედიცინო ცენტრი მაღალ შეფასებას დაიმსახურებს, სავარაუდოდ, ბანკი სამედიცინო დაწესებულებების ხელშეწყობას და საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში უახლესი, ძვირად ღირებული ტექნოლოგიების დანერგვას მომავალშიც გააგრძელებს.

*24 საათი*

# "დაიმლერ კრაისლერის" თავმჯდომარე სასამართლოს წინაშე წარდგა

ადამ მჭედლიძე

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტომწარმოებლის, "დაიმლერ კრაისლერის" თავმჯდომარე იურგენ შრემპი აშშ-ის სასამართლოს წინაშე წარდგა. შრემპს მოუწევს, მართლმსაჯულებას დაუმტკიცოს, რომ 1998 წელს "დაიმლერ-ბენცსა" და "კრაისლერს" შორის შემდგარი გარიგება შერწყმა იყო და არა "დაიმლერის" მიერ "კრაისლერის" შესყიდვა.

ამ, ერთი შეხედვით, უცნაური საკითხით აშშ-ის მართლმსაჯულება მას შემდეგ დაინტერესდა, რაც "დაიმლერის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ცნობილმა მილიარდერმა და ინვესტორმა კერკ კერკორიანმა, რომელიც გარიგების პერიოდში "კრაისლერის" უმსხვილესი აქციონერი იყო. კერკორიანი ამტკიცებს, რომ "დაიმლერ-ბენცმა" შეგნებულად გააყალბა დოკუმენტები და, შესყიდვის ნაცვლად, გარიგებას თანასწორ პარტნიორთა გაერთიანება უწოდა. მოტივი ცხადზე უცხადესი იყო - გარიგების შესყიდვად გაფორმების შემთხვევაში "დაიმლერ-ბენცს" "კრაისლერის" აქციონერთათვის სოლიდური პრემიების გადახდა მოუწევდა. თავად კერკორიანს 2 მილიარდი დოლარამდე უნდა მიეღო, რასაც ახლა იგი კომპენსაციის სახით ითხოვს.

იურგენ შრემპს სასამართლოში ერთობ გაურთულებს საქმეს 2000 წელს მის მიერ "ფაინეშენალ თაიმსისათვის" მიცემული ინტერვიუ, სადაც მან ახსენა, რომ "კრაისლერი" მისი კომპანიის განყოფილებად ყალიბდება.

"დაიმლერ კრაისლერის" ადვოკატები აცხადებენ, რომ შრემპის ეს სიტყვები კონტექსტიდანაა ამოღებული. გარიგებამდე "კრაისლერის" თავმჯდომარემ რობერტ იტონმა კი სასამართლოში განაცხადა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა "დაიმლერ-ბენცთან" გარიგებაზე, შრემპს რომ მაშინ მასთან იმგვარი ენით ელაპარაკა, როგორც 2000 წელს "ფაინეშენალ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

თუკი კერკორიანის სარჩელი დაკმაყოფილდა, "დაიმლერისათვის" "კრაისლერთან" გარიგება თამამად შეიძლება დიდ წარუმატებლობად ჩაითვალოს. გარიგებიდან 2-3 წელიწადში "კრაისლერის" მოძველებული მოდელების გამო გაერთიანებულ კომპანიას არნახული პრობლემები შეექმნა – ავტოგიგანტი ყოველდღიურად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ზარალს ნახულობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუბარი აგორდა "დაიმლერ კრაისლერის" გაყიდვაზეც. საბოლოოდ, კომპანიამ დაძლია კრიზისი, მაგრამ "კრაისლერის" შტოს განსაკუთრებული მოგებები კვლავაც არ მოაქვს.

"არასოდეს მქონია საიდუმლო გეგმა და არანაირი საბუთები არ გაყალბებულა, - ირწმუნება შრემპი, - ეს თანასწორ პარტნიორთა გარიგებად იყო ჩაფიქრებული და გარიგებაც შესაბამისად გაფორმდა."

კერკორიანმა კი, თავის დროზე, "კრაისლერზე" დიდძალი თანხა ერთხელ უკვე იშოვა. მან ამერიკული ავტოგიგანტის აქციები მაშინ ჩაიგდო ხელში, როცა კომპანია სულს ღაფავდა და აქციებიც გაუფასურებული იყო. შემდეგ "კრაისლერი" ფეხზე დადგა და კერკორიანმაც გვარიანი მოგება ნახა. ვნახოთ, მოახერხებს იგი იმასაც, რომ ოდესღაც ჩალის ფასად ნაყიდი აქციებიდან დამატებით 2 მილიარდი დოლარიც მიიღოს.

## მოკლედ

### ბაქო-ჯეიჰანის პროექტის წინააღმდეგ ანტირეკლამას იწყებენ

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის წინააღმდეგ სარეკლამო კამპანიას იწყებს, რაზეც 50 ათას დოლარს დახარჯავს. სააგენტო "დოუ ჯონს"-ის ინფორმაციით, ანტირეკლამა ლონდონის ცნობილი გაზეთის "ფაინენშენელ თაიმსის" მთელ გვერდს დაიკავებს. განცხადება უკვე მზად არის და მოიცავს თხოვნა-მიმართვას პროექტის დაფინანსების გადავადებაზე, სანამ არ ჩატარდება პროექტის ყველა პროცესის გამჭვირვალე მონიტორინგი. თუმცა, როგორც ჩანს, ანტირეკლამის დაწყება დაგვიანებულია, რადგან კომერციული ბანკებისგან 2 მილიარდი დოლარის კრედიტების გამოყოფაზე სიტყვიერი თანხმობა უკვე მიღებულია, დარჩა მხოლოდ ამის დოკუმენტურად გაფორმება. 16-17 დეკემბერს, ლონდონში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის დირექტორთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება, სადაც კომერციულ ბანკებთან ხელშეკრულებების პაკეტს განიხილავენ. ამ ხელშეკრულებების ხელმოწერა ბაქოში იანვარშია დაგეგმილი. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში განაცხადეს, რომ ნავთობსადენის მოწინააღმდეგეები ისინი არ არიან, თუმცა აქვთ გარკვეული მოთხოვნები (რჩევები), რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. უპირველესად, ეს ეხება მილსადენის 17-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც ბორჯომის რაიონს კვეთს და ორგანიზაციის ექსპერტებს სარისკოდ მიაჩნიათ. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდში აცხადებენ, რომ ალტერნატიული მარშრუტების სათანადო შესწავლა და შეფასება არ მომხდარა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ, დილიდან, თბილისის ცალკეულ უბნებს ელექტროენერგია შეზღუდვებით მიეწოდებოდა. "თელასის" ცენტრალური სადისპეტჩერო ცენტრის ინფორმაციით, შეზღუდვის მიზეზი ელექტროენერგიის დეფიციტის გამო საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან ქვესადგურებისთვის დენის მიწოდების შეწყვეტა იყო. დღის საათებში დედაქალაქის ელექტრომომარაგება გამოსწორდა, ვინაიდან "თელასმა" დღის 15.30 საათზე სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დროისათვის ბუნებრივი აირი თბილისის რაიონებს შეფერხებით მიეწოდება. როგორც "თბილგაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ამის მიზეზი ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ვარდნაა, რამაც ბუნებრივი აირის მილებში წნევის ვარდნა გამოიწვია. ამ პრობლემის მოგვარებას კომპანია სამ დღეში შეძლებს. შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის ბუნებრივი აირი აღარ მიეწოდება ისანი-სამგორის და მთაწმინდა-კრწანისის რაიონების ურჩ გადამხდელ მოსახლეობას და მეწარმეებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დღეებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს. ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, მისი უწყება საერთაშორისო სავალუტო ფონდის თბილისის მისიასთან ერთად იმუშავებს ბიუჯეტის პროექტზე, რათა პროექტში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ფონდის რეკომენდაციები. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო 2004 წლის მარტის თვეში განიხილავს. მანამდე - იანვარ-თებერვალში ქვეყანა ძველი ბიუჯეტის წლიური პარამეტრების ერთი მეთორმეტედი ნაწილის მიხედვით იცხოვრებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალისადმი" მოსახლეობისა და ორგანიზაციების საერთო დავალიანება 49,7 მილიონ ლარს შეადგენს. ამ თანხიდან 21,2 მილიონი ლარი თბილისის მოსახლეობის მიერ გადაუხდელი წყლის საფასურია. საბიუჯეტო ორგანიზაციებს "თბილწყალკანალის" 22,2 მილიონი ლარი მართებს, საიდანაც 18,7 მილიონი ლარი – ცენტრალური ბიუჯეტის ვალია, დანარჩენი კი დედაქალაქისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან არის გადასახდელი. სამეურნეო ორგანიზაციების დავალიანება 6,3 მილიონ ლარს შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "BP"-ის და "ევრაზიის ფონდის" ინიციატივით და თანადაფინანსებით, ბიზნეს და ეკონომიკურ ჟურნალისტიკაში დასაქმებულთათვის თბილისში 2-კვირიანი ტრენინგი ჩატარდება. როგორც "ინტერ-პრესს" "ევრაზიის ფონდში" განუცხადეს, თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ტრენინგში მონაწილეობას 10 თბილისელი და რეგიონიდან მოვლინებული 5 ჟურნალისტი მიიღებდა, თუმცა სემინარისადმი გამოვლენილი დიდი ინტერესის გამო ჟურნალისტთა რაოდენობა გაიზრდება. ორკვირიანი სემინარის პირველი კვირა უცხოელ ექსპერტს - მარგარეტ ფრენს დაეთმობა, მეორე კვირას კი სემინარებს ადგილობრივი ექსპერტები ჩაატარებენ. "BP"-ის ინიციატივით და დაფინანსებით, ანალოგიური პროექტი საქართველოში მეორედ მიმდინარეობს. ორგანიზაციული უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის ტრენინგებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გადიან. აღნიშნულ პროექტს ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი "CTC" ახორციელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის დაფინანსება საქართველოში 3 მილიონი დოლარით გაიზრდება. როგორც "BTCco"-ში განაცხადეს, აღნიშნულ თანხას "BP" დამატებით გამოყოფს, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ამ თანხას ისევ "მერსი ქორფსი" და "ქეა ინტერნეიშენელი" დახარჯავენ, თუ ამისთვის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები შეირჩევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "ფერომ" საერთაშორისო ხარისხის ჯილდო - "ოქროს გვირგვინი" მიიღო ლონდონში გამართულ საუკეთესო პროდუქციისა და ხარისხის საერთაშორისო კონკურსზე, რომელსაც ბიზნესინიციატივის საერთაშორისო ორგანიზაცია "ბი-აი-ბი" ატარებს. კონკურსში მსოფლიოს 42 ქვეყანა მონაწილეობდა. **ინტერ-პრესი**

## განმეორდება თუ არა ქართული სცენარი უკრაინაში?

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია საკონსტიტუციო რეფორმების პროექტი, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს და არა ხალხმა. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის იმ დეპუტატებმა და ფრაქციებმა შეიტანეს, რომლებიც პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას უჭერენ მხარს. იგივე კანონპროექტი მოქმედი პარლამენტისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას 2007 წლამდე ითვალისწინებს, რის შემდეგაც კუჩმას მხარდამჭერები ოპოზიციას არჩევნების ჩატარებას მხოლოდ პარტიული სიებით სთავაზობენ. ამჟამად, უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს – უმაღლესი რადას დეპუტატების ნახევარი პარტიული სიებით არის არჩეული, ხოლო ნახევარი - მაჟორიტარები არიან.

უკრაინის ოპოზიცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოვლენების ამგვარად განვითარებას და აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკრაინის რიგით მოქალაქეებს პრეზიდენტის არჩევის უფლებას ართმევს. ოპოზიციონერების თქმით, ეს გადაწყვეტილბა პირადად კუჩმას ხელწერით და სურვილით იქნა მიღებული, რადგანაც ხელისუფლებას არ ჰყავს ძლიერი საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებას მოახერხებს და ოპოზიციის კანდიდატს ვიქტორ იუშენკოს დაამარცხებს.

თავად იუშენკო აცხადებს, რომ თუკი პარლამენტი აირჩევს პრეზიდენტს, მაშინ ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატი – ამჟამინდელი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა იქნება. მართალია, ის უკვე მეორე ვადით არის არჩეული და, უკრაინის ამჟამინდელი კანონმდებლობის თანახმად, მესამედ კენჭისყრა აღარ შეუძლია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლების დაკვეთით ქვეყნის კონსტიტუციაში ეს ცვლილებაც განხორციელდეს და კუჩმას კვლავ გაეხსნას გზა ხელახალი პრეზიდენტობისაკენ.

კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, რომ პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის პრაქტიკა, უმრავლეს ევროპულ ქვეყნებშია დანერგილი და იქ მოქალაქეების უფლება ამ კუთხით სულაც არ იზღუდება.

კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად კი 226 პარლამენტარის ხმაა საჭირო. უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერის, ვლადიმირ ლიტვინენკოს განცხადებით, კუჩმას მხარდამჭერებს ამ რაოდენობის ხმების მოგროვება თავისუფლად შეუძლიათ. კენჭისყრა 23 დეკემბერს არის დანიშნული.

სავარაუდოა, რომ უკრაინის ოპოზიცია ამ ფაქტს არ შეეგუება და პრეზიდენტ კუჩმას საპრეზიდენტო პოსტზე ვადის გაგრძელების შესაძლებლობას არ მისცემს. ჯერჯერობით უცნობია, თუ კონკრეტულად რის გაკეთებას გეგმავენ უკრაინელი ოპოზიციონერები, მაგრამ კიევში რომ ვითარება ნელ-ნელა იძაბება და ფეთქებადსაშიში ხდება, აშკარაა.

და ბოლოს, მოსახლეობის განწყობის შესახებ. უკრაინის საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, სადაც მხოლოდ ერთი კითხვა იყო დასმული: **შესაძლებელია თუ არა უკრაინაში საქართველოს მოვლენების გამეორება?**

პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

*40,7 პროცენტი - არა, ჩვენები იყვირებენ და დაიშლებიან.*
*22,5 პროცენტი - დიახ, ეს უკვე დაწყებულია.*
*12,9 პროცენტი - რა საჭიროა?*
*8,1 პროცენტი - ქართული ვარიანტის გამეორება მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება.*
*8,1 პროცენტი - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები დაგვეხმარებიან.*
*7,4 პროცენტი - არა, ჩვენ მშვიდები, ჩუმები და მომთმენები ვართ.*

## სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების დიალოგი განახლდა

ხუთშაბათს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევისა და სომხეთის ლიდერის რობერტ კოჩარიანის პირველი შეხვედრა გაიმართა. ჟენევის სასტუმროში გამართული დიალოგი დაგეგმილზე ორჯერ მეტ ხანს, ორ საათს გაგრძელდა. შეხვედრიდან გამოსული ლიდერები კმაყოფილი ჩანდნენ და სიამოვნებით პოზირებდნენ ფოტოგრაფების წინაშე.

ალიევმა განაცხადა, რომ კმაყოფილია მოლაპარაკებებით, კოჩარიანმა კი პასუხისაგან თავი შეიკავა. "პრეზიდენტებს შორის პირისპირ მოლაპარაკებების განახლება კონფლიქტის დარეგულირების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია," – განაცხადა ალიევმა.

"ამ შეხვედრის მიზანი იყო, პრეზიდენტებისათვის ერთმანეთის გაცნობის საშუალება მიეცათ. ეს კი მომავალი მოლაპარაკებების საწინდარია," – განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილაიათ გულიევმა.

ჟენევის მოლაპარაკებებს წინ უსწრებდა "მინსკის ჯგუფის" თანათავმჯდომარეების, საფრანგეთის, აშშ-სა და რუსეთის წარმომადგენელთა ვიზიტი რეგიონში.

ჟენევის მოლაპარაკებები იყო პრეზიდენტების პირველი შეხვედრა 2002 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც უფროსი ალიევისა და კოჩარიანის რამდენიმე საათიანი შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. სულ ისინი 22-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

მინსკის ჯგუფის ფრანგმა თანათავმჯდომარემ ანრი ჟაკოლენმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მომწიფდა დრო მოლაპარაკებებზე გარლვევის მისაღწევად. "დღეს სრულიად ახალი ვითარებაა. გვყავს ორი პრეზიდენტი, რომლებიც დაახლოებით თანატოლები არიან. მე პირადად მჯერა, რომ დღეს წარმატების მისაღწევად უფრო უკეთესი პირობები არსებობს, ვიდრე ოდესმე".

მოლაპარაკებების შინაარსი ჯერჯერობით უცნობია. "მინსკის ჯგუფის" თანათავმჯდომარეთა განცხადებით, კონფლიქტის გადაწყვეტის რაიმე ახალი ვარიანტის გამოძებნა ნაკლებსავარაუდოა. საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს გულიევი. "ჩვენ არ გამოვრიცხავთ მოლაპარაკებების ნულიდან დაწყებას. ილჰამ ალიევი ახალი პრეზიდენტია, მას შეიძლება ახალი იდეები ჰქონდეს".

## ევროკავშირი კონსტიტუციას განიხილავს



ევროკავშირის სამიტზე ბრიუსელში.

პირველი გვერდიდან

პირველი მცდელობა, გაერთიანებას სამხედრო ასპექტებიც მოეცვა, წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავად ამისა, 60-70-იან წლებში ევროგაერთიანება მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკურ სუბიექტად ჩამოყალიბდა. პარალელურად, გაერთიანების გაფართოებისა და გაღრმავების პროცესი დაიწყო. პირველი - ერთიან ევროპაში ახალი ქვეყნების შესვლაში გამოიხატებოდა, ხოლო მეორე - ევროპული ინსტიტუტების, განსაკუთრებით, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის მშენებლობას მოიცავდა. 1991 წლის მაასტრიხტის სამიტზე ერთიან ევროპას უკვე ოფიციალურად ეწოდა ევროკავშირი და ამ გაერთიანების ინსტიტუტებმა დღევანდელი სახე მიიღეს. უნდა ითქვას, რომ ერთიანი ევროპის შენება სწორხაზოვანი არასდროს ყოფილა და რთული კრიზისებითაც ხასიათდებოდა.

ანალოგიურ ეტაპზე – გაღრმავებისა და გაფართოების – იმყოფება ევროკავშირი დღესაც. 2004 წლიდან ევროკავშირში 25 ქვეყანა იქნება წარმოდგენილი, ხოლო მოგვიანებით მათ რუმინეთი და ბულგარეთიც დაემატებიან. თანამეგობრობა, ეკონომიკის გარდა, აფართოებს თანამშრომლობას იუსტიციისა და თავდაცვის სფეროებშიც. ეს საკითხები კი ევროკავშირის სტრუქტურების დაუყოვნებლივ რეფორმირებას მოითხოვს. ამ მიზანს ემსახურებოდა მაასტრიხტის (1991), ამსტერდამის (1997) და ნიცის (2000) სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ მიზნის მიღწევას ცდილობენ გუშინ და დღეს ბრიუსელში. სამიტის მონაწილეებმა ევროპის კონსტიტუციის ტექსტი უნდა განიხილონ და, საუკეთესო შემთხვევაში, მიიღონ კიდეც. კონსტიტუციამ აქამდე არსებული ყველა ევროპული სამართლებრივი აქტი უნდა შეცვალოს.

კონსტიტუციის ტექსტი საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილმა კონვენტმა წარმოადგინა, სადაც ევროპის წევრი და კანდიდატი ქვეყნების 207 წარმომადგენელი მონაწილეობდა. კონვენტს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენი ხელმძღვანელობდა და იგი წელიწადნახევარი ამზადებდა ტექსტს. კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურა და ფუნქციები, განაწილებულია უფლება-მოვალეობები თანამეგობრობასა და წევრ ქვეყნებს შორის, გათვალისწინებულია ორმაგი კომპეტენციის საკითხების რეგულირების წესი. თუმცა, კონსტიტუცია არც ისეთი იდეალურია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მისი ტექსტი არის 25 ქვეყანას შორის კომპრომისების შედეგი, რაც, ფაქტობრივად, იმასაც გულისხმობს, რომ მთელ რიგ საკითხებზე არა "იდეალური", არამედ "შესაძლებელი" ფორმულირება მოინახა.

კომპრომისების პროცესში კონსტიტუციის ტექსტი თანდათანობით შორდება კონვენტის მიერ შემუშავებულ ვარიანტს. ამით უკმაყოფილებას ვერ მალავდა ჟისკარ დ`ესტენი. მიუხედავად ამისა, კომპრომისებმა ყველა პრობლემა მაინც ვერ მოხსნა. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები ბრიუსელში ისე შეიკრიბნენ, რომ კონსტიტუციის ყველა პუნქტზე საერთო ენა გამონახული არ ჰქონდათ. უმთავრესი პრობლემა კი ევროკავშირის ინსტიტუტებზე კონტროლის საკითხია, ანუ ის, თუ როგორი იქნება ხმებისა და ადგილების გადანაწილების პრინციპი. თითოეულ ქვეყანას სურს, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენა შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოს.

ამ მხრივ, ყველაზე პრობლემატურია პოლონეთისა და ესპანეთის პოზიცია. ეს ორი ქვეყანა 2000 წლის ნიცის შეთანხმების პრინციპების ძალაში დატოვებას ითხოვს. ამ შეთანხმებით, 27 ქვეყნისაგან შემდგარი ევროკავშირის (იგულისხმება, რომ იქამდე კავშირში ბულგარეთი და რუმინეთიც შევა) მინისტრთა საბჭოში ხმების რთული სისტემა უნდა შემოიღონ. საერთო 345 ხმიდან 245 ხმა იქნება გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო. მადრიდსა და ვარშავას ექნებოდათ, შესაბამისად, 27-27 ხმა, მაშინ, როცა მოსახლეობით ყველაზე დიდ გერმანიას მხოლოდ 29 ხმა ერგებოდა. არადა, ესპანეთისა და პოლონეთის მოსახლეობა, ერთად აღებული, გერმანიის მოსახლეობას არ აღემატება. შედეგად, ესპანეთსა და პოლონეთს, რამდენიმე პატარა ქვეყნის დამატებით, ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში ექნებოდათ ხმების ის რაოდენობა, რაც ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაჩერებლად საკმარისია. კონვენტის მიერ შემუშავებულ ტექსტში კი გათვალისწინებულია ე.წ "ორმაგი უმრავლესობის" ფორმულა, რომლის მიხედვითაც, თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ხმა, ხოლო უმრავლესობა შედგება მაშინ, როცა 25 ქვეყნიდან გადაწყვეტილებას ემხრობა 13 ქვეყანა, სადაც ევროკავშირის საერთო მოსახლეობის, სულ მცირე, 60 პროცენტი ცხოვრობს. ამგვარად დაცული იქნებოდა როგორც სახელმწიფოს სუვერენული ინტერესები, ასევე მოსახლეობის წარმომადგენლობითობის პრინციპი. თუმცა, ასე არ ფიქრობენ ესპანელები და პოლონელები. ისინი თავს მცირე და საშუალო ქვეყნების ინტერესების დამცველად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ "ორმაგი უმრავლესობის" ფორმულის ძალაში დატოვებით ევროკავშირში გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის დიქტატი დამყარდება. კონვენტის პროექტში გათვალისწინებული ფორმულა 2009 წლიდან უნდა ამოქმედდეს.

ასევე გაურკვეველია, თუმცა - ნაკლებად პრობლემატური, ევროკომისიასა და ევროპარლამენტში ეროვნული კვოტების გადანაწილების საკითხი. სხვადასხვა შეფასებით, ჯერაც შეუთანხმებელია კონსტიტუციის 100-მდე პუნქტი. სამიტის წინ გამართული მრავალმხრივი კონსულტაციები, მათ შორის - გერმანიის კანცლერისა და პოლონეთის პრეზიდენტის შეხვედრა, ადასტურებს, რომ კომპრომისის მიღწევა ძალზე რთული იქნება. "ეს სასწაული იქნებოდა", - ამბობს იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც ამჟამად ევროკავშირს ხელმძღვანელობს. თუ გერმანელები აქამდე შეუთანხმებელი საკითხების სამომავლოდ გადადებას არ ემხრობოდნენ, ახლა შრიოდერიც აღიარებს, რომ შეიძლება, კონსტიტუციის ან მისი ცალკეული საკითხების განხილვა კიდევ ერთი წელი გაგრძელდეს. ფაქტობრივად, ყველა იზიარებს ჟისკარ დ`ესტენის აზრს, რომ ცუდი კონსტიტუციის მიღებას სჯობს, საერთოდ არ მიიღონ იგი.

## ჩადრი - პოლიტიკური სიმბოლო


ფრანგულ სკოლებში ასე სიარული მალე აიკრძალება.

საფრანგეთის ყველა სკოლაში მუსლიმ გოგონებს უნდა აეკრძალოთ ჩადრის ტარება, სასწავლებლებში უნდა გამოიკრას რესპუბლიკის დევიზი: "ძმობა, ერთობა, თანასწორობა," – ასეთი რეკომენდაცია მისცა მთავრობას პრეზიდენტის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ.

ჩადრების აკრძალვის მიზანია "წინააღმდეგობის გაწევა იმ ჯგუფებისადმი, რომლებიც ქვეყნის დესტაბილიზაციას ცდილობენ". ცხადია, რომ ამ ჯგუფებში ისლამისტი ფუნდამენტალისტები იგულისხმება.

საფრანგეთში ამჟამად ევროპაში ყველაზე მეტი – 6 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს. რელიგიური თვითშეგნება მათში სულ უფრო იზრდება, ისევე როგორც მეჩეთებისა და ჩადრიანი გოგონების რაოდენობა.

რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში არათუ ისლამს, საკუთარ კათოლიკურ რელიგიას აღარ უყურებენ კარგი თვალით. სეკულარიზმი, სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული განცალკევება რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლადაა აღიარებული.

"მუსულმანებმა უნდა გაიგონ, რომ სეკულარიზმი ისლამისთვისაც კარგია, რადგან იგი გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევებას, არამედ რელიგიური განსხვავებების პატივისცემასაც," – აცხადებს კომისიის ხელმძღვანელი, განათლების ყოფილი მინისტრი, სტასი.

აკრძალვა შეეხება არა მხოლოდ ჩადრებს, არამედ სხვა აშკარა რელიგიურ სიმბოლოებსაც, როგორიცაა ებრაელთა კიპა და დიდი ქრისტიანული ჯვარცმა. თუმცა, მოსწავლეებს უფლება ეძლევათ, ატარონ შედარებით მოკრძალებული სიმბოლოები, რომელიც მათი რომელიმე რელიგიისადმი კუთვნილებას გამოხატავს: პატარა ჯვარი, დავითის ვარსკვლავი ან მცირე ყურანი.

გარდა ამისა, კანონი უკრძალავს პაციენტებს, უარი თქვან ექიმზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა სარწმუნოებას ეკუთვნის.

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას ყველა რელიგიის თანასწორობას, კანონპროექტი შეიცავს კიდევ ერთ მუხლს, რომელიც აცხადებს, რომ საფრანგეთის სკოლებში ისევე უნდა აღინიშნოს ებრაული დღესასწაული იომ კიპური და ისლამური ეიდ ალ-კაბირი, როგორც ქრისტიანული აღდგომა. ეს პირველი შემთხვევაა ქვეყნის ისტორიაში, როდესაც საჯარო დაწესებულები, კათოლიკურის გარდა, სხვა რელიგიურ დღესასწაულებსაც აღნიშნავენ.

აღსანიშნავია, რომ სეკულარული საფრანგეთი პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც ჩადრები აკრძალა (თუ არ ჩავთვლით თურქეთს). იმ ქვეყნებს, სადაც კათოლიკური რელიგიის გავლენა დიდია (მაგალითად, ესპანეთი) ეს ჯერ არ გაუკეთებიათ.

ახლო მომავალში სკოლებში ჩადრების აკრძალვას აპირებს გერმანიის ორი რეგიონი: ბავარია და ბადენ-ვიურტემბერგი. ისინი აცხადებენ, რომ მათი მიზანია, სკოლები ისლამისტი ფუნდამენტალისტებისაგან დაიცვან.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკრძალვა არ შეეხება ქრისტიანულ ან ებრაულ რელიგიურ სიმბოლოებს, რადგან, როგორც გერმანიაში ამტკიცებენ, ისინი კულტურული სიმბოლოებია, ჩადრი კი – პოლიტიკური.

## გაერო-მ კოსოვოს "საგზაო რუკა" წარადგინა

კოსოვოში გაერო-ს სამოქალაქო ადმინისტრაციის (UNMIK) ხელმძღვანელმა ჰარი ჰოლკერიმ წარადგინა პროგრამა "სტანდარტები კოსოვოსათვის". ამ დოკუმენტს, რომელსაც მხარის მომავალი უნდა განესაზღვრა, დიდი ხანი ელოდნენ.

კოსოვოს ალბანური მოსახლეობა დოკუმენტს დიდი მოწონებით შეხვდა, სერბულმა უმცირესობამ კი შეხვედრას ბოიკოტი გამოუცხადა და დოკუმენტი დაბლოკა. მათი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ იმ სერბებმა, რომლებმაც კოსოვო 1999 წელს, იუგოსლავიის არმიასთან ერთად დატოვეს, შინ დაბრუნების უფლება ვერ მიიღეს.

დოკუმენტში ჩამოთვლილია ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს კოსოვომ მანამ, სანამ მისი საბოლოო პოლიტიკური სტატუსის განხილვა დაიწყება. კრიტერიუმები მოიცავს: ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას, ეკონომიკურ განვითარებას და ეთნიკური სერბების დაბრუნებას. სტატუსზე მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, 2005 წლისათვის უნდა დაიწყოს.

ალბანური პოლიტიკური პარტიები აცხადებენ, რომ სრული დამოუკიდებლობის გარდა, არანაირ სტატუსს არ დათანხმდებიან. კოსოვოს პრეზიდენტმა იბრაჰიმ რუგოვამ ჰოლკერის განუცხადა, რომ ისინი სრულად უჭერენ მხარს წარდგენილ დოკუმენტს და ყველაფერს გააკეთებენ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რასაც ისინი, პრაქტიკულად, დამოუკიდებლობის წინაპირობად განიხილავენ.

## პაქსასის იმპიჩმენტის განხილვა დაიწყო

ლიტვის საკანონმდებლო ორგანოში უკვე შეგროვდა დეპუტატთა ხელმოწერების საკმარისი რაოდენობა, რაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისათვის არის საჭირო. პრეზიდენტ როლანდას პაქსასს საერთაშორისო დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირში ედება ბრალი.

პრეზიდენტის იმპიჩმენტს, ჯერჯერობით, სეიმის 40 დეპუტატი უჭერს მხარს, მაშინ, როდესაც ლიტვის კანონმდებლობის თანახმად, იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად 36 ხმაც საკმარისია. **"ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი გარდაუვალია, რადგანაც მან თანამდებობის ნებით დატოვება არ ისურვა,"** - აცხადებს სეიმის წევრი გინტარას სტეპონავიჩუსი. იმპიჩმენტის სისრულეში მოყვანისათვის სულ 85 დეპუტატის ხმაა საჭირო. ლიტვის სეიმის მთელი შემადგენლობა კი 141 დეპუტატს შეადგენს. ამავე დროს, 16 დეკემბერს ლიტვის პარლამენტში მოსალოდნელია კომისიის შექმნა, რომელსაც პაქსასისადმი წაყენებული ბრალდებების საფუძვლიანობის შემოწმება დაევალება. ეს იმპიჩმენტის დაწყების წინა პროცედურა იქნება. იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების დღედ კი 18 დეკემბერს ვარაუდობენ, თუმცა ეს თარიღი საბოლოოდ დაზუსტებული არ არის.

ლიტვის პრეზიდენტის გარშემო სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს მასალები, რომელთა თანახმადაც, პაქსასის საარჩევნო კამპანიას დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული რუსი ბიზნესმენები აფინანსებდნენ.

პრეზიდენტის წინააღმდეგ ტალღის აგორება მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს საინფორმაციო საშუალებებში დაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციის გაჟონვას მოჰყვა. მართალია, პრესაში სპეცსამსახურების დოსიე სრულად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ რამდენიმე გვარი მაინც გამოჩნდა. ამ ცნობების თანახმად, პაქსასის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დამფინანსებლის, იგორ ბორისოვის სახელი რუსეთიდან სუდანში იარაღის უკანონო ვაჭრობას უკავშირდება. ბორისოვმა პაქსასის საარჩევნო კამპანიაში 1,2 მლნ ლიტი ჩადო, რაც, დაახლოებით, 350 ათასი ევროა. საინტერესოა, რომ პაქსასმა, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ბორისოვს ლიტვის მოქალაქეობა მიანიჭა. ინფორმაციებში ასევე ნათქვამია, რომ პაქსასის გარემოცვის რამდენიმე წევრს, მათ შორის - მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში, რამიგიუს აჩასს კავშირი აქვს საერთაშორისო კრიმინალურ დაჯგუფებებთან. სახელდება აჩასის კავშირი რუს ბიზნესმენ ანზორ კიკალიშვილთან, რომლის კომპანია "ასოციაცია 21-ე საუკუნე" კრიმინალურ ქმედებებშია შემჩნეული. აჩასის უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე შეჩერებულია. პაქსასი კი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ "პოლიტიკურ შეთქმულებას" აქვს ადგილი, რომელშიც ქვეყნის სპეცსამსახურებიც მონაწილეობენ. იგი ყველა ბრალდებას უარყოფს და პოსტიდან წასვლას არ აპირებს. თუმცა, იმპიჩმენტის პროცედურა უკვე გარდაუვალია.


## გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიციურ პირებს **გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობას შეადგენს უზრუნველყოს, რომ საველე ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის დროს დაცული იყოს კონტრაქტის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პირობები, "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" (ESIA) პირობები და პროექტის უმთავრესი ფასეულობები. მას ურთიერთობა ექნება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჯგუფთან. მშენებლობის კონტრაქტთან, ობიექტის ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის ჯგუფის წარმომადგენლებთან, საველე არქეოლოგებსა და დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოსდაცვით ინსტრუქტორებთან. გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი ანგარიშვალდებულია მილსადენის პროექტის საველე წარმომადგენლის წინაშე ("პირდაპირი ანგარიში") და გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის წინაშე ("ფუნქციონალური ანგარიში"). გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის სამუშაო მოითხოვს ველზე ყოფნას და სამშენებლო ბანაკებში ცხოვრებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდებით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

ზედამხედველობის განხორციელება საველე გარემოსდაცვით საქმიანობაზე;

კონტრაქტორის საველე საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი გარემოსდაცვითი კუთხით, კონტრაქტის მოთხოვნების და ESIA-ს ანგარიშში ასახული ვალდებულებების დაცვის თვალსაზრისით;

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამების შესრულება, გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინსტრუქციების შესაბამისად;

მონაწილეობა გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებული ტრენინგების პროგრამაში;

სამუშაო პროგრამის შედგენა ისე, რომ ის მაქსიმალურად მოიცავდეს კონტრაქტორის საქმიანობის ყველა სფეროს;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველისთვის რეგულარული ანგარიშის მიწოდება გარემოს დაცვის სფეროს მოთხოვნების დაცვის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვანი საკითხების დაუყოვნებლივ მოხსენება;

პროექტის ESIA-ს ანგარიშის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა, მაგალითად, წინასამშენებლო დათვალიერება, მონიტორინგის და ანგარიშგების პროგრამა;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინფორმირება "შეუსრულებლობის" შემთხვევაში, შესაბამისი გაფრთხილებების გაცემა კონტრაქტორის მისამართით;

მილსადენის მარშრუტის კონკრეტულ მონაკვეთზე წარმოქმნილი ლოკალური საკითხების მოსაგვარებლად მითითებების გაცემა;

სამუშაოს წინმსწრები საინსტრუქტაჟო საუბრების გამართვა კონტრაქტორთან, კონკრეტულ გარემოსდაცვით საკითხებზე.

**მოთხოვნები:**

გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება. სასურველია ობიექტზე მუშაობის გამოცდილება მილსადენის პროექტის ფარგლებში;

შესაფერისი სამეცნიერო ან ტექნიკური დიპლომი;

პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange, MS Outlook - კარგად ფლობა;

- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარი;
- კონტრაქტორის პერსონალთან მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა და თვითდაჯერებულობის ისეთი უნარი, რომელიც კონტრაქტორის საველე საქმიანობაზე ზეგავლენას უზრუნველყოფს;
- მოწესრიგებული, პრაქტიკული და პრაგმატული;
- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 დეკემბერი, ოთხშაბათი, საღამოს 18.00 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების დეპარტამენტი**
**AGT მილსადენების პროექტი**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

## წითელი ჯვრის ქართული საზოგადოება მუშაობას იწყებს

*საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ექვსთვიანი გამოცდა წარმატებით გაიარა - წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოში მუდმივი წარმომადგენელი გამოგზავნა. საზოგადოება სოციალურ სფეროში დახმარების პროგრამების განხორციელებას მალე დაიწყებს. როგორც საზოგადოების პრეზიდენტი ნანა ყეინიშვილი აცხადებს, ამიერიდან ჰუმანიტარული ტვირთი მეორე რაუნდებისთვის შემოვა. პროგრამები, ძირითადად, წითელი ჯვრის ქართული საზოგადოებისა და სოციალური სფეროს განვითარებას ისახავს მიზნად.*

ნანა ქადაგიშვილი

ორი წლის წინათ, წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციასა და საქართველოს წარმომადგენლობას შორის განხეთქილების შემდეგ, ქართულმა მხარემ ფედერაციის დახმარების იმედი დაკარგა. როგორც ცნობილია, ფედერაციამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეროვნული საზოგადოების მაშინდელი ხელმძღვანელის ნოდარ ცქიტიშვილის კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეიტანეს და საქართველოს ჰუმანიტარული პროგრამების დაფინანსება შეუჩერეს. რამდენიმე თვის შემდეგ კი, როცა 27 სექტემბრის გენერალურ ასამბლეაზე, ცენტრის ორგანიზაციული კოლაფსის შემდეგ, ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საზოგადოების მიმართ ნდობა კვლავ ვერ აღიდგინეს. ასამბლეამ საზოგადოების წინაშე რამდენიმე პირობა დააყენა, რომელთა შესრულების შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაცია თანამშრომლობას განაახლებდა. ფედერაციის დასკვნით: **"შემდგომი კრიზისული სიტუაციის შედეგად, საზოგადოების ინფრასტრუქტურა მთლიანად მოიშალა, განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კიდევ ერთ ასეთ კოლაფსს ეროვნული საზოგადოება ვეღარ გადაიტანს".**

ასეთი დასკვნის მიუხედავად, წელს, 20 აპრილს საერთაშორისო ფედერაციის თავჯდომარე და სამხრეთ კავკასიის რეგიონული დელეგაციის ხელმძღვანელი კარლ ნაიკულრი საქართველოში მაინც ჩამოვიდა და ჩვენი ქვეყნის წითელი ჯვრის საზოგადოებას კიდევ ერთი შანსი მისცა. 23 აპრილს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ფედერაცია საქართველოს დახმარებას გაუწევს ექვსი პირობით: აუცილებელია საზოგადოების ახალი მმართველობისა და ხელმძღვანელის მუშაობისთვის სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეროვნული საზოგადოების მისიისა და სტრატეგიის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესება, ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემის შექმნა და სხვა.

მოგვიანებით ჩატარდა ახალი გენერალური ასამბლეა და დელეგატებმა ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს. ნოდარ ცქიტიშვილის ასამბლეის განცხადებით, საზოგადოების ახალი ხელმძღვანელობა ერთი წელი მოსინჯვის ვადა მიეცა. საზოგადოების პრიორიტეტებად ითვლება: ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურება, კატასტროფებისთვის მზადყოფნა და რეაგირება, ჰუმანიტარული ღირებულებების ხელშეწყობა და სხვა. ფედერაციის მოადგილე ჯოან მაკკართი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მისი თანამშრომლობის მხარდაჭერით, საზოგადოება მოსახლეობის დახმარებას იწყებს. როგორც ნანა ყეინიშვილი აცხადებს: **"ეს პრიორიტეტები ზოგადია. კონკრეტულ ბიზნესგეგმებს რაიონებში სიტუაციის შესწავლის შემდეგ შევიმუშავებთ და მოსახლეობის დახმარებას ყველაზე გაჭირვებული რეგიონებიდან დავიწყებთ,"** – აცხადებს ყეინიშვილი.

## ილაპარაკეთ ჟესტების ენაზეც

2003 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მუხლი სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დისკრიმინაციისთვის. ამ მოთხოვნის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ტელევიზიებს ევალებათ, თითო საინფორმაციო საშუალება ეთერში ჟესტიკულაციის ენის თანხლებით გაუშვან. "ამის გარეშე, ექვის ათასზე მეტი ადამიანია მოკლებული ინფორმაციის მიღების საშუალებას, რაც მათ უფლებებს არღვევს, - აცხადებენ საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენლები, - ყრუთა კავშირმა ცესკო-საც მიმართა თხოვნით, უზრუნველყოს საარჩევნო პერიოდში არჩევნებში მონაწილე პირთა გამოსვლების, სპეციალური თარჯიმნის თანხლებით გაშვება. ამის გაკეთებას ტელეკომპანიებს 1 დეკემბრიდან უკვე კანონი ავალდებულებს. თუ ისინი კანონის იგნორირებას შეეცდებიან, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს."

*24 საათი*

## სივრცის მინიმუმი სოციალური სფეროსთვის

ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - "ქართული მედია და სოციალური სფერო," ფარგლებში, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, ორგანიზაციამ, "დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის," ქართულ მედიაში სოციალური საკითხების გაშუქების კვლევა აწარმოა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პრესისა და ტელევიზიის ქართული საშუალებები სოციალურ საკითხებს მეტად მწირად აშუქებენ. მაგალითისთვის: "მოამბეში" ამ თემებს სიუჟეტების 38,5 პროცენტი ეთმობა; ყველაზე ხანგრძივი სიუჟეტი ხუთწუთიანია, ყველაზე ხანმოკლე – ერთწუთიანი. "კურიერი" სიუჟეტების 42,9 პროცენტს უთმობს სოციალურ თემატიკას; ყველაზე ხანგრძლივი სიუჟეტი იქ ორ წუთს გრძელდება, ყველაზე ხანმოკლე – ერთი წუთს. რაც შეეხება გაზეთებს, აღმოჩნდა, რომ სოციალურ პრობლემატიკას საგაზეთო ფართობის მხოლოდ სამი-ოთხი პროცენტი ეთმობა. სოციალურ თემატიკაზე ჩატარებული სემინარების შემდეგ პროექტის ორგანიზატორებმა კონკურსიც ჩაატარეს ამ საკითხებზე მომზადებული საუკეთესო ტელე-რადიო და საგაზეთო პუბლიკაციების გამოსავლენად. პირველი პრემიით რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმის" ჟურნალისტი თამარ ბალავაძე დაჯილდოვდა, მეორე პრემია მიიღო გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტმა ეთერ მამულაშვილმა, მესამე პრემია – გუბაზ მეგრელიძემ (გაზეთი "ახალი ერა"), მეოთხე პრემია – ირმა კახურაშვილმა "მთავარი გაზეთიდან".

**24 საათი**

## საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს

კოალიცია აერთიანებს 52 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ომის ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციას. გაერთიანების იდეაა, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (ინვალიდების) დამოუკიდებლობას ქართულ საზოგადოებაში და მათ კეთილდღეობას.

სულ რამდენიმე დღეში საქართველოს მოსახლეობა აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს. ამომრჩეველთა შორის, 200 ათასამდე ადამიანს ორგანიზმის ფუნქციური მოშლა აქვს, რაც მათი შეზღუდული შესაძლებლობების (ე.წ. ინვალიდობის) მიზეზი გახდა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ და მოგმართავთ, რომ ჩვენ არ ვართ არც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესების გამომხატველნი - ჩვენ გვამოძრავებს სურვილი, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება და აშენდეს სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეთა თავისუფლების, თანაბარუფლებიანობისა და კეთილდღეობის დაცვას ცხოვრების წესად აქცევს; სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსა და ომის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანებს მხოლოდ ქველმოქმედებასა და მედიცინას არ მიანდობენ, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული. ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი დამოკიდებულება და ხედვა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა და ვეტერანთა მიმართ თქვენს წინასაარჩევნო პროგრამაში, ასევე - სატელევიზიო გამოსვლებისა და სატელევიზიო დებატების დროს.

*პატივისცემით,*
*კოალიციის აღმასრულებელი საბჭო*

# ახალ ხელისუფლებას ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ეპატიჟებიან

### რა მოხდა და რა ხდება ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში

*საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრი, 6 თვეა, ფუნქციონირებს და ჯერ კიდევ სჭირდება იმის მტკიცება, რომ სრულად ამართლებს სახელს - "ეროვნული". მის წინააღმდეგ არაერთგზის გაილაშქრეს თავად იმ ექიმებმა, რომლებიც კლინიკაში სამუშაოდ ვერ მოხვდნენ და, რომელთაც მიაჩნიათ, რომ, ეროვნული სამედიცინო ცენტრის სახით, ძლიერი კონკურენტი გაუჩნდათ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

### უსაფუძვლო შეშფოთება

ერთი შეხედვით, ექიმთა შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ არის, ვინაიდან მსოფლიო ბანკის, აშშ-ს, იაპონიისა და გერმანიის მთავრობების დახმარებით, ეროვნული სამედიცინო ცენტრი IV დონის უმაღლესი ხარისხის კლინიკაა. იგი აღჭურვილია ისეთი ულტრათანამედროვე აპარატურით, რომლის ანალოგი, ამიერკავკასიაში კი არა, როგორც უცხოელი ექიმები აღნიშნავენ, განვითარებული ქვეყნების ბევრ თანამედროვე კლინიკაშიც კი არ არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება ცენტრის პრიორიტეტულად დაფინანსების შესახებ და კლინიკაში არაოფიციალურ გადასახადს არავის სთხოვენ, ექიმების პოზიცია გასაგები ხდება, – ყველა "ღუდუშაურში" წავა და ჩვენ პაციენტი მოგვაკლდებაო. მაგრამ, არც ასე ყოფილა საქმე. ურგენტული (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების უმწეოთა სახელმწიფო პროგრამების, ასევე, ქვეყნის რეფერალური სისტემის ფარგლებში, ეროვნული სამედიცინო ცენტრი ემსახურება ავადმყოფთა უმძიმეს კონტინგენტს, რომლის გადარჩენის შანსი სხვა საავადმყოფოებში არ არის. როგორც კლინიკის ხელმძღვანელობა ამბობს, ისე არავინ გაიგოს, თითქოს, ცენტრში მომუშავე ექიმები ყველაზე უკეთესები არიან, უბრალოდ, აღჭურვილობა და სამედიცინო სამსახურის ორგანიზება აქვთ გამორჩეული. ცხადია, ამ მომსახურებაში პაციენტები ფულს არ იხდიან. რაც შეეხება მეან-გინეკოლოგების შეშფოთებას, ესეც ამაო გარჯა გამოდგა. ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამშობიაროში სულ 30 საწოლია, თბილისში კი წელიწადში 15 ათას მშობიარობაზე მეტი აღირიცხება. ამასთან, ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფიზიოლოგიურ მშობიარეებს არ ღებულობენ, რათა მძიმე პათოლოგიური შემთხვევებისთვის საწოლები მუდამ იყოს. დღეში 5-10 მშობიარეს ვეუბნებით უარს და სხვა სამშობიაროებში ვაგზავნითო, - განაცხადა პერინატალური სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რეზო სულუხიამ. ასე რომ, სხვა მეანებს ეროვნული ცენტრის კონკურენციის სულ ტყუილად ეშინიათ.

ყოველივე ამის სათქმელად გუშინ ცენტრში ბრიფინგი გამართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა მარინა ღუდუშაურმა, რომელმაც ჟურნალისტებს თავდაპირველად კლინიკა დაათვალიერებინა. სათქმელი ბევრი იყო და ბრიფინგი დიდხანს გაგრძელდა. მარინა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ კლინიკაში უმწეო და უმძიმესი ავადმყოფები მთელი საქართველოდან მოჰყავთ. მათ შორის, ბევრმა არც კი იცოდა კლინიკის არსებობის შესახებ. მომხსენებელმა ამით გააქარწყლა ის აბსურდული ბრალდება, რომ კლინიკა მხოლოდ პრესტიჟული პაციენტებისთვის აშენდა.

### გახმაურებული ფაქტი

ჟურნალისტების თხოვნით, მარინა ღუდუშაური დაწვრილებით მოჰყვა იმ ამბავსაც, რომლის შესახებ სიუჟეტი "რუსთავი-2"-მა გააკეთა.

მარინა ღუდუშაური: "3 დეკემბერს, საღამოს სასწრაფომ მოიყვანა ნასვამი მამაკაცი, რომელსაც ლავიწის ძვლის მოტეხილობა ჰქონდა. მორიგე ბრიგადის გარდა, იგი გასინჯა რეანიმატოლოგმა, ტრავმატოლოგმა და ნეიროქირურგმა, რომელმაც ეჭვი შეიტანა ქალა-ტვინის ტრავმაზე. რენტგენზე გამოჩნდა ქალის დაზიანება (ბზარი). ამის გამო, აუცილებელი გახდა ტვინის კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა, რაც მაშინვე გაკეთდა.

სამწუხაროდ, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა არ შედის არც ერთ სახელმწიფო სტანდარტში, ვინაიდან ჯერჯერობით სახელმწიფო ბიუჯეტს ამ ტვირთის აღება არ შეუძლია. ამიტომ, ავადმყოფის მეუღლე გააფრთხილეს, რომ აღნიშნულ გამოკვლევაში მას 100 ლარი ექნებოდა გადასახდელი.

გამოკვლევამ დაადგინა ტვინში სისხლის ჩაქცევა და იმის მიუხედავად, რომ 100 ლარი გადახდილი არ იყო, ავადმყოფს მეორე დღეს, კონტროლის მიზნით, კიდევ ერთხელ ჩაუტარდა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ სისხლჩაქცევა მომატებული იყო, რასაც სასწრაფო ოპერაცია მოჰყვა.

ოპერაციის შემდეგ ექიმმა პაციენტის მეუღლეს შესთავაზა, რომ თავის ქალიდან ამოღებული ძვალი სახლში წაეღო. ქალბატონმა ბრძანა, რომ ამის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ მისმა დამ ძვალი წაიღო.

მეორე დღეს, 5 დეკემბერს მოვიდნენ და უკან დააბრუნეს ძვალი, რომელიც, ყოველგვარი ზედმეტი მითქმა-მოთქმის გარეშე, პათომორფოლოგიურ ლაბორატორიას ჩაბარდა.

უცებ, 8 დეკემბერს, საღამოს ვესტიბიულში იწყება ჩვენი ავადმყოფის მეუღლის წივილ-კივილი, - ძვალი სახლში გამატანეს და 100 ლარი მომთხოვესო, ჩნდება "რუსთავი 2"-ც. ჩავედით, ამოვიყვანეთ ის ქალბატონი, გავარკვიეთ ყველაფერი.



*ბრიფინგზე შუშის ნაჭერი გვაჩვენეს, რომელიც ავარიაში მოყოლილ ხაშურელ კაცს ამოუღეს გულ-მკერდიდან.*

ძვლის გატანება მიღებული პრაქტიკაა, როცა ავადმყოფის პატრონს ეუბნებიან, რომ პლასტიკური ოპერაციისთვის საჭიროა ამოღებული ძვლის შენახვა ზუსტი ზომის ტრანსპლანტანტის გასაკეთებლად.

პაციენტი მძიმე მდგომარეობაშია და დღემდე რეანიმაციაში იმყოფება. მისი მკურნალობისათვის უკვე დაიხარჯა 10 ათას ლარზე მეტი. აქედან ავადმყოფის პატრონს ერთი თეთრიც არ გადაუხდია (ცხადია, იმ გამოკვლევის 100 ლარის გარდა).

ეროვნულ სამედიცინო ცენტრში თანაგადახდის პრინციპი მოქმედებს - მკურნალობის 75%-ს სახელმწიფო იხდის, 25%-ს – პაციენტი. ამიტომ, ჩვენი ავადმყოფის მეუღლესაც უწევდა 2-2,5 ათასი ლარის გადახდა, ვინაიდან მას უმწეოთა პოლისი არ ჰქონდა; მაგრამ, როგორც ექიმები ამბობენ, მან ორიოდე დღის წინათ საიდანღაც გააჩინა ეს პოლისი.

მე შევხვდი ამ ქალბატონს და ვკითხე, - ხომ არ მოატანინეს მათ რაიმე მედიკამენტი, ვინმე კონსულტანტი ხომ არ მოაყვანინეს ან ხომ არ გადააახდევინეს ფული. მითხრა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია."

### "რუსთავი-2"-ს მოვიყვან!

იმ სიუჟეტის შემდეგ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის პოპულარობა ეროვნული სამედიცინო ცენტრის პაციენტებს შორისაც ერთი-ორად გაზრდილა და მეორე დღეს ასეთი ამბავი მომხდარა. კლინიკის ვესტიბიულში ერთ წალკელს ყვირილი აუტეხავს, - უფროსი მომიყვანეთ აქა, დედას გიტირებ, ცოლი რათო მომიდგნესო.

გადარეულა ხალხი და კლინიკის დაცვა - რას მიედ-მოედებიო, მაგრამ "დაზარალებული", თურმე, არ ცხრებოდა და გაჰკიოდა, - ცოლი სამშობიაროში მომიდგნესო და, თუ უფროსი არ მოვა, "რუსთავი 2"-ს მოვიკვან და დედას გიტირებთო.

ჩამოსულა მთელი ადმინისტრაცია. "დაზარალებულს" მათთვის ცოლის წერილი გადაუცია. აი, ცოლი რას წერს, - მამუკა ექიმმა მოდგნაო. წერილი აზერბაიჯანულ ენაზე ყოფილა და, ცხადია, ვერავინ ვერაფერი გაიგო, ამიტომ ამბის გასარკვევად მთელი დელეგაცია ცოლის პალატისკენ წასულა, ვიდეოკამერაც გაუყოლებიათ, - ყველაფერი დავაფიქსიროთ, შარში არ გავეხვიოთო.

წინ კამერა, უკან განრისხებული წალკელი - დავწვავ ყველაფერსო; ადმინისტრაციაც იქვე იყო. პალატაში ქმარი ტირილით შესულა - ვაი, ეს რა მიქნესო, და ცოლს მივარდნილა. ტირილში ისიც აჰყოლია, მაგრამ გულამოსკვნილი საუბარი უცებ შეუწყვეტია და ხელი გაუსავსავებია - არა, არაო.

როგორც აღმოჩნდა, ცოლს ქმრისთვის მიუწერია, მშობიარობის შემდეგ გამკერესო, მაგრამ იმას სწორად ვერ ამოუკითხავს. ძლივს გამოჰგლიჯეს, თურმე, "დაზარალებული" ექიმებს ხელიდან.

### ეროვნული სამედიცინო

პრიორიტეტული დაფინანსების შესახებ სახელმწიფოს გეგმის მიუხედავად, ეროვნულ სამედიცინო ცენტრს დღეს ძალიან უჭირს. წინსწრების პრინციპი კი არა, ორი თვეა, ხალხს ხელფასები არ აუღია; გაჩნდა მედიკამენტების დეფიციტი, რაც ცენტრის ფუნქციიდან გამომდინარე, სრულიად დაუშვებელია. საფრთხის ქვეშ დადგა ეროვნული კლინიკის იდეა, მაგრამ, ამის მიუხედავად, 23 დეკემბერს, მედმუშაკთა დღესთან დაკავშირებით, ცენტრში ზეიმი მაინც გაიმართება. ხელმძღვანელობას კი გადაწყვეტილი აქვს, პროფესიულ დღესასწაულზე მიიწვიოს მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია. ხომ უნდა ნახოს ხელისუფლებამ, რა სიმდიდრეს ფლობს.

ზღვარზე

# რა უჯდება სახელმწიფოს მოსწავლე თაობა

ნანა ქადაგიშვილი

*საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს არც ერთ განვითარებულ ქვეყანას ტოლს არ დაუდებს. სულ, საბიუჯეტო და კერძო სექტორების ჩათვლით, ჩვენ სახელმწიფოში 3350 საშუალო სკოლა და 226-მდე უმაღლესი სასწავლებელია. რაც შეეხება განათლების ხარისხს, ამაში განვითარებულ ქვეყნებს ნამდვილად ვერ შევედრებით. ეს გასაკვირი არც არის - საქართველო ერთ მოსწავლეზე წელიწადში, საშუალოდ, 110 ლარს ხარჯავს.*



3350 სკოლიდან 3173 საბიუჯეტოა. ცენტრალური ბიუჯეტიდან მხოლოდ 42 ინსტიტუცია, ძირითადად, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები ფინანსდება. ერთი სკოლა-ინტერნატისთვის წელიწადში ერთ ბავშვზე, საშუალოდ, 1600-2000 ლარი გამოიყოფა. აქედან 732 ლარამდე კვებაზე მიდის, დანარჩენი – პედაგოგთა ხელფასებს, სამეურნეო და კომუნალურ ხარჯებს ხმარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა-ინტერნატებში ბავშვები არ შიმშილობენ (ზოგჯერ გაჭირვებული პედაგოგებიც მათთან ერთად იკვებებიან) და სასწავლო ნივთები, ასე თუ ისე, აქვთ.

დანარჩენი სახელმწიფო სკოლების დასაფინანსებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 81- მილიონიანი ტრანსფერი გამოიყოფა. ეს თანხები, ძირითადად, პედაგოგთა ხელფასებზე მიდის, საოფისე და კომუნალური ხარჯები კი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (რომელ რაიონსაც როგორ შეუძლია) ფინანსდება. სახელმწიფოს ერთი მოსწავლის შენახვა წელიწადში, საშუალოდ, 110 ლარი უჯდება. ეს კი წლობით გამოუცვლელ მერხებს (10-12 წელია, სკოლების უმრავლესობაში მერხი არ შეცვლილა), გაურემონტებელ შენობებს, დაბალანაზღაურებად პედაგოგებსა და, ხშირ შემთხვევაში, სახელმძღვანელოების გარეშე დარჩენილ მოსწავლეებს ნიშნავს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისის სკოლებში. თუმცა, აქაც, 200 ავარიული სკოლიდან, მესამედი თუა გარემონტებული. როცა დედაქალაქში ასეთი მდგომარეობაა, რაიონებსა და სოფლებში არსებული სიტუაცია ადვილი წარმოსადგენი იქნება. მაგალითად, წალკის რაიონის სოფელ გუმბათში სკოლის შენობის ფუნქციას მატარებლის ვაგონი ასრულებს, ცარცს ნახშირი ცვლის, სკამები კი მოსწავლეებს სახლებიდან მიაქვთ.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სწავლების ხარისხიც შესაბამისი იქნება. სწავლებაზე გაწეულ ხარჯთან შედარებით, შედეგი მოსალოდნელზე უკეთესიც კია; თუმცა, სკოლის დამთავრების შემდეგ, რეპეტიტორთან მომზადების გარეშე, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე უმეტესად ოცნებაც კი ზედმეტია. ამის მიზეზი უმაღლესებში გამეფებული კორუფციაც გახლავთ, მაგრამ მთავარი მაინც სკოლიდან მიღებული განათლების დაბალი დონეა.

უკეთესი მდგომარეობა არც უმაღლეს სასწავლებლებშია. მაგალითად, განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ცხრა უმაღლეს სასწავლებელზე სახელმწიფო 3 675 600 ლარს ხარჯავს. ამ თანხაში შედის: პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები, მივლინებისა და სამეურნეო ხარჯები და სტიპენდია. უფრო კონკრეტულად კი, თუნდაც, სამედიცინო უნივერსიტეტის (ეს სასწავლებელი ავტონომიურია და თანხას პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს) ერთი სტუდენტი სახელწიფოს წელიწადში 900 ლარი უჯდება (ისიც - თუკი საბიუჯეტო გეგმა შესრულდა და თანხები დროულად გადაირიცხა). ეს თანხა ხელფასებზე, სტიპენდიასა და კომუნალურ ხარჯებზე ნაწილდება. პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი 36 ლარიდან 90 ლარამდე მერყეობს. თანხის სიმცირის გამო, სტიპენდიას - 45 ლარს, მხოლოდ ხუთოსნები იღებენ. რაც შეეხება კომუნალურ ხარჯებს, როგორც უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელი ნატა ჯანელიძე აცხადებს, ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები მხოლოდ ელექტროენერგიისა და გათბობის ხარჯების ნაწილს ფარავს. რაც შეეხება უნივერსიტეტის ტექნიკურ ბაზას, ახალი აპარატურის შეძენას სახელმწიფო სახსრები ნამდვილად ვერ წვდება. **"აპარატურას ფასიანი განყოფილების შემოსავლით ვყიდულობთ, ან ვინმე თუ გვაჩუქებს. სამედიცინო სასწავლებელში ერთ სტუდენტზე, სულ ცოტა, 2000 დოლარი მაინც უნდა იხარჯებოდეს,"** – აცხადებს ჯანელიძე.

საქართველოს ახალგაზრდობას კი უკვე მაღალი, თანამედროვე ცხოვრების შესაფერი მოთხოვნები აქვს. **"გვინდა, ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომი საერთაშორისო მასშტაბით აღიარონ და განათლების დონით უცხოეთის განვითარებული ქვეყნების სტუდენტებს არ ჩამოვუვარდებოდეთ,"** – აცხადებდნენ გუშინწინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლეთა ლექტორებსაც სახელმწიფო ერთ საათში 50 თეთრს უხდის.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID / Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დედაქალაქში ბოლო კვირის განმავლობაში დაბინძურებული ადგილების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ გამოავლინა სანიტარიული ნორმების დარღვევის 116 წერტილი; ნაგვის ბუნკერები დაუცლელი დარჩა ხომლელის ქუჩის №4-ში, ვარკეთილი-III-ის რამდენიმე კორპუსში, ხმელნიცკის ქუჩის №48ა-ში და დიღმის მასივის მეორე კვარტალში მდებარე რამდენიმე კორპუსში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკვე რამდენიმე დღეა, თბილისის მერიის ყველა შესასვლელს განსაკუთრებულად იცავენ. ცენტრალურ შესასვლელში ლითონის ამომცნობი დანადგარი დაიდგა და გამკაცრდა კონტროლი შენობაში შემსვლელებზე. შენობის გარშემო სპეციალური დაცვის სამსახური მორიგეობს. არაოფიციალური ინფორმაციით, დაცვის გაძლიერების შესახებ განკარგულება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გასცა. აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს თბილისის მერიის დაცვის სამსახური, თუმცა აცხადებს, რომ აღნიშნული ზომები ქვეყანაში გამწვავებული კრიმინოგენური ვითარებითაა გამოწვეული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც თბილისის მერიის საფინანსო სამსახური აცხადებს, თბილისის ბიუჯეტი წლევანდელი ოქტომბერ-ნოემბრის საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას შეძლებს. ნოემბრის თვეში თბილისის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 18 მლნ ლარი იყო. იგი მხოლოდ 15.626 მლნ ლარით შესრულდა, გარღვევამ 2 მლნ 337 ათასი ლარი შეადგინა. სამმართველო ამჟამად მხოლოდ პენსიებისა და ხელფასების დავალიანებების დროულად გაცემაზე მუშაობს. დაიფარება ოქტომბრის და ნოემბრის საპენსიო დავალიანებები და გაიცემა საბიუჯეტო ორგანიზაციების ამავე თვეების ხელფასები. თბილისელი პედაგოგებიც ნოემბრის თვის ხელფასებს დროულად მიიღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა დავით აღმაშენებლისა და რუსთაველის ძეგლების გამწმენდი სამუშაოები დაიწყო. ეს ორი ძეგლი სპეციალური ხსნარით გაიწმინდება, რისთვისაც 150-200 ლარი დაიხარჯება. თბილისში უამრავი მონუმენტური ძეგლია სავალალო მდგომარეობაში. მათ, გაწმენდის გარდა, შეკეთებაც სჭირდებათ. კულტურის საქალაქო სამსახური კეთილმოწყობის სამსახურს ამ საქმეში გარკვეულ რეკომენდაციებს და დახმარებას გაუწევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თევზითა და თევზპროდუქტებით გარევაჭრობის აკრძალვის მიუხედავად, დედაქალაქის ქუჩებში ეს პროდუქცია ფართოდ იყიდება. რეალიზაციიდან ამოიღეს ოჯახის პირობებში დამზადებული 38 ქილა ბოსტნეულის კონსერვი, შეუმოწმებელი რძე და რძის პროდუქტები და სხვა სასურსათო პროდუქცია, რომლის ქუჩაში გაყიდვა აკრძალულია. მოსახლეობისთვის შედარებით იაფი პროდუქცია უფრო ხელმისაწვდომია, ამიტომაც მომხმარებელთა ნაკლებობას მოვაჭრეები არ განიცდიან. სპეციალისტები მოქალაქეებს აფრთხილებენ, რომ ქუჩის პირობებში პროდუქციის შენახვა-რეალიზაციის წესები დარღვეულია, რაც მოსახლეობას ინფექციური დაავადებებით ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვეტგაერთიანების ინფორმაციით, ამ დღეებში დედაქალაქის ბაზრებზე ტრიქონელოზის ორი შემთხვევა გამოვლინდა - ინფიცირებული ღორის ხორცი ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ლაბორატორიული შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ორივე შემთხვევაში ხორცი თიანეთის რაიონის სოფელ ნადოკრადან იყო შემოტანილი. რეალიზაციიდან სულ ამოიღეს 210 კილოგრამი ხორცი, რომელიც შესაბამისი წესით განადგურდა გლდანის ნაგავსაყრელზე სპეციალურ სამარხში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია დედაქალაქში უკანონო ჯიხურების აღებას აგრძელებს. ამ სამსახურის უფროსის მოადგილის კახა სიხარულიძის ინფორმაციით, ხვალ დილიდან თბილისის ადმინისტრაციული ინსპექცია მეტროს სადგურ "მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორიას უკანონო ჯიხურებისა და უკანონოდ განთავსებული სარეკლამო აბრებისაგან გაწმენდს. შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ უკანონო ჯიხურებისაგან ერთხელ უკვე გაწმინდა "მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორია, რასაც მოვაჭრეთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის შესაბამისმა კომისიამ მოამზადა დასკვნა, რომელიც სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ავჭალის არასრუწლოვანთა შრომაგასწორებითი კოლონიის მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ-გონებრივ მდგომარეობას შეეხება. შემოწმების შედეგად, არასრულწლოვანთა შორის აღინიშნა არადიფერენცირებული ემოციური მდგომარეობა, ცოდნის მწირი დონე, შეზღუდული ორიენტაცია სივრცესა და დროში. როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ფსიქოლოგმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, ამ ბავშვთა ცოდნა წერა-კითხვით და მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულებით შემოიფარგლება.

ავჭალის კოლონიაში საცხოვრებელი პირობები ნორმალურია. სპეციალისტები მოზარდების დასაქმებას აუცილებლობად მიიჩნევენ. „სასურველია, გაიხსნას სახელოვნებო ჯგუფები, ფიზიკური დატვირთვის კაბინეტი", - ნათქვამია მათ დასკვნაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ განაცხადა, ობსერვატორია საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობას იწყებს, რომელიც გალაქტიკების აქტიურ პროცესებს სწავლობს. ამ პროგრამის ფარგლებში აბასთუმნის ობსერვატორიამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო - სინათლის მიმღები, მუხტკავშირიანი ხელსაწყო, რომლის ღირებულება 23 ათასი დოლარია. ხელსაწყო, ე.წ. მატრიცა, ობსერვატორიაში ყველაზე დიდ, 125-სანტიმეტრიან ტელესკოპზე დამონტაჟდება და გალაქტიკების გარე ობიექტების უფრო ეფექტური და მრავალმხრივი დაკვირვების შესაძლებლობასაც გახსნის. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისი-სენაკის საავტომობილო გზის ოკამის მონაკვეთზე გუშინ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. თბილისიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი საპირისპირო მიმართულებით მოძრავ "ვაზ-21-06"-ს შეეჯახა. "ჟიგულის" მძღოლი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ვინაობა დგინდება, საგზაო პოლიციის თანამშრომლების ვარაუდით, იგი აზერბაიჯანული ეროვნების უნდა იყოს. რაც შეეხება მიკროავტობუსის მგზავრებს, სამი მათგანი სხეულის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, დანარჩენ მგზავრებს მსუბუქი დაზიანებები აქვთ მიღებული. რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლები ავარიის მიზეზებს ადგენენ, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი მიკროავტობუსის გადაჭარბებული სიჩქარე და მოძრაობის წესების უხეში დარღვევა გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, დილით, თბილისი-გორის საავტომობილო გზაზე, თბილისიდან დაახლოებით 45 კილომეტრის დაშორებით, დიდი ავტოავარია მოხდა. საგზაო პოლიციის განცხადებით, ერთმანეთს ორი მიკროავტობუსი შეეჯახა, არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ. დეტალები დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში საკადრო ცვლილებები გრძელდება. იმერეთის მხარის პოლიციის უფროსმა ზურაბ ჩიკვაიძემ თანამდებობიდან გაათავისუფლა ქუთაისის პოლიციის უფროსი თემურ ნოზაძე, მის ადგილზე კი იმერეთის ეკოპოლიციის უფროსი თენგიზ მორჩაძე დაინიშნა. გარკვეული ინფორმაციით, მორჩაძემ და ნოზაძემ თანამდებობები გაცვალეს და მხარის ეკოპოლიციის უფროსი ქუთაისის პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი გახდება. იმერეთის პოლიციაში ამ ეტაპზე ვაკანტურია კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის უფროსების თანამდებობები. ჯერჯერობით, რაიონულ პოლიციებს საკადრო ცვლილებები არ შეხებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, ოცი წუთის განმავლობაში ისმოდა ორმხრივი სროლა. ინციდენტი დაახლოებით 14.30 საათზე მოხდა. გალის რაიონის ქართული ადმინისტრაციის უშიშროების სამსახურის უფროსის ბადრი დგებუაძის თქმით, დღევანდელი ინციდენტი აფხაზურ კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის გამართული მორიგი "გარჩევა" იყო. მისი მონაცემებით, ორმხრივი სროლის შედეგად მოკლულია ერთი და დაჭრილია ორი აფხაზი კრიმინალი. თუ რომელ დაჯგუფებებს შორის მოხდა შეტაკება, ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, თუმცა დგებუაძის თქმით, ნათელია, რომ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა გრძელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22 წლის გიორგი ქაშაკაშვილი იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა გუშინ დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ქაშაკაშვილისაგან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი „ვოლტრა" ერთი მჭიდითა და შვიდი ვაზნით. ამავე ბრალდებით გუშინ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს 46 წლის მერაბ კახაბრიშვილი, რომლისგანაც უნომრო ავტომატი ამოიღეს. ამ ფაქტებზე აღძრულ საქმეს იძიებენ შესაბამისი რაიონის საგამოძიებო სამსახურები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა გუშინ 45 წლის პავლე ცარციძე თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ცარციძეს ბრალი ედება ხათუნა მიქიაშვილის კუთვნილი მაღაზიიდან მოტყუებით ერთი სანაყინისა და სამი დახლმაცივარის გატანასა და გაყიდვაში. ცარციძის მიმართ აღძრულ საქმეს საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22 წლის დავით გოგიძე ნარკოდანაშაულის ბრალდებით პოლიციელებმა 10 დეკემბერს დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, გოგიძისგან 2,3 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი" ამოიღეს. მათივე ინფორმაციით, გოგიძე წარსულში ნასამართლევია. გოგიძის საქმეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, თბილისში, მეტროსადგურ „ავლაბართან", დილის 09.00 საათზე აღმოაჩინეს 83 წლის ქალის - ლუდმილა ალექსანდროვას გვამი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, გარდაცვლილს გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. ამ ფაქტზე მოკვლევას პროკურატურა ატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს მოქალაქეს - ჰენრი მაქსს ქართველმა პოლიციელებმა 10 დეკემბერს გატაცებული ავტომანქანა დაუბრუნეს. მაქსის კუთვნილი ჯიპი „გრანდ ჩეროკი" სამართალდამცველებმა თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე, ტრანსპორტის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, ჰენრი მაქსს დაუდგენელმა პირებმა ავტომანქანა იარაღის მუქარით 21.00 საათზე, ვაზისუბნის დასახლებიდან გასტაცეს. საქმე, რომელსაც საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს რაიონული სამსახური იძიებს, ჯერჯერობით, გაუხსნელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 22 წლის შოთა ხანთაძე და 24 წლის თემურ ბზიკაძე პოლიციელებმა გუშინწინ ძარცვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ბზიკაძესა და ხანთაძეს ბრალად ედებათ გუშინწინ კერძო ტაქსის მძღოლის გელა ტატიკაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და 111 ლარის წართმევა. დაკავებულებისაგან გატაცებული თანხა ამოღებულია. საქმეს იძიებს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

# სულხან მოლაშვილი თავს იზღვევს

პირველი გვერდიდან

**"ეს ძალზე ხანგრძლივი პროცესი იქნება და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ შეგვეძლება კონკრეტულ დამნაშავეებზე საუბარი. გაირკვევა სულხან მოლაშვილის პასუხისმგებლობის ხარისხიც"**, - აცხადებენ დედაქალაქის პროკურატურაში.

მიუხედავად ამისა, კონტროლის პალატის თავმჯდომარე თადარიგს იჭერს და პროკურატურის ბრალდებას, რომ მისი უწყების მიერ წარმოებული შემოწმებების აქტები უხარისხოა, ქართული და უცხოური ორგანიზაციების მიერ კონტროლის პალატაზე დადებითი გამოხმაურებებიდან ფრაზების წაკითხვით პასუხობს; ამასთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, კონტროლის პალატაში ჩატარებული შემოწმების შედეგად შედგენილ დასკვნას წარადგენს. **"საქართველოს კონტროლის პალატის მუშაობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და კონსტიტუციას"**, - ასეთი გახლდათ მოლაშვილის მიერ ჟურნალისტებისთვის წარდგენილი დასკვნის დედააზრი. გარდა ამისა, მოლაშვილის განცხადებით, ბოლო სამი წლის მანძილზე, რაც იგი კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობს, სამართალდამცავ ორგანოებში ამ უწყებიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი 575 მასალა გადაიგზავნა. გამოვლენილია 100 მილიონზე მეტი ლარის ოდენობის ბიუჯეტისათვის დამალული თანხები, თუმცა საგადასახადომ მხოლოდ 30 მილიონის ამოღება შეძლო. მისივე თქმით, კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლებულია 361 თანამდებობის პირი.

**"შესაძლოა, ესენი არ იყვნენ მინისტრები და მათი მოადგილეები, მაგრამ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები გახლდნენ"**, - აზუსტებს მოლაშვილი და საკუთარი ნათქვამისთვის მეტი წონის შესაძენად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის მეუღლის - ბადრი ბიწაძის მიერ პრეზიდენტისთვის წარდგენილი წერილის დემონსტრირებასაც ახდენს. **"მართალია, კონტროლის პალატიდან გენერალურ პროკურატურაში რეაგირებისთვის გადმოგზავნილი მასალები 20 ერთეულით ნაკლებია შარშანდელ მაჩვენებლზე, მაგრამ აშკარად გაცილებით ხარისხიანია"**, - ნათქვამი ყოფილა ამ წერილში.



სულხან მოლაშვილისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ჯერ არავის დაუბრალებია.

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მოლაშვილმა მის წინააღმდეგ აქტიურად დაწყებულ კამპანიაზეც ისაუბრა.

**"ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ შანტაჟს, რომელიც ჩემზე და ჩემს ოჯახზე ხორციელდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ,** - განაცხადა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, - **ამის მიზეზია მხოლოდ ის, რომ შევარდნაძის მთავრობაში ვმუშაობდი"**.

მისი თქმით, კონკრეტული თანამდებობის პირების მხრიდან ადგილი აქვს მუქარას. ისინი ითხოვენ მის სასწრაფო გადადგომას.

**"ჩემი პოლიტიკური დევნა ახალი მთავრობის პირობებში უშიშროების საბჭოს პირველ სხდომაზე ჩემს მისვლას მოჰყვა. მაშინ უშიშროების საბჭოზე გავაკეთე რამდენიმე მწვავე განცხადება, დავასახელე გვარები. მოვუწოდე ახალ ხელისუფლებას, შანტაჟზე და არაკაცურ ქმედებებზე უარი თქვას და რეალურად საქმეს მიხედოს, უშიშროების საბჭოს ზოგიერთმა თანამდებობის პირმა კი შემომითვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა, უშიშროების საბჭოს იმ სხდომაზე საერთოდ არ მისულიყავი"**, - მოლაშვილის ეს განცხადება გუშინ, საღამოს, უშიშროების საბჭოს მაშინდელმა მდივანმა თედო ჯაფარიძემ უარყო.

**"არ გამოვრიცხავ, მათ, ვინც პროკურატურას შეკვეთებს აძლევს, ის მასალები აინტერესებდეთ, რაც კონტროლის პალატაში ინახება. მე გამაჩნია ბევრი არაოფიციალური ინფორმაცია, რომელსაც თანამდებობიდან რომც წავიდე, მაინც გამოვაქვეყნებ. მე გარიგებაზე არავისთან წავალ"**, - განაცხადა მოლაშვილმა, რომელიც ირწმუნება, რომ გააჩნია იმის დამამტკიცებელი ვიდეო და აუდიომასალა, რომ რამდენიმე პოლიტიკოსის ახლო ნათესავები სხვადასხვა ენერგოორგანიზაციებში შედიოდნენ და ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელით თანხებს ითხოვდნენ.

**"მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, საქართველოს კონსტიტუციით ამ თანამდებობაზე დარჩენა 2004 წლის მაისამდე გარანტირებული მაქვს, შევარდნაძის გადადგომიდან 48 საათში გავაკეთე განცხადება, რომ 4 იანვრიდან დავტოვებ ამ თანამდებობას"**, - ამბობს მოლაშვილი, თუმცა მასზე ზეწოლის გაგრძელების და გაძლიერების გამო ამ განცხადების გამოთხოვნაზეც ფიქრობს.

**"გენერალურმა პროკურატურამ 4 იანვრამდე უნდა განმარტოს, ვიმხილები თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულში. თუ ეს არ მოხდა, იძულებული ვიქნები თანამდებობიდან გადადგომის შესახებ დაწერილი განცხადება გამოვიწვიო"**, - განაცხადა მოლაშვილმა და ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს "პოლიტიკური ბაკქანალია" უწოდა.

# ტრაგედია სკოლაში

გუშინ, დილით, გორის რაიონის სოფელ ატენის საშუალო სკოლაში გასროლა მოხდა. შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო მე-8 კლასის მოსწავლემ გიორგი წიქარიძემ. მას თავის არეში მიღებული ჭრილობის გამო თავის ტვინი დაუზიანდა. ექიმების შეფასებით, გიორგი წიქარიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. მძიმედ დაჭრილი მოსწავლე გორის რაიონული საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებიდან გუშინვე თბილისის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

როგორც გაირკვა, ცეცხლსასროლი თვითნაკეთი იარაღი, რომლიდან გასროლითაც გიორგი წიქარიძე დაიჭრა, მის თანაკლასელს სიმონ გოგაძეს ეკუთვნის. **"საკლასო ოთახში შეკრებილ თანაკლასელებს სიმონ გოგაძე თვითნაკეთ პისტოლეტს ათვალიერებინებდა. წინასწარი მონაცემებით, გასროლა შემთხვევით მოხდა. საიდან და როგორ აღმოჩნდა 14 წლის ბავშვის ხელში თვითნაკეთი ნაგანის სისტემის პისტოლეტი, ამას გამოძიება დაადგენს. წინასწარი მოკვლევით, საქმე გვაქვს შემთხვევითობასთან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დადგება 14 წლის მოსწავლის პასუხისმგებლობის საკითხი"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარებისა და გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმედ დაზიანების მუხლებით.

**"მიუხედავად იმისა, რომ სიმონ გოგაძე არასრულწლოვანია, მას ბრალს აუცილებლად წავუყენებთ. მართალია, დაჭრილის თანაკლასელები ამბობენ, რომ გოგაძეს იარაღიდან ტყვია შემთხვევით გაუვარდა, ის მაინც დანაშაულის სუბიექტია"**, - გვითხრა პროკურორმა.

ჩვენი ინფორმაციით, გასროლის შემდეგ გოგაძე სკოლიდან გაიქცა და მიიმალა. მომხდარი ფაქტის შემდეგ გორის რაიონის სოფელ ატენის მოსახლეობამ გუშინვე იმ პირების დასჯა მოითხოვა, ვისაც სკოლაში კონტროლის განხორციელება ევალება.

პრეზიდენტის ახლად დანიშნულმა რწმუნებულმა შიდა ქართლში ირაკლი ოქრუაშვილმა კი მომხდართან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასწრაფოდ მიიღებს საკადრო გადაწყვეტილებებს.

*24 საათი*

# „სადახლოს" დირექტორი იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს

გუშინწინ, გვიან ღამით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ნეიტრალურ ზონაში არსებული სავაჭრო ცენტრის "სადახლოს" დირექტორი თამაზ სუპატაშვილი თბილისში დააკავეს. იარაღის უკანონო ტარება - ეს ის ბრალდებაა, რომელიც სუპატაშვილს წაუყენეს. გავრცელებული ინფორმაციით, "სადახლოს" დირექტორს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი სამართალდამცველებმა მანქანაში აღმოუჩინეს.

შეგახსენებთ, რომ "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ სუპატაშვილი, გავრცელებული ხმების თანახმად, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის ერთ-ერთი მთავარი "კასირი" გახლავთ. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მამალაძესა და სუპატაშვილს დიდი მეგობრული და ახლობლური ურთიერთობა არ ჰქონიათ და მათი ურთიერთობა მხოლოდ ფულის გადაცემა-აღებით შემოიფარგლებოდა.

ჩვენი ინფორმაციით, თამაზ სუპატაშვილმა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით, რომელიც ფინანსურ მაქინაციებს უკავშირდებოდა, ერთხელ უკვე მოიხადა სასჯელი.

"სადახლოს" დირექტორის ოჯახის წევრები ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების მოტივით მის დაკავებას "აბსურდად" აფასებენ და აცხადებენ, რომ ეს შეთითხნილი საქმე" სხვა არაფერია, თუ არა მეწარმეების პოლიტიკური დევნა.

პოლიტიკურ დევნად აფასებს სუპატაშვილის დაკავების ფაქტს მისი ადვოკატი ალეკო ალადაშვილიც.

"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, ავტომატი ვერ ექნებოდა, რადგან 60 წლის მეწარმეს ავტომატის ტარება არაფერში სჭირდებოდა", – აცხადებს ადვოკატი და სამართალდამცველებს კანონის დარღვევაში სდებს ბრალს. "ორი საათის განმავლობაში არ მომცეს დაკავებულთან შეხვედრის უფლება", - ასეთია ადვოკატის ბრალდება.

გუშინ სამართალდამცველები არ აკონკრეტებდნენ, იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებასთან ერთად წაუყენებენ თუ არა დაკავებულ სუპატაშვილს სხვა ბრალდებებსაც. სუპატაშვილი შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

*24 საათი*

# მორიგი აფეთქება ყაჩაღობის მიზნით

აფეთქების მორიგი ობიექტი ყაზბეგის გამზირის N19-ში მდებარე ლომბარდი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი აღმოჩნდა. აფეთქება გუშინ, გამთენიისას მოხდა. აფეთქებული ლომბარდიდან და ვალუტის გადამცვლელი ჯიხურიდან ყაჩაღებმა დიდი რაოდენობის თანხა გაიტაცეს. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ორი თანამშრომელი იმყოფებოდა, აფეთქებისას არც ერთი მათგანი არ დაშავებულა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლომბარდში დაახლოებით 8000 დოლარი და 30 ათასი ლარი იყო. თანხა მთლიანად არის წაღებული თუ მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. წინასწარი მონაცემებით, ყაჩარები, რომლებმაც ჯერ ააფეთქეს შენობა და შემდეგ გაქურდეს, შავი ფერის ავტომანქანა "BMW"-თი მიიმალნენ.

ბოროტმოქმედებმა ლომბარდის მინას სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობა მიაკრეს - წებოვანი ლენტისმაგვარი ასაფეთქებელი საშუალება, რომლის სახეობასაც ექსპერტიზა დაადგენს. აღნიშნული ლომბარდი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. გუშინ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე აფეთქების და ყაჩაღობის მუხლებით. საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს. გამოძიება, ჯერჯერობით, არ ასახელებს, ვის ეკუთვნოდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და ლომბარდი.

*24 საათი*

# "კანონიერი ქურდები" დახმარებას "თავისუფლების ინსტიტუტს" სთხოვენ

*რუსთავის პოლიციამ 10 ნოემბერს დილით დაკავებული "შავი" ავტორიტეტები კახა შუშანაშვილი და კობა შემაზაშვილი იმავე საღამოს სახლებში გაუშვა. პოლიციას მათზე საქმე არ აღუძრავს, სამაგიერო შეთავაზება კი ასეთი იყო - გიშვებთ, ოღონდ ქალაქიდან წადით. 11 დეკემბერს "კანონიერმა ქურდებმა" საკუთარი უფლებების დასაცავად "თავისუფლების ინსტიტუტის" რუსთავის ოფისს მიმართეს. ისინი პოლიციის მხრიდან ზეწოლაზე ალაპარაკდნენ.*

მაია მოსიაშვილი

ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი მისი კლიენტების, 29-30 წლის შემაზაშვილისა და შუშანაშვილის, საზოგადოდ ცნობილ სტატუსს - "კანონიერი ქურდი" - არ სცნობს. ის აცხადებს, რომ მისი კლიენტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც პოლიცია საკუთარ ოჯახთან ყოფნას უკანონოდ უშლის.

**"ეს პირველი შემთხვევა არ არის. კობა შემაზაშვილს პოლიცია მუდმივად სთხოვს ქალაქის დატოვებას. ახლაც ასე მოხდა. პოლიციაში მათ უთხრეს - ქალაქიდან უნდა გახვიდეთ, არ გახვალთ და ნარკოტიკს ან იარაღს ჩაგიგდებთ. ჩემი კლიენტი რუსთავის და ოჯახის დატოვებას არ აპირებს. ჩვენი პოზიცია ასეთია: თუ მათ აქვთ რაიმე ფაქტი იმის დამადასტურებელი, რომ შემაზაშვილმა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, დაიჭირონ, თუ არა და თავი დაანებონ,"** - ამბობს ადვოკატი როსტიაშვილი.

შემაზაშვილთან და შუშანაშვილთან ერთად პოლიციელებმა გია ლობჟანიძეც, მეტსახელად "კუწუ", დააკავეს, რომელიც "ქურდის" "საპატიო" ტიტულს არ ატარებს, თუმცა მათი წრის წევრად ითვლება. მისი ადვოკატი აცხადებს, რომ დაკავებისას "კუწუს" "მარიხუანა" ზეწოლის ქვეშ აღებინეს, ხოლო შემდეგ, "შეგდებული" ნარკოტიკის მეშვეობით, ნარკოტიკების შეძენა-შენახვაზე საქმე აღუძრეს. ამ ყველაფრის მერე კი პოლიციამ ლობჟანიძე სახლში გაუშვა იმ პირობით, რომ ის ქალაქს დატოვებდა.

პოლიციის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობენ კრიმინალებად მიჩნეული ადამიანების ოჯახის წევრები. **"პოლიცია ითხოვს ჩემი ძმა ქალაქიდან გავიდეს, ოღონდ რის საფუძველზე ითხოვს ამას, ნამდვილად ვერ გავიგეთ. მას ჰყავს ცოლი, შვილები, მოხუცი მშობლები და არ უნდა მათი დატოვება. თუ კობა ჩაიდენს დანაშაულს, დააკავონ და მე ხმის ამომღები არ ვარ, მაგრამ თუ უკანონოდ მასზე ზეწოლა გაგრძელდა, ნამდვილად არ გავჩერდებით, ჩემს გვერდით ძალიან ბევრი ხალხი დგას,"** - განუცხადა "24 საათს" კობა შემაზაშვილის დამ. იგივეს ამბობენ კახა შუშანაშვილის ოჯახის წევრებიც. ამ უკანასკნელმა, როგორც პოლიციის, ისე ახლობლების თქმით, რუსთავი უკვე დატოვა.

რუსთავის პოლიციის უფროსი რამაზ ელოშვილი კატეგორიულად უარყოფს მათი მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის არსებობას. **"მე არ მაქვს უფლება და არც სურვილი "კანონიერ ქურდს" რაიმე ვთხოვო. ჩემი აზრით, ფსიქოლოგიური ზეწოლა ის უფროა, როცა კაცი, რომელსაც მილსაგლინავ საამქროში და მარტენის ღუმელთან მთელი ცხოვრება აქვს ნამუშევარი, ბოთლებს აბარებს და რამდენჯერმე ნასამართლევი ე.წ. "კანონიერი ქურდი" ბოლო მოდელის დაჯავშნული "მერსედესით" დაბრძანდება ქალაქში. მე ვთვლი, რომ სწორედ ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლა და არა ის, რომ ამათ უნდა დატოვონ ეს ქალაქი და არ უნდა იპარპაშონ აქ,"** - ასეთ ემოციურ ახსნას უძებნის პოლიციის უფროსი მომხდარს.

"24 საათის" ინფორმაციით, კობა შემაზაშვილი პოლიციის ულტიმატუმის შესრულებას არ აპირებს. პოლიციას კი ბევრი მოტივი აქვს იმისათვის, რომ შემაზაშვილის ქალაქიდან წასვლის აუცილებლობა გაამრთლოს. პირველ რიგში, ეს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. ცნობილია, რომ რუსთაველი ავტორიტეტები ნოემბრის არჩევნებზე სახელისუფლებო ბლოკს აქტიურად ეხმარებოდნენ. მათი დაინტერესება მხოლოდ მატერიალური არ იყო, ამიტომ 4 იანვრის არჩევნებზე ამ ადამიანების ქალაქში ყოფნა არეულობის შესაძლებლობას ზრდის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ რუსთავის პოლიცია, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს "კანონიერ ქურდებთან" გართულებული ურთიერთობა კანონის ფარგლებში მოაქციოს. რამაზ ელოშვილი ირწმუნება, რომ პოლიცია უახლოეს პერიოდში შესძლებს შემაზაშვილზე სამხილების მოპოვებას და იმის დამტკიცებას, რომ ის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან ფულის გამოძალვით არის დაკავებული.

# გენერალური პროკურატურა საარჩევნო სიების გამყალბებელთა ვინაობას ადგენს

გენერალურ პროკურატურაში 4 ნოემბრის საარჩევნო სიების გამყალბებლებზე ალაპარაკდნენ. გუშინ ამ დანაშაულში ეჭვმიტანილთა კონკრეტული გვარ-სახელები გენერალურ პროკურატურაში არ დაუსახელებიათ. **"მათი კონკრეტული ვინაობები ჯერ საბოლოოდ გამოკვეთილი არ არის"**, - ასეთ პასუხს იძლევა გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი აკაკი ბუდაღაშვილი. თუმცა, ამომრჩეველთა სიების გაყალბებაში მონაწილეობის ბრალდებას საგამოძიებო ნაწილის უფროსი შსს-სა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უყენებს.

**"სიების გაყალბებაში იკვეთება შს სამინისტროსა და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების ბრალეულობა. სახეზეა ამომრჩეველთა ერთიანი სიების შედგენისას ჩადენილი სიყალბეები. კანონის თანახმად, საარჩევნო ხმის უფლების მოქალაქეთა მონაცემების შედგენა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემა დაევალა შსს-ს - ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად. ამ ორგანოებმა უგულებელყვეს კანონის მოთხოვნა. შს ორგანოების რაიონულმა რგოლებმა სიების შედგენაში არ ჩართეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა ხელმოწერითა და ბეჭდებით მაინც დაამტკიცეს სიები, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა რეალური რაოდენობისგან "**, - აცხადებს აკაკი ბუდაღაშვილი.

გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თქმით, არის მთელი რიგი უბნები, სადაც ამომრჩეველთა რეალურ რაოდენობასა და შედგენილ სიებს შორის დიდი სხვაობაა, ზოგ უბნებზე კი 1000 კაცითაც იყო გაზრდილი სიები".

საგამოძიებო ნაწილის უფროსის თქმით, ასევეა გაყალბებული საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმებიც, სადაც ამა თუ იმ პარტიას შეგნებულად აქვს მიმატებული ამომრჩეველთა ხმები.

**"8 ფაქტი დაფიქსირდა ისეთი, როცა კომისიებში შემაჯამებელი ოქმები სწორად იყო შედგენილი, მაგრამ ისინი ცესკოში მიტანის შემდეგ გადააკეთეს, ანუ ოქმის საფუძველზე შედგენილ შემაჯამებელ დოკუმენტებში ციფრებია გადაკეთებული და ამ მეთოდით მომატებული იყო რამდენიმე ასეული ხმა"**, - აცხადებს გენერალურ პროკურატურაში. გენერალური პროკურატურის მონაცემებითვე, ცნობა ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შედგენილია ჯერჯერობით დაუდგენელი პირების მიერ.

"უკვე დაიკითხნენ რიგი საუბნო კომისიის თავმჯდომარეები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ოქმების გადასწორების ფაქტები. ამას გარდა, ცნობები ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მათ არ შეუდგენიათ და ცნობებს სხვა ბეჭდები არტყია", - აცხადებს ბუდაღაშვილი და პირობას დებს, რომ სულ ცოტა ხანში გამოძიება გამყალბებელთა კონკრეტულ გვარებს დაასახელებს.

*24 საათი*

# საქართველოს "ვარდების რევოლუცია" შესაძლოა სხვაგანაც განმეორდეს

ლუის ლ. შელი,
ერიკ რ. სკოტი
"ვაშინგტონ პოსტი"

სახალხო მოძრაობას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა, უწოდებენ "ხავერდოვან რევოლუციას" და "ვარდების რევოლუციას". თუ ოფრო ახლოს შევხედავთ იმ ძალებს, რომელთაც შეძლეს შევარდნაძის გადაყენება, დავინახავთ, რომ ამ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს უფრო დიდი გაგრძელება - ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი ანტიკორუფციული რევოლუცია.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დანაშაული და კორუფცია არნახული სისწრაფით აღზევდა ამ რეგიონში. ქვეყანა აღმოჩნდა ერთ-ერთ ბოლო ადგილზე (124-ე ადგილზე 133 ქვეყანას შორის) 2003 წლის კორუფციის შემეცნების ინდექსის მიხედვით, რომელიც შედგენილია სოციალური გამოკითხვების საფუძველზე, "ტრანსპერენსი ინტერნეშნელის" მიერ. შევარდნაძის ოჯახის წევრები და ნათესავები უზომოდ გამდიდრდნენ უკანონო პრივატიზაციით და მითვისებული თანხებით. საბაჟო დეპარტამენტში თანამდებობები 100 000 ამერიკულ დოლარად იყიდებოდა.

უმაღლეს ეშელონებში კორუფციის დაუსჯელობა, ბუნებრივია, დიდად უწყობდა ხელს კორუფციის სინდრომის გავრცელებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. უჩვეულო არაფერი იყო იმაში, თუ თბილისიდან, დედაქალაქიდან, სხვა რომელიმე ქალაქისაკენ მიმავალ მძღოლს საგზაო პოლიცია, ქრთამის გამოძალვის მიზნით, ხუთჯერ ან უფრო მეტჯერ გააჩერებდა სამსაათიანი მგზავრობის განმავლობაში. ენერგიის სექტორში ფართოდ გავრცელებული კორუფცია იყო მიზეზი ელექტროენერგიის ხშირი გამორთვისა, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა საქართველოს დემორალიზებული მოქალაქეების ცხოვრებას და ამაოს ხდიდა მათ ძალისხმევას, რომ ჰქონოდათ ნორმალური ცხოვრება და წარემართათ ეკონომიკა. მეწარმეებს უნდა გადაეხადათ ქრთამი, რომ რეგისტრაციაში გაეტარებინათ ახალი ბიზნესი. ბევრი ოჯახი იძულებული იყო, რომ გაეყიდა მანქანა და როგორმე გადაეხადა ქრთამი, რომელსაც ითხოვდნენ ოდესღაც პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების ჩარიცხვის საფასურად.

ჩვენ უშუალოდ ვიცნობთ იმ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია კორუფციით. ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი, რომელსაც სპონსორობას უწევს აშშ-ის სამართლის დეპარტამენტი, უკვე 15 თვეა თანამშრომლობს საქართველოს ანტიკორუფციული მოძრაობის აქტივისტებთან. ამ თანამშრომლობის მიზანია ქვეყანაში პირველი სამეცნიერო ჯგუფის დაარსება, რომელიც შეისწავლის კორუფციის, ფულის გათეთრების და ორგანიზებული დანაშაულის საკითხებს. ჩვენს პირველ შეკრებაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, ჩვენ და ქართველი მეცნიერები პალტოებში შეფუთულნი ვისხედით. უნივერსიტეტში არ იყო გათბობა, რადგან ის ფული, რომელიც გათბობას უნდა მოხმარებოდა, ვიღაცამ მიითვისა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ დავბრუნდით იმ რწმენით, რომ საქართველოში ბევრს სურს, წერტილი დაესვას კორუფციას. უამრავი განცხადება მივიღეთ ჩვენს წლევანდელ საზაფხულო სკოლაზე დასწრების მსურველთაგან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მსმენელები ყოველ დღე რვა საათის განმავლობაში გაუნძრევლად ისხდნენ სულისშემხუთველ სიცხეში და ისმენდნენ მოხსენებებს კორუფციის დაძლევის სტრატეგიების შესახებ. ჩვენი ცენტრის ხელშემწყობთა რიცხვს განეკუთვნებიან მაღალი თანამდებობის პირები, რომელთაც უარი თქვეს შევარდნაძესთან თანამშრომლობაზე, აგრეთვე სხვა კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე, ყოფილი ოფიციალური პირები, რომელთაც დაკარგეს პრეზიდენტის კეთილგანწყობა. ბევრი მათგანი კვლავ იქნა დანიშნული წამყვან პოსტებზე საქართველოს დროებითი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის მიერ.

შევარდნაძის 11-წლიანი მმართველობის შედეგად, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, რეგიონში ერთ-ერთ უღარიბეს სახელმწიფოდ იქცა. საქართველოს მოსახლეობის ოცი პროცენტი, მათ შორის ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საზღვარგარეთ დარჩა უკეთესი პერსპექტივის იმედით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა მიზეზი არსებობდა საქართველოს სწრაფი ეკონომიკური და სოციალური ვარდნისათვის, როგორიცაა სამოქალაქო კონფლიქტები და საბჭოური ეკონომიკის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, კორუფცია მაინც ყველაზე უფრო მტკივნეული აღმოჩნდა ქვეყნისათვის. ხალხის მოთმინების ძაფი ოთხი კვირის წინ გაწყდა, როდესაც საქართველოს ოფიციალურ პირთა მცდელობა, გაეყალბებინათ საპარლამენტო არჩევნები, კატალიზატორი აღმოჩნდა შეურაცხყოფილი მოსახლეობისათვის, რომელიც დაღალა და გაალატაკა შევარდნაძის ათ წელზე მეტი ხნის მმართველობამ.

საქართველოს მოვლენებს შესაძლოა, ტალღისებური ეფექტები მოჰყვეს მთელს რეგიონში. მოლდოვას ოპოზიციის ლიდერებმა, რომელთაც, ალბათ, გამბედაობა შემატა ქართველების მოქმედებამ, სულ ახლახან შეძლეს, რომ შეეჩერებინათ მათ ქვეყანაში რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის ვიზიტი. უსათუოდ მხედველობაში აქვთ საქართველოს მაგალითი ოპოზიციის აქტივისტებს უკრაინაში, სადაც გასული არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. უკრაინა ემზადება მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის, რომელიც 2004 წლის შემოდგომაზე ჩატარდება.

აზერბაიჯანში სულ ახლახან გაყალბებული არჩევნების შედეგად, როგორც ბევრი დამკვირვებელი აღნიშნავს, ხელისუფლების სათავეში მოვიდა ილჰამ ალიევი, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის შვილი. ალიევი ნამდვილად უნდა წუხდეს იმის გამო, რომ საქართველოში ოპოზიციის წარმატებამ შესაძლოა წაახალისოს დისიდენტები მის ქვეყანაში. თუ ეს ასე არ არის, იგი სათანადოდ ვერ აფასებს თბილისში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს.

მშვიდობიანი რევოლუცია, რომელმაც წერტილი დაუსვა შევარდნაძის მმართველობას, აგრეთვე ნაწილობრივ ამართლებს ბოლო ათი წლის განმავლობაში აშშ-ის ხელისუფლების მიერ 1.3 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების გაგზავნას საქართველოში. ეს დახმარება უმთავრესად ხორციელდებოდა კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ელჩების ხელმძღვანელობით.

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის მთავრობამ ფულის გარკვეული ნაწილი უმიზნოდ გაფლანგა - შეიძლებოდა ეს თანხები უფრო გონივრულად დახარჯულიყო - ორი აზრი არ არსებობს, რომ ამ დახმარების შედეგად გაუმჯობესდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება. ეს1,3 მილიარდი დოლარი დიდად დაეხმარა არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიის და ახლად აღმოცენებული მრავალპარტიული სამთავრობო სისტემის განვითარებას. შეერთებულმა შტატებმა, ასევე დიდი როლი ითამაშა გაცვლითი და სასწავლო პროგრამების ხელშეწყობით, რასაც ადასტურებს მიხეილ სააკაშვილის პიროვნება. იგი ამერიკაში განათლებამიღებული იურისტია, რომელიც, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იუსტიციის მინისტრის პოსტზე მუშაობდა. ამჟამად მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთი წამყვანი კანდიდატია საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ უკანასკნელ ათწლეულში შეერთებული შტატების მიერ გაწეულმა ფინანსურმა, პოლიტიკურმა და მორალურმა დახმარებამ ქართველებს ჩაუნერგა იმის იმედი, რომ შესაძლებელია უკეთესი ცხოვრება სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ეყრდნობა საბაზრო ეკონომიკას. როდესაც შევარდნაძემ ვერ გაამართლა ეს იმედები, მან დაკარგა ლეგიტიმურობა ქართველი ხალხის თვალში.

ახლა, როდესაც შევარდნაძე წავიდა, მის მემკვიდრეებს წინ ელით უზარმაზარი პრობლემების დაძლევა. კვლავ მოქმედებენ ის კრიმინალური სტრუქტურები, რომლებიც შევარდნაძის ადმინისტრაციის პირობებში ამოიზარდნენ და სარგებლობდნენ ქვეყანაში გამეფებული უკანონობით.

ახალ ლიდერებს გადასაჭრელი აქვთ უდიდესი ამოცანა, რათა საქართველოს ბიუროკრატიაში ამოძირკვონ კორუფციის მტკიცედ ფესვგამდგარი ტრადიცია, რომელიც სათავეებს იღებს საბჭოთა პერიოდიდან. გარდა ამისა, ისინი უნდა გაუმკლავდნენ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" და ჩამოიცილონ შევარდნაძის კორუმპირებული წრიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც ფიგურირებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში.

თუ საქართველოს გამოცდილებას შევადარებთ სერბეთის გამოცდილებას, აშკარად დავინახავთ, რომ ამ საკითხების გადაჭრა მოითხოვს დიდ პრინციპულობას და რისკს საქართველოს ახალი ხელმძღვანელობისაგან. სახალხო მოძრაობა, რასაც მოჰყვა სლობოდან მილოშევიჩის გაძევება, შესწავლილი აქვს საქართვლოს ოპოზიციას. მიუხედავად ამისა, არსებობს იმედი, რომ საქართველოს მომავალი ლიდერები თავიდან აიცილებენ აწ გარდაცვლილი სერბიის პრემიერ მინისტრის ზორან ჯინჯიჩის ბედს. იმის გამო, რომ ჯინჯიჩმა ვერ შეძლო სრულად ამოეძირკვა კორუფცია სერბეთის უშიშროების სამსახურიდან და მილოშევიჩის წრიდან, იგი აღმოჩნდა ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფის წევრთა მსხვერპლი, რომელთაც მისი მკვლელობა შეუკვეთეს. სერბეთის კრიმინალურმა ძალებმა საფრთხე შეუქმნეს ჯინჯიჩის მცდელობას, რომ განეხორციელებინა რეფორმა.

შევარდნაძეს დიდად აფასებენ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს გორბაჩოვის პერიოდში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ცივი ომის მშვიდობიანად დასრულებაში. მიუხედავად ამისა, იგი სავსებით არაქმედითი აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული სტაბილურობა მოიტანა ქვეყანაში, როდესაც პოსტი ჩაიბარა 90-იანი წლების დასაწყისში, გასულ წლებში იგი მოექცა მისი შიდა წრის იმ კორუმპირებულ წევრთა გავლენის ქვეშ, რომელთა ხელშეწყობითაც გახდა იგი პრეზიდენტი. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა 1992 წელს, ნაწილობრივ ჯაბა იოსელიანის მიწვევის საფუძველზე. იოსელიანი გახლდათ ერთ-ერთი დიდი კრიმინალი, რომელიც სათავეში ედგა ცნობილ ფსევდოსამხედრო ორგანიზაციას "მხედრიონს".

1995 წელს შევარდნაძის მკვლელობის მიზნით განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, მან გადაწყვიტა, რომ გარკვეული ზომები მიეღო კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ. მან უკანონოდ გამოაცხადა "მხედრიონი" მას შემდეგ, რაც ცოცხალი გადაურჩა მანქანის დაბომბვას. მაგრამ შევარდნაძემ ვერ შეძლო, მთლიანად ჩამოეცილებინა ის კორუმპირებული პირები, რომელთაც მას თავიდან დაუჭირეს მხარი. იოსელიანი მიმდინარე წლის დასაწყისში გარდაიცვალა; მას პარაკლისი გადაუხადა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა, შევარდნაძის თანდასწრებით.

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე ერთ დროს გამორჩეული ლიდერი იყო, იგი წარუმატებელი პრეზიდენტი აღმოჩნდა. მისი წასვლა ამტკიცებს, რომ კორუფციულ ძალებს, ბოლოსდაბოლოს, დაუდგათ კრიტიკული პერიოდი. საქართველოს მოქალაქეთა მზადყოფნა, რომ გამოვიდნენ ქუჩებში და მშვიდობიანი დემონსტრაციით აღუდგნენ წინ საკუთარ მთავრობას, მოწმობს იმას, რომ საქმე გვაქვს ჭეშმარიტად დიდ ანტიკორუფციულ რევოლუციასთან.

**თარგმნა
ლელა ნანუაშვილმა**

*ლუის შელი არის ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორი და ამ უნივერსიტეტთან არსებული ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის დირექტორი. ერიკ სკოტი არის ამ ცენტრის მიერ საქართველოში განხორციელებული კვლევითი პროგრამის მენეჯერი.*



ანტიკორუფციული რევოლუცია.



www.24hours.ge 24 B

# ვართ ჯორჯიელები არა ამერიკიდან, არამედ - ევროპიდან

მაია ჭალაგანიძე

*ეპოქებს შორის ნაპრალში რამდენიმე თაობა შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ ჩვენ ნაპრალი არ გვქონია, რადგან აქამდე მხოლოდ ერთი, ძალიან ნაცნობი მშობლიური ეპოქა გვქონდა. ნაპრალი არა, მაგრამ ეს ჩვენი ნაცნობი და გაჭიანურებული ეპოქა ბევრმა თაობამ იგემა.*
*პირდაპირ გასაოცარია - ცოდნის შეძენის ასეთი სურვილი, მძიმე შრომით საკუთარი განათლების დაფინანსება, მეგონა, მარტო "თერგდალეულებს" შეეძლოთ გასულ საუკუნეში. "როცა მუშაობა საჭიროა და სწავლა გინდა, ასე ხდება", ამბობს 20 წლის* ***მამუკა ფხაკაძე.*** *ამ სიტყვებს და ასეთ ტონში მშობლები ელაპარაკებიან ხოლმე ურჩ და ზარმაც შვილებს ჭკუის დასარიგებლად. ჩვეულებრივ, 20 წლის ბიჭი ამბობს: "რა პონტია მუშაობა..." ლონდონში სასწავლებლად წასულ მამუკას თავისი ოცნების ქვეყნიდან წამოსასვლელად ბარგი უკვე შეკრული აქვს, თუმცა, სანუკვარი ოცნების ბოლომდე ასრულებამდე 6 წელი კიდევ დარჩა. 2001 წელს კი თბილისის უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ევროპაში უკანმოუხედავად გარბოდა...*



მამუკა ფხაკაძე საპროტესტო აქციაზე დროშით ხელში. ლონდონი.

## თბილისში სწავლისას მიხვდა, რომ ევროპაზე სწორად ოცნებობდა

- 101-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ბავშვობიდან ინგლისზე ვოცნებობდი, მაგრამ ფინანსებისა და საბანკო საქმის შესასწავლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლას გავწვდი. იქ არ მასწავლიდნენ ისე, როგორც მინდოდა და მივხვდი, რომ წასვლა აუცილებელი იყო. მოგეხსენებათ, ენის ცოდნის გარეშე არაფერი გამოვა და მეც "ოქსფორდ ჰაუზის" ინგლისურ სკოლაში ჩავაბარე. 2,5 წელიწადი დამჭირდა იმისთვის, რომ პროფესიონალის საფეხურზე ავსულიყავი და ახლა ჩემი სერთიფიკატით ნებისმიერ ინგლისურენოვან ქვეყანაში (და მათ შორის, ინგლისშიც), შემიძლია ინგლისური ენის სწავლება.

ახლა არდადეგები მაქვს. 5 იანვრიდან ერთი წლით იმავე სკოლის კომპიუტერ-კოლეჯში ვისწავლი. თუ სიმართლე გინდათ იცოდეთ, ჩემი თავდაპირველი ოცნება ლონდონის უნივერსიტეტში სწავლა იყო, სწორედ ამიტომ ჩამოვედი. კომპიუტერ-კოლეჯის დამთავრების შემდეგ ლონდონის ვილჰოვის უნივერსიტეტში შევისწავლი საერთაშორისო ურთიერთობებს. ჯერ ბაკალავრის სამწლიან კურსს დავამთავრებ და შემდეგ ერთი წლით მაგისტრატურაში ვისწავლი.

## სწავლის საფასური ცოტა ცივი კია

- თავიდან მუშაობა საავადმყოფოს რესტორანში დავიწყე, სამზარეულოში იყო ჩემი სამსახური, ძალიან რთული იყო. შემდეგ საწყობში გადამიყვანეს, უფრო ზუსტად, მაცივარში. მართალია, რამდენიმე გრადუს ყინვაში მიწევს მუშაობა, მაგრამ რას ვიზამ, როცა მუშაობა საჭიროა და სწავლა გინდა, ასე ხდება. აი, ამ ფულით ვცხოვრობ, ვსწავლობ, ვმგზავრობ, ვიკვებები და წიგნებს ვყიდულობ.

## რაც კარგები ვართ...

- ქართველების გარკვეული ნაწილი ვითომ სასწავლებლად არის, სინამდვილეში მშობლებს ატყუებენ და ძირითადად უსაქმურად არიან (სტუდენტობას არ ვგულისხმობ). ამ ერთ ნაწილს ერთმანეთთან უსიამოვნება და დაძაბული სიტუაცია აქვთ. მართალია, თავად არ შევხებივარ მათ, მაგრამ ჩემი მეგობრები კი შეხვდნენ ასეთ ქართველებს. ისინი ერთი კვირას იმუშავებენ, სამ კვირას ისვენებენ და უსაქმურობის დროს რაღაც ხომ უნდა აკეთონ. ჰოდა, უშლიან ერთმანეთს ნერვებს. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი არ არის. ისინი საქრთველოს სინამდვილემ გააფუჭა და მათი შეცვლა რთულია. ქართველებთან კი, ცხადია, ვმეგობრობ.

გართობისთვის ნაკლებად მცალია - ან ვსწავლობ, ან ვმუშაობ. ჩემი გართობა - სწავლაა. ამით მართლა ვერთობი, მართლა. დასვენების დღეებში ხან კინოში დავდივართ, ხან თეატრში, ხან - პარკებში. შეიძლება, რომელიმე მეგობრის სახლში შევიკრიბოთ. სასაუბრო თემები წინასწარ არის ცნობილი - ჩვენი საქართველო, ჩვენი მშობლები, ჩვენი აწმყო და მომავლის კონტურები.

## საელჩოს ერთადერთხელ, საპროტესტო მიტინგის დროს ეწვია...

- საელჩოსთან კონტაქტი ცხოვრებაში არ მქონია. ერთხელ მხოლოდ, როცა საქართველოში შევარდნაძის გადადგომის დღეები იყო, საელჩოსთან თბილისში მიმდინარე აქციების მხარდასაჭერი საპროტესტო აქცია გავმართეთ. "ნაციონალურ მოძრაობას" - ვინც ეგ საქმე წამოიწყო, სოლიდარობას ვუცხადებდით. სიტყვითაც გამოვდიოდით და შეძლებისდაგვარად ვუჭერდით მხარს ჩვენს თანამემამულეებს. მართალი გითხრათ, საელჩოთი აღფრთოვანებული არ დავრჩი. საელჩომ იმის გარემოებაც ვერ შექმნა, რომ ინგლისში ის მაინც იცოდნენ, რომ ამერიკელი "ჯორჯიელები" კი არა, როგორც უცხოელები გვიწოდებენ, საქართველოდან ვართ. თქვენ არ იცით, რამხელა გულისტკივილია, როდესაც ადამიანს ეუბნები, რომ საქართველოდან ხარ და აშშ-ს ჯორჯიიდან ჰგონიხარ, გული გვტკივა. საელჩომ საქართველოსთვის და უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობისთვის უნდა იბრძოლოს.

## ქართული რევოლუცია ლონდონში

- საინფორმაციო საშუალებები ყოველ საღამოს 20 წუთს მაინც უთმობდნენ საქართველოში მიმდინარე ამბებს. ჩვენ ძირითადად, ინტერნეტით, "რუსთავი 2-"ის, ახლობლებისა და მშობლების საშუალებით ვიგებდით ამბებს. ძალიან გამიხარდა, რომ ბატონი ედუარდი გადადგა. მან საქართველოს დანგრევის მეტი არაფერი გააკეთა. თავისი მთავრობიანად კორუმპირებული იყო. ეგ უნდა წასულიყო. რატომ ჩამოვედი და რატომ უნდა ვსწავლობდე სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში?! ჩემს მთავრობას იმის გარემო რატომ არ უნდა შეექმნა, რომ როგორც მინდოდა, ისე მესწავლა?! ან, ნორმალურია, რაც თბილისის უნივერსიტეტში ხდება?! ვინ არის როინ მეტრეველი, ეგ არის ედუარდ შევარდნაძის კაცი. რა გააკეთა უნივერსიტეტისთვის? მაგ კაცის წასვლამდე, საქართველოს არაფერი ეშველებოდა. ახლა ამოვისუნთქეთ და მგონი, დაიძრა საქართველო სიკეთისკენ, დემოკრატიისკენ, ნატოსკენ, ევროპისკენ და დემოკრატიული ქვეყნებისკენ.

პირველი საპროტესტო აქცია 16 ნოემბერს, ინგლისის პარლამენტის წინ გავმართეთ; მეორე - 22 ნოემბერს, ჩვენს საელჩოსთან. მივედით, რადგან ჩვენი პოზიციის დაფიქსირება გვინდოდა და შემდეგ წერილობით, ან ტელევიზიით გადაეცათ ეს საქართველოში. საელჩომ პოლიცია გამოიძახა ჩვენს დასაშლელად. სხვათა შორის, პოლიციამ გვითხრა, რომ ძალიან კარგად იცოდნენ, რის გამოც ვიყავით შეკრებილი, მაგრამ ისინი კანონს იცავდნენ. მათაც იცოდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გადადგა, ხალხმა იმ დღეს ყველაფერი იცოდა. საელჩოს წარმომადგენლები კი საერთოდ არ ყოფილან ჩვენს მიტინგზე და ამის გამო ძალიან დამწყდა გული.

მიტინგზე 200-მდე ადამიანი მოვიდა. მოგეხსენებათ, ლონდონი დიდი ქალაქია და მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც იქ მოსვლა მოახერხა... ლოზუნგები ისეთივე იყო, როგორც თბილისში - "ძირს შევარდნაძე", მოვითხოვდით თავისუფლებას, დემოკრატიას, დემოკრატიულ ქვეყნებთან, ევროკავშირთან ყოფნას. არ გვინდა ეს რუსეთი და კომუნისტური რეჟიმი. მოკლედ, ლონდონშიც იგივეს მოვითხოვდით, რასაც სენაკში, ზუგდიდში, გორში და ყველგან, მთელ საქართველოში მოითხოვდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობა და გამვლელი ტურისტები აღფრთოვანებულები იყვნენ. აინტერესებდათ, რა შინაარსის მიტინგი იყო. ზოგს კი ვგონივართ ჯორჯიის შტატიდან, მაგრამ, იმ დღეებში თითქმის ყველამ იცოდა, რა იყო საქართველო. უხაროდათ, რომ ამ კაცისგან და კორუფციისგან ჩვენ თვითონ დავიხსენით თავი, რომ თავისუფლები ვიყავით. გვილოცავდნენ, სურათებს იღებდნენ. ყველას კარგი შთაბეჭდილება დარჩა. ყველაზე ძალიან კი ის გამეხარდა, რომ მათაც უხაროდათ და გვილოცავდნენ - შევარდნაძე რომ წავიდა, კარგი არისო. ისე, უნდა ითქვას, რომ საქართველოს არ იცნობდნენ, შევარდნაძეს - კი.

## რას სწავლობს ისეთს იმ ლონდონში...

- სწავლის პროცესი აქ უფრო ორგანიზებულია. სწავლის დონე მაღალია, მართლა ასწავლიან. საქართველოში ეს ვერ ვიგრძენი - მოგეხსენებათ, ნიშნის დაწერის გამო როგორ ექცევიან სტუდენტებს ლექტორები, გაქანებული ვაჭრობა მიდის. ეს თქვენც ძალიან კარგად იცით და ჩაძიება აღარ მინდა. აქ კი ლექტორი არ შეგედავება და ვაჭრობას არ დაგიწყებს. გარდა ამისა, იმის საშიშროება არ გემუქრება, რომ აუდიტორიაში ჩამტვრეული ფანჯრის გამო შეგცივდება. უნივერსიტეტში რომ შევდივარ, ასე მგონია, სამოთხეში ვარ. ხშირად მიწევს სიარული ბიბლიოთეკაში - იქ სიარული მსიამოვნებს და სწავლა მიხარია, რაც მანდ არასდროს მიგრძვნია.

ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს პედაგოგებთან. თავისუფალ დროს ხშირად ვატარებთ ერთად. კინოში, თეატრში და პარკებში დავდივარ მათთან ერთად. თუ დრო გვაქვს, ხშირად ფეხბურთსაც კი ვთამაშობთ.

სხვათა შორის, მასამ ძალიან ბევრი რამ იცის საქართველოს შესახებ. ვინც არ იცის - ჩემებურად ვცდილობ ახსნას. ვეუბნები, რომ ჩვენ ვართ ჯორჯიელები არა ამერიკიდან, არამედ - ევროპიდან.

## ვინ არიან ამ მეცადინი შვილის ბედნიერი მშობლები?

- მამა, კობა ფხაკაძე - ინჟინერია. სამწუხაროდ, მას სამსახური არ გააჩნია. დედა ბუღალტერია და ფინანსთა სამინისტროში და მისი დაქვემდებარების პუნქტებში თავისი სპეციალობით მუშაობს. მყავს ორი და და ერთი ძმა - ოთხნი ვართ.

რევოლუციის დღეებში ის განწყობა ჰქონდათ, რაც ახლა მე მაქვს - შევარდნაძის წასვლით აღფრთოვანებულები იყვნენ. ძალიან უხაროდათ, წასვლაზე რომ დაფიქრდა. ის ჩვენთვის მტერი იყო. მაგის ყოფნისას საქართველოს მესამედი დაიკარგა. ხედავთ, რა ხდებოდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ახლა აჭარაშია პრობლემები... რა გააკეთა შევარდნაძემ იმისთვის, რომ ასე არ ყოფილიყო? - არაფერი. ოჯახს აქედან ჩემებურად ვუჭერდი მხარს და ვამხნევებდი. ეს კიდევ უფრო ახარებდათ, მე კი მათი სიხარული მახარებდა.

რა თქმა უნდა, ჰქონდათ სისხლის დაღვრის შიში, ეს ყოველთვის არსებობს. მაგრამ, როდესაც საქართველოს ბედ-იღბალი წყდება, ყველამ რაღაც უნდა გავიღოთ. 20 წლის ვარ და თუ რაღაცაში გამოვადგები საქართველოს, მის მოქალაქეებს - სიკვდილისთვისაც მზად ვარ, ყველაფერს გავიღებ. ანალოგიური საქციელისკენ მოვუწოდებ ჩემი ოჯახის წევრებსაც. მათ ხომ არ ჰქონდათ კარგი ცხოვრება და ჩვენ, მომავლებს მაინც დაგვიტოვონ წესიერი ქვეყანა. მე რა დავაშავე?! რატომ უნდა მენახა აფხაზეთის ომი და გაჭირვება, უშუქობა და შიმშილი? კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას. მე კატეგორიულად არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა ანალოგიური სიტუაცია ნახოს. მინდა, რომ ჩემი შვილი დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანაში გაიზარდოს. ნახოს ის კარგი ცხოვრება, რაც ინგლისში ინგლისელებისთვის არის, კანადაში - კანადელებისთვის და ა.შ.

## ამ ახალ საქართველოში დაბრუნება კი უკვე ყველას უნდა

- ჩემი ჩათვლით, რა თქმა უნდა. ეს განწყობა ყველას გვაქვს. ერთი სული მაქვს, როდის დავამთავრებ სწავლას, როდის ჩამოვალ და როდის მოვახმარ საქართველოს ჩემს განათლებას. ზუსტად ასე ფიქრობს ის ნაწილი, ვინც აქ სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოცნება იყო, აქ დასარჩენად არ ჩამოვსულვარ. იმიტომ ჩამოვედი, რომ საქართველოს მთავრობამ არ მაღირსა, ისეთი განათლება მიმეღო, როგორიც მინდოდა...

ლონდონში ისეთი ქართველებიც ცხოვრობენ, ვინც სამუშაოდ ჩამოვიდა. მეგობარიც მყავს ასეთი - იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ საქართველოში ემუშავა და ოჯახი ერჩინა. რა თქმა უნდა, ისინიც პატრიოტები არიან და დაბრუნება უნდათ. თავს ჯერჯერობით იმიტომ იკავებენ და აქ იმიტომ რჩებიან, რომ თავის გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარებიან. თუ უკეთესობა იქნება, რა თქმა უნდა, ფრენა-ფრენით დაბრუნდებიან.

## რა ჰგონია, როცა ჩამოვა, რა ქვეყანა დახვდება?!

- მიხეილ სააკაშვილის პარტია ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ გავიცანი. არ მინდა, ბანალურად გამომივიდეს, მაგრამ "საღოლ", რაც გააკეთეს. მიხარია, რომ საქართველოში ქვეყნისთვის მებრძოლი ხალხი არსებობს. როცა ჩამოვალ, მინდა, ქვეყანა დამხვდეს თავისუფალი, იყოს ნატო-ში, ევროკავშირში...

ინგლისშიც არიან, ალბათ, გაჭირვებულები, მაგრამ მათ იშვიათად შევხვედრივარ - ერთი-ორს თუ ნახავ. ისეთ ადგილობრივს კი ვერ ნახავ - მაცივარში რომ მუშაობდეს იმის გამო, რომ სწავლის ქირა იხადოს. თავის გაჭირვებულ მოქალაქეებს აქ სახელმწიფო ეხმარება. რესტორანში, სადაც ვმუშაობ, დაახლოებით, 30 კაციანი პერსონალია და ისინი გაჭირვების გამო კი არ მუშაობენ, არამედ იმიტომ, რომ მუშაობა უნდათ, სამსახურში მეგობრები ჰყავთ.

აქ სულ სხვანაირი ცხოვრებაა, აქ ხვალინდელი დღის საკვები სადარდებელი არ აქვთ - რომ გაუჭირდეს, სახელმწიფო დაეხმარება. თავად ინგლისელებს უთქვამთ ჩემთვის - სამსახური ერთმანეთთან შეხვედრის საუკეთესო საშუალებააო. რა თქმა უნდა, თან ფულს იღებენ. მათ ისე არ უჭირთ, როგორც მე.

არა მგონია, 2009 წლამდე დავბრუნდე. ბარგი-ბარხანა კი უკვე ჩალაგებული მაქვს... თავისუფალ საქრთველოში მინდა ჩამოსვლა. არ მინდა, იყოს ავტონომიები. ვიყოთ თავისუფლები და დემოკრატიულები - ეგ არის ჩემი თხოვნა. დარწმუნებული ვარ, ქართველები უკვე გავერთიანდით. ის გამიხარდა, რომ თუ ყველას არა, უმრავლესობას ერთი რამ გვინდა - თავისუფლება, გაბრწყინებული და გაერთიანებული საქართველო. რაკი გავერთიანდით, უკეთესობისკენ დავიძრებით და ჩვენსას მივაღწევთ - ამაში დარწმუნებული ვარ.

## დაუყოვნებლივ - საპრეზიდენტო არჩევნებზე

- 2 ნოემბერს ვმუშაობდი და საპარლამენტო არჩევნებზე ვერაფრით ვერ მივიდოდი, მაგრამ 4 იანვარს აუცილებლად და დაუყოვნებლივ მივდივარ საპრეზიდენტო არჩევნებზე. როგორც საქართველოს მოქალაქეს, ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება ვალდებულებად მიმაჩნია. ჩემი საქართველოს ბედის გადაწყვეტაში თუ რაიმე შევძელი, ბედნიერი ვიქნები.

იმედი მაქვს, ჩემს გულისწუხილს გაიგებთ და გაიზიარებთ.



ქართული რევოლუცია ლონდონში.

## ბათუმში ღია ცის ქვეშ რელიგიური მუზეუმი გაიხსნება

აჭარაში ღია ცის ქვეშ მსოფლიოში უნიკალური რელიგიური მუზეუმი გაიხსნება. მუზეუმის დაარსების იდეა აჭარის კულტურის მინისტრმა თეიმურაზ კომახიძემ აჭარის მინისტრთა საბჭოს გაფართოებულ თათბირზე წამოაყენა.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ბათუმში მდებარე თამარის ციხისა და თამარის სახელობის ეკლესიის ეზოში დაიდებს ბინას. ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მუზეუმში ქვაში ნაკვეთი უძველესი ხატები, ხეზე ამოკვეთილი ქრისტიანული ორნამენტები, მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიების მაკეტები განთავსდება; მათ შორის იქნება ბათუმის სამების მთაზე მშენებარე წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მაკეტიც. გარდა ამისა, მუზეუმში წარმოდგენილი იქნება თანამედროვე მხატვრების მიერ რელიგიურ თემაზე შესრულებული ტილოები, მაგალითად, მხატვარ ზურაბ ხაბაძის მიერ დათვის ტყავზე შესრულებული თამარის ფრესკა. მუზეუმი გაისად ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე გაიხსნება.

*მედია-ნიუსი*

## მუდამ მხურვალე კლაუს კინსკი



სანამ ქვეყნის უდიდესი ვარსკვლავი და გერმანული კინოს Enfant Terrible გახდებოდა, კლაუს კინსკი ლიტერატურული კლასიკის ცეცხლოვანი ინტერპრეტაციებით თეატრის მოყვარულებს სცემდა თავზარს. სულ ცოტა ხნის წინათ, 1991 წელს გარდაცვლილი "ბიურგერების რისხვის" ხელოვნების ამ მხარის ამსახავი კომპაქტ-დისკების კრებული ევროპის მაღაზიებში გამოჩნდა, და მალე ალბათ ჩვენამდეც მოაღწევს. ენის ცოდნა-არცოდნა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი არაა – კლაუს კინსკის ენერგია ყველასთვის საკმარისი აქვს, და მისი შემართება ძალიან გადამდებია.

კანცლერ ადენაუერის დროინდელ გერმანიას "საშიში და მარწყვისტუჩება ახალგაზრდა ღმერთი" მოევლინა – კლაუს კინსკი. "ჯადნაბას მიღმა გზა გქონიათ," - 1961 წელს დარბაზისთვის ასეთი რამის თქმა არავის გაებედა. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში მილიონზე მეტი ადამიანი მივიდა თეატრში "ველურის", კლაუს კინსკის სანახავად. რეჟისორის ნება, დისციპლინა, ვინმეს რიდი და თავისი მდგომარეობის თაობაზე ილუზიები მას არ აწუხებდა – მისთვის ისინი, უბრალოდ, არ არსებობდა. თეატრალურ სამყაროში მომხდარი აურზაური კინსკისთვის მხოლოდ საწყისი ეტაპი იყო.

სამოცდაათიანი წლების დასასრულს მისი პირველი ფირფიტები გაჩნდა – კინსკი ვიონის და რემბოს ლექსებს კითხულობდა. ჩანაწერი დაიტაცეს, მას ყველა უსმენდა, ინტელექტუალებიც და ჰაშიშით გაბრუებული სტუდენტებიც. როგორც ჩანს, ახლაც იგივე მოხდება: "კინსკი მსოფლიო ლიტერატურას კითხულობს" ოც კომპაქტ-დისკს შეიცავს, რომლებიც გულგრილს ვერავის ტოვებს. "შპიგელის" კორესპონდენტის თქმით, ისინი "ნერვებს გლეჯს. კინსკი ნელ-თბილი არასოდესაა, ან გავარვარებულია, ან გაყინული... მისი იმპულსური, ფრივოლური თუ მრისხანე ხმა, დღესაც კი ზნეობის დამცველად გვაგძნობინებს თავს, მისი მსმენელი დღესაც სირცხვილისაგან წითლდება".

კლაუს კინსკისაც ეს უნდოდა. მან კიდევ ერთხელ მიაღწია მიზანს.

## ახალი კერპი

ფრანგული ჟურნალ "ელის" მიერ ქალის ახალ იდეალებად 34 წლის მსახიობი კეტრინ ზეტა-ჯონსი და 33 წლის მომღერალი და მსახიობი, ჯენიფერ ლოპესი არიან დასახელებული.

გაითვალისწინეთ: სიგამხდრე მოდაში აღარაა. "მომრგვალებულ, გიტარის მსგავსი ფორმების მქონე" ქალებზე დიდი მოთხოვნა გაჩნდა. ჟურნალის წამყვანი სტატიის სახელწოდებაა "ქალური ფორმები სექსუალურია – გავუფრთხილდეთ კილოგრამებს!" სიგამხდრის დიქტატურა დამხობილია, და ამის დასამტკიცებლად "ელის" გარეკანს კერი ოტისის გამოსახულება ამშვენებს – ის არც მცირეწლოვანია (35 წლისა ბრძანდება) და არც სიგამხდრით ყოფილა გამორჩეული.

მართალია, სიმრგვალესაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. ჟურნალი წერს, რომ "ბევრი ქონი ქალს ფორმებს უკარგავს". საოცარი ჭეშმარიტება აღმოაჩინეს ფრანგებმა.



# ახალი ქართული დოკუმენტური კინო და რევოლუცია

თეონა ჯაფარიძე

ამ ბოლო დროს ქართულ კინემატოგრაფიულ დუმილს ახალგაზრდა რეჟისორი საშა ქორიძე არღვევს და თან საკმაოდ ეფექტურადაც. მისი კინო დოკუმენტურია, თემა ყოველთვის დროული, მისი კამერა კი დაახლოებით იგივეა კინოში, რაც ქართულ სინამდვილეში ახლახანს შემოჭრილი და ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი "კმარა." გენდერული თუ ეკლესიის შიდა ცხოვრების თემატიკის შემდეგ, მისი კამერის სამიზნე სწორედ რომ "კმარა" აღმოჩნდა. გუშინ საღამოს "კინოს სახლში" მისი ახალი დოკუმენტური ფილმის – CHE-ს (ანუ ჩე გევარა) ჩვენება შედგა.



საშა ქორიძე.



კადრი ფილმიდან.

ახალი თაობის მაყურებლით გადაჭედილმა დარბაზმა ფილმის პირველ კადრებს მიაპყრო მზერა: ფეშენებლური სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენციაზე ცნობილი ექსპერტები დემოკრატიულ ღირებულებებზე მსჯელობენ. მათი ფრაგმენტული ფრაზების ფონზე, ფანჯრის მიღმა, დაბურული ფარდის იქით კი კამერა "მოკრძალებულად" აფიქსირებს განცხრომით ცხოვრების "ხიბლს: - აუზი, მზეზე გარუჯული სხეულები, კომფორმიზმის სენით მოდუნებული თაობა. მოულოდნელად რიტმი ჩქარდება და კადრში ქუჩა, ხმაური და ცნობილი შეძახილები –"კმარა! კმარა!" იჭრება. ეკრანზე ფილმის სათაური – CHE... იწერება. მაყურებელი უკვე გრძნობს, რომ ეს დღევანდელი დღეა და "გუშინ" უკვე დამთავრდა.

საშა ქორიძემ ფილმისთვის 10 საათიანი მასალა გადაიღო. ფილმის ქრონომეტრაჟი კი სულ 33 წუთია. "გადაღებისას დროს ვერც ვამჩნევდით. საშა ყველაფრის მონაწილე იყო ჩვენთან ერთად. კამერა ეჭირა ხელში და ვერც კი ვხვდებოდით როდის იწყებოდა გადაღება და როდის მთავრდებოდა. ჩვენ უბრალოდ მისი კამერის წინაშე ვცხოვრობდით" – მიამბობს ერთ-ერთი "კმარელი" და შესაბამისად ფილმის ერთ-ერთი გმირი გვანცა ლიპარტელიანი.

ვინ არიან "კმარელები"? როგორია ჩვენი საზოგადოება? ისინი ცოტათი 60-ანი წლების ახალგაზრდებს მოგვაგონებენ, მაგრამ ჰიპები ნამდვილად არ არიან, უფრო რუსულ ესტრადას ეტანებიან და საოცრად მობილიზებულნი არიან, ცოტათი გაიდარის გმირებსაც გვანან, მაგრამ დრო მათთან ძალიან აშორებთ. აქციების წინ რეპეტიციებს გადიან, თუმცა მათი აქციების ფორმა ხომ თეატრალიზირებულია. ჩვენი საზოგადოება კი ... ის შეგუებულია ნაგვით სავსე ქუჩებს, ჩვენი უფლებების არმცოდნე თუ ამ უფლებების დამრღვევი პოლიციის მსუქანი ჩინოვნიკების უაზრო გამომეტყველებას, რესპუბლიკის მოედანზე პრეზიდიუმში მთვლემარე კორუმპირებული მთავრობის წევრების ფეხთით როკვას ეროვნული ფოლკლორის ფონზე. ყოველივე ამას საშა ქორიძის კამერა საოცარი ექსპრესიულობით აფიქსირებს.

განსაკუთრებით შთაბეჭდავია "კმარას" აქცია კანცელარიის ბალთან. გისოსებს მიღმა სამთავრობო ბლოკის "მამებს" საზეიმო მიღება აქვთ გამართული, (მაყურებელთა დარბაზი უკვე სიცილით ხვდება მსხვილი კადრებით გადაღებულ "გუშინდელ" ცნობილ სახეებს) გისოსებს გარეთ მოქცეული "კმარელები" კი კინოდოკუმენტალისტის კამერაში, უფრო თაობაა, რომელიც მამების კონფორმიზმს ებრძვის, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის აქტივისტები.

ფილმის ფინალიში ეერ-ს სპარტანულ Родина-ს შუასაუკუნეების დიდებული, იტალიური მუსიკა ცვლის, კადრი იშლება და ხალხის ტალღის ფონზე წითელჯვრიანი დროშა იკვეთება. ეს ხომ ისტორიისათვის კარგად ნაცნობი რევოლუციური რომანტიზმის შეგრძნებაა, რომელსაც ახალი თაობის რეჟისორი ციფრულ კამერაზე აფიქსირებს.

# თომასი, ზაზა და სხვები

## საღამო "წიგნის სახლში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

წესით, იმას უნდა ვწერდე, თუ რა უამბო "წიგნის სახლში" შეკრებილ საზოგადოებას ზაზა შათირიშვილმა თომას მანის სამყაროს შესახებ. მე ამას არ ვიზამ, რადგან ზაზას თავის მოხსენების გამოქვეყნება რომ ნდომოდა, მოახერხებდა კიდეც, ხოლო ჩემს მიერ მოყოლილი ზაზას ნაამბობი თომას მანის შესახებ, მე მგონი, ბევრი ვერაფერი წასაკითხი იქნება. სხვა თუ არაფერი, უმსგავსობაა, სხვის ნაამბობს საკუთარი გვარი მიაწერო.

არადა, გუშინდელი თავყრილობა ფრიად საინტერესო და სახალისო იყო. შეიკრიბნენ ქართველი ლიტერატორები, ე.წ. კარგი მკითხველები და ა.შ. – მოკლედ, ის ხალხი, რომელსაც დაუდგენელი სახელით, "ინტელექტუალებად" მოიხსენიებენ ხოლმე. უნდა ითქვას, რომ წოდებასთან დაკავშირებით თავად ზაზასთან მიმართებაშიც პრობლემები შემექმნა: მან მითხრა, ფილოლოგი ვარო, მერე ამას რამდენიმე საშინელი სიტყვა დაურთო და განმიმარტა, ამერიკაში ასე მერქვაო, მერე სხვებმა მითხრეს, კულტუროლოგად მოიხსენიეო, და ბოლოს მწერალმა ზაზა ბურჭულაძემ მირჩია, ესა და ეს დაწერეო, მაგრამ მე არ დავწერ, იმიტომ, რომ არა მგონია, მთლად ასე იყოს საქმე.

მოკლედ: სანამ ფილოლოგი ზაზა შათირიშვილი თომას მანის რომანების და მრავალი სხვა რამის შესახებ საუბრობდა, დამსწრე საზოგადოება მას ღრმააზროვანი სახით შესცქეროდა და მოწონების ნიშნად თავსაც აკანტურებდა.



ზაზა შატირიშვილი და ზაალ სამადაშვილი თომას მანის შესახებ.

ცალკეულთა დამოკიდებულება გერმანული ლიტერატურის მიმართ დანამდვილებით ვიცი, ვთქვათ, დეფი გოგიბედაშვილისა, ამიტომ რამის ავად თქმისგან თავს შევიკავებ. გარდა ამისა, სულ მახსოვს, როგორ დამიბრუნა თავის დროზე ჩემმა მეგობარმა "ფუკოს ქანქარა" – მითხრა, ამის გაგებას დიდი ცოდნა უნდა, მე კი არ მაქვსო. არც მე მაქვს, მაგრამ წიგნი უკვე წაკითხული მქონდა და მეგონა, რომ ვისიამოვნე კიდეც, და მეგობრის სიტყვების შემდგე ცოტა ნირი წამიხდა. ამიტომაც ზაზას მსმენელებს არ განვიკითხავ – რა ვიცი, იქნებ თომას მანის სამყარო მათ წინაშე ხელისგულივითაა გადაშლილი...

პირადად მე მთელი საღამოს განმავლობაში ვნებით შევცქეროდი მასპინძლის, ზაალ სამადაშვილის ზურგსუკან დალაგებულ ტკბილეულობას და ძალიან მინდოდა, SMS გამეგზავნა, ზალიკო, ერთი ფუნთუშა მესროლე-მეთქი, მაგრამ არ გავუგზავნე, მაინც მომერიდა. როცა საუბარი დასრულდა, აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ მე არ ვიყავი ამ დღეში – ხალხი ტკბილეულობას შეესია. ჩინებული ნამცხვარი კი იციან "წიგნის სახლში".

სწორედ ნამცხვრის ჭამის დროს გაირკვა, რომ 18 დეკემბერს ზაზა ბურჭულაძის "მინერალური ჯაზის" პრეზენტაცია გაიმართება, რომ 25-ში დეფი ედგარ პოს შესახებ ისაუბრებს და რომ "მის-საქართველო-2003" ძალიან ლამაზი გოგოა. გარდა ამისა - ძალიან ვიხალისე – თურმე დეფის მეზობელი გოგო სამი წლის განმავლობაში ოცნებობდა რატი ამაღლობელის გაცნობაზე, მაგრამ რატი დეფის ამ საქმეზე არასოდეს გაჰყოლია; მერე გოგონას კედელზე რატის სახელი დაუწერია, მაგრამ ვიღაც ბოროტებმა წინ კიდევ რაღაცა მიაწერეს, და ცუდი რაღაცა გამოვიდა, და დეფი გაჯავრდა. მოსცლია, ერთი. ჯობდა, რატიზე გაჯავრებულიყო – თავს რას იფასებდა!

მერე ზალიკო სამადაშვილს ვეჭორავე და ზოგ-ზოგებზე ცუდებიც ვთქვი, ოღონდ ვისზე – ამას არ დავწერ, იმიტომ რომ ზალიკოს ყველაფერი სწორად ესმის, სხვებმა კი შეიძლება არასწორად გაიგონ. მერე "წიგნის სახლის" დიასახლისი არაჩვეულებრივი ყავით გამიმასპინძლდა, მერე კი ერთმა ძალიან კარგმა ბიჭმა დამირეკა, თუ გინდა გამოგივლიო, და ზაზა შათირიშვილს მადლობა ვუთხარი და წამოვედი.

ხოლო თუ მაინცდამაინც თომას მანი გაინტერესებთ, "წიგნის სახლში" მიბრძანდით, და თუ რამე ვერ გაიგეთ, ზაზა შათირიშვილს მიმართეთ – ვფიქრობ, არ დაიზარებს და დაგეხმარებათ. ერთი ისაა, რომ თუ ძალიან, ძალიან გულწრფელები იქნებით, მეტისმეტად ბევრი კითხვა შეიძლება დაგიგროვდეთ და ზაზამაც კი ველარ აგიტანოთ.

# ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მარტივი ლექსებია

## "ლიტერატურული კაფეს" ლიტერატურული შეხვედრა

ნანა ბასილაშვილი

*"ლიტერატურული კაფე" დანაპირებს ხუთიანზე ასრულებს. გუშინ გერმანიაში მოღვაწე ქართველი პოეტის, დათო ბარბაქაძის შემოქმედებითი საღმო გაიმართა. მაყურებელი არც ამ საღამოს დაკლებია. ბარბაქაძის პოეზიისა და პროზის თაყვანისმცემლებს კიბეები და რბილი იატაკი, კვლავ სკამების მაგივრობას უწევდა (არ იფიქროთ, რომ კაფეში სკამების ნაკლებობას განიცდიან).*

"ძალიან გახარებული ვარ, რადგანაც, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ლიტერატურული საღამოს მოწყობის ინიციატორი არ ვარ. უამრავი აქცია მაქვს მოწყობილი, მაგრამ ჩემი საკუთარი პოეზიის საღამო არასდროს მქონია", - საღამოს მასპინძლის, ლაშა ბუღაძის შემდეგ, მოკლე შესავლით, დამსწრე საზოგადოებას თავად დათო ბარბაქაძე მიესალმა.



დათო ბარბაქაძე.

დათო ბარბაქაძე, უკვე ორი წელიწადია გერმანიაში მოღვაწეობს. იგი ამზადებს სადოქტორო დისერტაციას. ამას გარდა, კვლავინდებურად აგრძელებს მუშაობას, წერას, დაკავებულია XX საუკუნის გერმანული კლასიკოსების თარგმანით, აგროვებს მასალებს მომავალი წიგნებისთვის და აქვს უამრავი პროექტი. ამჟამად ბარბაქაძე ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალთან თანამშრომლობს, რომლის მორიგი ნომერი მთლიანად თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ეთმობა.

1992-93 წლებში, მაშინ, როდესაც არათუ ლიტერატურული საღამოებით, ზოგადად წიგნითაც კი ბევრი არ ინტერესდებოდა, მწერალი და პოეტი დათო ბარბაქაძე საკმაოდ რადიკალური და არაორდნარული ლიტერატურული საღამოების პირველი, ინიციატორი და ორგანიზატორი იყო. ამასთან მისი თაოსნობით, გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი და გაზეთი "+ - ლიტერატურა".

"ჩემი ლექსები არ არის ხმამაღლა კითხვადი, რეკლამირებადი. მე ვქმნი პოეზიას, რომელიც აზროვნებით კითხვას მოითხოვს. ეს არის უაღრესად რიტმული ლექსები, მთელი სული და გული ჩადებულია მხოლოდ და მხოლოდ რიტმში, რითაც ჩემს სათქმელს გამოვხატავ. ჩემი ლექსები არც თეთრი ლექსებია, არ ტრადიციული, მაგრამ მასში ყველა ტრადიცია, რასთანაც მე მქონია შეხება გათვალისწინებულია. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მარტივი ლექსებია, იმის გამო, რომ რითმასა და ტრადიციულ კომპონენტებს არ ვიყენებ. ზოგადად, ვფიქრობ, რომ დღეს ეს აღარ არის პრობლემა, მთავარია, ლექსი იყოს საინტერესო", - გუშინდელი საღამო თითქმის ორ საათს გაგრძელდა. პოეტმა ბევრი გამოქვეყნებული და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები წაიკითხა. დათო ბარბაქაძე 20-მდე კრებულის ავტორია, აქედან 7 პოეტური კრებულის, 2 რომანის, თარგმანებისა და კრიტიკული წერილების.

# ამერიკაში ებრაელების რაოდენობა იკლებს

## ისინი ბერდებიან და ˝მაგარი ქალები˝ მოჰყავთ ცოლად

მელორ სტურუა
საქ.კორ. აშშ


სინაგოგა კონექტიკუტის შტატში.

ებრაული მოსახლეობის აღწერა ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელად 1990 წელს ჩატარდა. მისმა შედეგებმა ამერიკის ებრაული საზოგადოება ძლიერ აღაშფოთა. ამასთან დაკავშირებით "ებრაეული კომუნების გაერთიანებამ", რომელიც მთელს ქვეყანაში ებრაულ ფედერაციებს აერთიანებს, ხელახალ, უფრო ზუსტ და ყოვლისმომცველ აღწერას გაუწია სპონსორობა. შედეგებს მოუთმენლად ელოდნენ. მოლოდინი მთელი 9(!) წელიწადი გრძელდებოდა და აი, რამდენიმე დღის წინ, აღწერის შედეგები გამოქვეყნდა. თუმცა მათ სანუგეშო არაფერი მოუტანია. როგორც ჰარვი ბლიცმა, მართლმორწმუნე ებრაელების კავშირის პრეზიდენტმა განაცხადა, "ნეგატიური ვარდნა 1990 წლიდან დღემდე გრძელდება".

### რაზეა საუბარი?

მივუბრუნდეთ ახალი აღწერის სტატისტიკურ მონაცემებს. პირველ რიგში, ისინი ცხადჰყოფენ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ებრაული მოსახლეობა 300 ათასი ადამიანით შემცირდა და დღეისათვის 5,2 მილიონს შეადგენს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ებრაული ემიგრაციის დიდი ტალღა წამოვიდა. ამერიკის ებრაული მოსახლეობა არამარტო რიცხობრივად კლებულობს, არამედ ბერდება კიდეც. ათი წლის წინ ამერიკელი ებრაელის საშუალო ასაკი 37 წელი იყო, ახლა კი 42 გახდა (შედარებისთვის: ამერიკელი მოქალაქის საშუალო ასაკი 35 წელია). ამაში გარკვეული "წვლილი" ყოფილი საბჭოთა კავშირის ემიგრანტებს მიუძღვით. გამოკითხვის თანახმად, ხანშიშესული ებრაელები ფინანსურად მხარს უჭერენ "ებრაელთა საქმეს და ისრაელს ემოციური თვალსაზრისით თანაუგრძნობენ".

ამერიკის ებრაული საზოგადოება განსაკუთრებით სამომავლო ტენდენციებითაა შეწუხებული. საქმე ისაა, რომ სულ უფრო მატულობს იმ ებრაელთა რიცხვი, რომლებიც არაებრაელებზე ქორწინდებიან. გარდა ამისა, ასეთი შერეული ქორწინებებიდან ბავშვების ორი მეოთხედი არაებრაულ რელიგიურ ტრადიციებზე იზრდება. მოსახლეობის აღწერა, რომელსაც ოფიციალურად "ებრაული მოსახლეობის ეროვნული აღწერა" ჰქვია, განგაშს ტეხს იმის გამო, რომ ებრაელების რელიგიური და ეთნიკური იდენტურობის მემკვიდრეობით ესტაფეტას საფრთხე ემუქრება. აღწერა "ჩართულ" ებრაელებს, ანუ მათ შორის, ვინც ებრაული ცხოვრების წესის სულიერ და კომუნალურ განვითარებაზე ზრუნავს, და "არაჩართულ" ებრაელებს შორის, რომლებიც ამის მიმართ გულგრილნი არიან და ებრაულ რელიგიურ ადათებს არ იცავენ, მზარდი პოლარიზაციის სურათს ხატავს (ამ უკანასკნელთა შორის მრავალი საბჭოთა იმიგრანტიცაა).

პოლარიზაცია განსაკუთრებული სიძლიერით ებრაული განათლების სფეროში იგრძნობა. ებრაელი ბავშვების მხოლოდ 29 პროცენტი გადის ებრაულ სკოლებში – ეშივებში – სრულ სასწავლო კურსს. ნაკლები მოსწავლე ჰყავს საკვირაო სასინაგოგო სკოლებს და ჰიბრუს სკოლებსაც, რომლებიც ამერიკელი ებრაელების წინა თაობას რელიგიურ განათლებას აძლევდა. სეკულარიზაცია განსაკუთრებული ტემპით შეერთებული შტატების დასავლეთში მიმდინარეობს, სადაც ამერიკელი ებრაელების 22 პროცენტი ცხოვრობს. დასავლეთის ებრაელები ქვეყნის სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით, ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრებ ებრაელებზე ნაკლებად დადიან ღვთისმსახურებაზე, უფრო იშვიათად ქორწინდებიან ერთმორწმუნეებთან, ნაკლებად აღნიშნავენ ებრაულ დღესასწაულებს (შედარებისთვის მოყვანილია ნიუ იორკი და ლოს ანჯელესი ან ტეხასი).

პოზიტიური ის გახლავთ, რომ ებრაელების განათლების დონე საშუალოამერიკულზე მაღალია, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი ოჯახებს უფრო გვიან ქმნიან და საშუალოსტატისტიკურ ამერიკელზე ნაკლები შვილიც ჰყავთ. საშუალოდ თითო ებრაელ ქალზე ორ შვილზე ნაკლები მოდის. აღწერაში ნათქვამია, რომ ეს აშშ-ში ებრაელი მოსახლების დღევანდელი რაოდენობრივი დონის შესანარჩუნებლადაც კი არასაკმარისია. ჯერ კიდევ 1980 წელს ებრაელების 52 პროცენტი, ანუ ნახევარზე მეტი, "ებრაული რელიგიის მიღმა" ქორწინდებოდა. ახალი აღწერის თანახმად, ეს არასწორი რიცხვია, რადგან არამორწმუნე ებრაელებსაც მოიცავდა. მიუხედავად ამისა, "ებრაული რელიგიის მიღმა" ქორწინების ზრდის დინამიკა აშკარაა: 1980-84 წლები – 38 პროცენტი; 1985-90 – 43 პროცენტი; 1995-2001 წლები – 47 პროცენტი. აღწერის კვლევის დირექტორის, ლოურენს კოტლერ-ბერკოვიტცის თქმით, 1970 წლამდე ებრაელების მხოლოდ 13 პროცენტი ქმნიდა ოჯახს არაებრაელებთან. ამჯერად ასეთი ებრაელები 31 პროცენტს შეადგენენ. ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების 33 პროცენტი ებრაელების მსგავს აღზრდას იღებენ (შედარებისთვის: მთლიანად ებრაულ ოჯახებში ეს რიცხვი 96 პროცენტს შეადგენს).

"ებრაული მოსახლეობის ეროვნული აღწერის" მონაცემები, რომლებიც ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა გამოქვეყნებულიყო და შემკვეთებს 6 მილიონი დოლარი დაუჯდათ, იმდენად საგანგაშო აღმოჩნდა, რომ "იუნაიტედ ჯუდიშ კომიუნიტისმა" დამოუკიდებელ ექსპერტებს მიმართა და მათ აღწერის შედეგების გამოკვლევა სთხოვა. ბერნარდ შაპირო, მაკჰილის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, რომელიც ექსპერტების ჯგუფს ხელმძღვანელობდა, აღწერის წინასიტყვაობაში წერს, რომ ექსპერტებმა მისი სტატისტიკური მონაცემები სანდოდ ჩათვალეს (აღწერა 2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის აგვისტომდე მიმდინარეობდა. "ცდომილება" ორ პროცენტზე მეტს არ შეადგენს).

აღწერის პროექტის მენეჯერი, ლორენ ბლასი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ყველაზე მსუსხავი პრობლემა" თავად ცნება "ებრაელის" განმარტება იყო – ვინ არის, და ვინ – არა. გადაწყვეტილება "სოლომონისეული" იყო: ებრაელებად ისინი ჩაეთვალათ, ვისაც რელიგიური მიკუთვნილებით თავი ებრაელად მიაჩნდათ, ვისაც ერთ-ერთი მშობელი მაინც ებრაელი ჰყავთ და ვინც ებრაული განათლება მიიღო და სარწმუნოება არ შეუცვლია, ვთქვათ, ქრისტიანი არ გამხდარა.

1990 წელს მართლმორწმუნე ამერიკელმა ებრაელებმა პროტესტი გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი "ბოლომდე არ დათვალეს". ვითომდა, იმ აღწერის ჩატარებისას მათ შაბათობით ურეკავდნენ, როცა მართლმორწმუნენი ტელეფონს არ პასუხობენ. ამჯერად ალმწერები უფრო ყურადღებიანები იყვნენ. ახალი მონაცემების თანახმად, სინაგოგაში მოსიარულე ზრდასრულ ებრაელთა 46 პროცენტიდან 39 პროცენტი რეფორმისტია, 33 პროცენტი – კონსერვატორი (ამ სიტყვის რელიგიური მნიშვნელობით), 21 პროცენტი – მართლმორწმუნე, 3 პროცენტი – რეკონსტრუქციონისტი, 4 პროცენტი – "და სხვა".

ზოგადად, დღეისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ებრაელთა მოზაიკური სურათი ასე გამოიყურება.

# მის მსოფლიოს პრობლემები

Berliner Morgenpost იუწყება, რომ კრის დე ბურგის ასულს, როზანა დევისონს, "მის მსოფლიო 2003"-ის წოდებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. ჰორსტ კლემერი, Miss Germany Cooperation-ის უფროსი, დარწმუნებულია, რომ 19 წლის ლამაზმანი დედოფლის გვირგვინს დაკარგავს, რადგან მან ჟიურის წელს, მარტში გადაღებული ეროტიკული ფოტოსურათების არსებობა დაუმალა.

გააჩნია, ვინ რას უწოდებს ეროტიკას. ამ საბედისწერო ფოტოსურათებზე დევისონს უამრავი სამკაული ჰკიდია, მაგრამ წელსზემოთ მხოლოდ ორი პაწაწინა ყვავილითაა დაფარული. "ყვავილები ქსოვილი არაა, ამრიგად, ეროტიკულ ფოტოგრაფიასთან გვაქვს საქმე," განაცხადა კლემერმა. "როცა გამარჯვებული ასეთ ფაქტს მალავს და საიდუმლო შემდგომ ირკვევა, მას დისკვალიფიკაცია ემუქრება".

საბოლოო გადაწყვეტილება ლონდონში მყოფმა ორგანიზატორებმა უნდა მიიღონ.

ამრიგად, სილამაზემ როზანა დევისონს "მის მსოფლიო 2003"-ის წოდება და მასთან ერთად უამრავი უსიამოვნება მოუტანა. მას შემდეგ, რაც 55 წლის მომღერლის, კრის დე ბურგის ასულმა სამხრეთ ჩინეთში, კუნძულ ჰაინანზე მსოფლიოს ულამაზეს ქალად აღიარეს, მხოლოს ორი დღე იყო გასული, და უცებ მისი პირველი ეროტიკული ფოტოსურათები ამოტივტივდა. თურმე, მარტში დუბლინში გამართული მოდების ჩვენების დროს ქერათმიანი ირლანდიელი პოდიუმზე მკერდგაშიშვლებული დააბიჯებდა. ის თვალწარმტაცი და ძალიან ეროტიკული იყო, მაგრამ სილამაზის დედოფლისთვის ასეთი რამ სრულიად დაუშვებელი ყოფილა.


მის მსოფლიოს ულოცავს მამა.

ეს ერთი გამოსვლა და ფოტოსურათი როზანას შეიძლება გვირგვინის ფასად დაუჯდეს, რადგან ასეთი მასშტაბის სილამაზის კონკურსში მონაწილეები არასოდეს არ უნდა იყვნენ ეროტიკულ ფოტოსურათებზე შემჩნეული – ამას რეგლამენტი სასტიკად კრძალავს.

როზანა დევისონი პირველი მზეთუნახავი როდია, რომელმაც ასეთ გაუგებრობაში ამოჰყო თავი. "უმსგავსო" ფოტოსურათების გამო თავის დროზე დღეს უკვე 41 წლის გაბრიელა ბრუმმა "მის მსოფლიო 1980"-ის წოდება დაკარგა.

"გულთბილი, სიცოცხლით სავსე და თავმდაბალი" – ასე დაახასიათა საკუთარი თავი ირლანდიელმა ლამაზმანმა, რომელიც ადამიანებში ყველაზე მეტად "პატიოსნებას, სამართლიანობას და ერთგულებას" აფასებს.

ცნობისთვის: როზანა დევისონი მამამისის გვარია – კრის დე ბურგს სინამდვილეში ქრისტოფერ ჯონ დევისონი ჰქვია. ის მოგვიანებით გადასულა დედის ირლანდიულ გვარზე. არადა, მისი წინაპრები ლამის რიჩარდ ლომგულის ჩამომავლები ყოფილან...

# „მუსიკის სამსახური უკვე ჯილდოა„

## ˝ბილბორდი-2003˝

**"მთელი შენი კარიერის განმავლობაში შეიძლება მილიონობით ადამიანისთვის მღეროდე, შეიძლება – ერთისთვის; შეიძლება მილიონობით ალბომი გაყიდო, შეიძლება – ვერც ერთი... ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. თუ მუსიკას დიდი ვნებით, სიყვარულითა და გულწრფელობით ემსახურები, მაშინ ის ისედაც დაგაჯილდოებს. მუსიკა გახდება შენი სულიერი საზრდო; მუსიკა მოგიშუშებს ჭრილობებს და გათქმევინებს, რომ ცხოვრება ცხოვრებად ღირდა",** - ამ ემოციური მონოლოგითა და ამაღლებული განწყობით ჩაიბარა სტინგმა ე.წ. "საუკუნის ჯილდო", რომელიც მას ჟურნალ "ბილბორდის" ყოველწლიურ ცერემონიალზე გადასცეს. თუმცა, უნდა შეგახსენოთ, რომ თავად სტინგს მთელი კარიერის განმავლობაში ასი მილიონი ალბომი და სინგლი აქვს გაყიდული.

რაც შეეხება თავად შოუს, გამარჯვებულებს ყოველწლიურად ჟურნალ "ბილბორდში" გამოქვეყნებული ჩარტების, გაყიდული ალბომების რაოდენობითა და საეთერო დროის მიხედვით ავლენენ. წელს ცერემონიალი ლას ვეგასში ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი პომპეზურობითა და მხიარულებით ჩატარდა. გრანდიოზული კაზინოს, MGM-ის უზარმაზარი არენა ერთიანად ბრჭყვიალებდა.

სტინგს საპატიო ჯილდო სტივი ვანდერმა გადასცა. ეს კაცი ჩემი მასწავლებელი, ჩემი გურუ, ჩემი შთაგონების წყაროაო, - ასე დაახასიათა მან ვანდერი.

მანამდე კი, შოუ ჯგუფმა No Doubt-მა გახსნა ენერგიული სიმღერით It's My Life და მოწყენილობას არც შემდეგ უჩიოდა. ერთგვარი "მუსიკალური აფეთქება" მოაწყო Foo Fighters-მაც, მაყურებლის გართობაზე იზრუნა ფინქმაც თავისი სიმღერით God Is a DJ და ბეიონსმაც ჰიტით – Me, Myself & I, რომელიც მან ქალებს მიუძღვნა.

რაც შეეხება ჯილდოებს, ყველაზე ხშირად მადლობის გადახდა არ ქელისა და ბეიონსს მოუხდათ. მათ ოთხოთხი პრიზი მიიღეს. არ ქელი ორ კატეგორიაში საუკეთესო სიმღერების ავტორი და საუკეთესო პროდიუსერი გახდა. ბეიონსი კი – წლის საუკეთესო ქალი შემსრულებელი, ცხელ ასეულში პირველი ადგილის მფლობელი, ცხელი ასეულის საუკეთესო შემსრულებელი ქალი და რიტმ-ენ-ბლუზის საუკეთესო ახალი შემსრულებელი.


სტივი უანდერი და სტინგი.

ექვს ნომინაციაზე იყო წარდგენილი რეპ-ვარსკვლავი 50 ცენტი, რომელიც საღამოს არ ესწრებოდა. არადა, ის წლის საუკეთესო შემსრულებელი, რიტმ-ენ-ბლუზის საუკეთესო შემსრულებელი მამაკაცი და წლის საუკეთესო რეპ-მომღერალი გახდა.

დაჯილდოვდა ქანთრის ცნობილი მომღერალი შანია თვეინიც. ის ქანთრის საუკეთესო შემსრულებელი გახდა, მეორე ჯილდო კი საუკეთესო ქანთრი ალბომისთვის მოიპოვა.

როკის კატეგორიაში უდავო ლიდერი გახლდათ "აუდიოსლეივი", ახლადმოპოვებული ტიტულებით – თანამედროვე როკის წლის შემსრულებელი და როკის წლის შემსრულებელი. იმავე კატეგორიებში საუკეთესო სიმღერად "თრეფთის" Headstrong-ი დასახელდა.

ერთი სიტყვით, "ბილბორდის" დაჯილდოების ცერემონიალმა ტრადიციული და სტაბილური მხიარულებით ჩაიარა. თუმცა, იყო ერთი სიახლეც – წელს პირველად "ბილბორდმა" ცალკე კატეგორიად გამოყო ინტერნეტიდან ლეგალურად ჩამოტვირთული მუსიკაც და საუკეთესო "ციფრული სიმღერის" ტიტული "აუთქასთის" Hey Ya-ს გადასცა.

### ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| [illegible] | "რაც მაგონდება და როგორც მაგონდება" | GAT | 6 |
| [illegible] | "და დრო სულ ცოტა ხნით ჩერდება" | "ანბანი" | 6 |
| გიორგი მაისურაძე | "ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" | "ინტელექტუალური გამოცემები" | 5 |
| რატი ამაღლობელი | "ბანა" | "საგამომცემლო ცენტრი" | 5 |
| აკა მორჩილაძე | "აგვისტოს პასიანსი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 4 |
| რატი ამაღლობელი | [illegible] | [illegible] | 4 |
| ოთარ ჭილაძე | "გოდორი" | "რუსთაველი 2 ბრენდი" | 3 |
| ზაალ სამადაშვილი | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3 |
| აკა მორჩილაძე | "გადაფრენა მადათოვზე და უკან" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | "გიორგი ბრწყინვალე" | [illegible] | 3 |



**საუკეთესო თანამედროვე მუსიკის ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში ყოფნის ხანგრძლივობა - კვირა |
|---|---|---|---|
| შანია თვეინი | Forever And For Always | 1 | 32 |
| "მეჩბოქს თვენთი" | Unwell | 4 | 30 |
| "თრეინი" | Calling All Angels | 3 | 22 |
| ანქლ კრეკერი და დობი გრეი | Drift Away | 2 | 39 |
| "სიმპლი რედი" | Sunrise | 5 | 19 |
| "ქაუნთინგ ქროუზი" და ვანესა კარლტონი | Big Yellow Taxi | 6 | 31 |
| ფილ ქოლინზი | Look Through My Eyes | 7 | 12 |
| "მერსიმი" | I Can Only Imagine | 9 | 30 |
| დაიდო | White Flag | 16 | 14 |
| შერილ ქროუ | The First Cut Is The Deepest | 14 | 9 |

**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "უკანასკნელი სამურაი" | ედ ზვიკი | ტომ კრუზი | 24,271,354 | 24,271,354 |
| "ჰანი" | ბილი ვუდრუფი | ჯესიკა ალბა, ლილ რომეო | 12,856,040 | 12,856,040 |
| "მოჩვენებების სახლი" | რობ მინკოფი | ედი მერფი, ჯენიფერ ტილი | 9,394,185 | 45,974,409 |
| "ელფი" | ჯონ ფავრო | უილ ფერელი, ბობ ნიუჰარტი | 8,026,797 | 139,527,719 |
| "დოქტორ სიუსის კატა ქუდში" | ბო უელში | მაიკ მაიერსი, ალეკ ბოლდუინი | 7,141,855 | 88,297,270 |
| "ცუდი სანტა" | ტერი ზვიგოფი | ბილი ბობ თორნტონი | 7,014,010 | 27,138,311 |
| "გოთიკა" | მეთიუ კასოვიცი | ჰელი ბერი, პენელოპა კრუზი, რობერტ დაუნი უმცროსი | 5,250,356 | 49,545,578 |
| "დაკარგულნი" | რონ ჰოვარდი | ტომი ლი ჯონსი, კეიტ ბლანშეტი | 4,034,563 | 21,805,272 |
| Master and Commander | პიტერ უეირი | რასელ კროუ, პოლ ბეტანი | 3,722,008 | 72,555,668 |
| [illegible] | რიჩარდ კერტისი | ჰიუ გრანტი, ემა ტომპსონი, ლიამ ნისონი, როუან ატკინსონი | 3,561,360 | 48,743,275 |

## საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავაბულ იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი მერაბ ჟორდანია. როგორც ჩვენთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან გახდა ცნობილი, დაკავების საფუძველს წარმოადგენს 1996 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დაკავშირებულია მის წინა მოღვაწეობასთან ს.კ. თბილისის “დინამოს” პრეზიდენტის თანამდებობაზე და ეხება ქვეყნის ბიუჯეტისთვის თანხების გადაუხდელობას.

გამოძიების მსვლელობისას მთელი პერიოდის განმავლობაში (1996-2003წწ.) სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მას ხშირად უწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება სამსახურეობრივი მივლინებით და ბრუნდებოდა ქვეყანაში. ბოლოს ეს იყო 2003 წლის 7 დეკემბრის, მსოფლიოს 2006წ. ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ ქ. ფრანკფურტიდან.

ამჟამად, ბატონი მერაბ ჟორდანია პირადადაა დაკავებული ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – საქართველოს ეროვნული ნაკრების სათავეში. მსოფლიო სახელის მქონე უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტით. მხოლოდ მაღალკვალიფიცირებულ მწვრთნელს ძალუძს უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებული გამოსვლა მსოფლიო 2006 წლის თასის საკვალიფიკაციო მატჩებში.

ამ მოლაპარაკებათა წარმართვა შედის უშუალოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის კომპეტენციაში. მოლაპარაკებათა და ასევე საერთაშორისო დახმარებათა პროგრამების – “ჰეთ-თრიკის” და “გოლის” ჩაშლა, მიაყენებს გამოუსწორებელ ზიანს ქართული ფეხბურთის იმიჯს მსოფლიო არენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ჩვენი მიმართვა და ბატონ მერაბ ჟორდანიას აღმკვეთ ღონისძიებად შეურჩიოთ არასაპატიმრო სასჯელი.

*პატივისცემით,*
*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*
**ა.ჩივაძე, ვ.ჩოლორაია**
*საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი*
**ვ.ელოშვილი, მ.ხურცილავა, დ.ქლიბაძე, დ.არველაძე**
*საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა*
**დ. რამიშვილი**

*ფეხბურთი*

# პროფესიული საფეხბურთო ლიგა დამოუკიდებელი გახდა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელმა, დიმიტრი რამიშვილმა ფედერაციის ოფისში გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მცირე ხნის წინ დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპს მიეძღვნა. პფლ-ს ხელმძღვანელს პრესკონფერენციაზე მოწვეული ჰყავდა ლიგის გენერალური სპონსორის, კომპანია “კოკა კოლას” მარკეტინგის მენეჯერი, გიორგი რობაქიძე და მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელი, ანატოლი მილჩენკო.

დიმიტრი რამიშვილის თქმით, საქართველოს ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა, რომელსაც მისი უწყება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებდა, მაღალ დონეზე ჩაიარა.

“წლევანდელ ჩემპიონატში ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა, რაც ერთობლივად, ფედერაციის და პროფესიული საფეხბურთო ლიგის დამსახურებაა. პირველმა ეტაპმა, მართლაც, დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. საუკეთესო ექვსეულში მოხვედრისთვის რეალურად ერთბაშად 8 გუნდი იბრძოდა. ექვსეულის ბედიც, პრაქტიკულად, სულ ბოლო ტურში გადაწყდა. ამას გარდა, პირველმა ეტაპმა ცხადყო, რომ ბოლო ეღება ქართულ საკლუბო ფეხბურთში ადრე არსებულ ბევრ ნაკლს. გუნდები პატიოსნად იცავდნენ სამართლიანი თამაშის პრინციპს”, - განაცხადა რამიშვილმა.

პფლ-ს პრეზიდენტის თქმით, მისმა ორგანიზაციამ სპონსორების მოზიდვაც მოახერხა, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის.



*პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა პირველი ეტაპით კმაყოფილია.*

“ის, რომ წლევანდელ ჩემპიონატს გენერალური სპონსორი და სპონსორები ჰყავს, სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია. კომპანია “კოკა კოლა”, რომელიც ჩვენი მთავარი ფინანსური მხარდამჭერია, სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს არ მოერიდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წლევანდელი ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში. “კოკა კოლას” გარდა, სპონსორობას გვიწევენ “საქართველოს ბანკი”, სადაზღვევო კომპანია BCI, კავშირგაბმულობის კომპანია “ჯეოსელი”. მათი მხარდაჭერა აუცილებელია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მაგალითი გადამდებია. რამდენიმე სხვა კომპანიამაც გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი და ეს შეუქცევად ხასიათს იძენს, რაც, დარწმუნებული ვარ, ქართულ საკლუბო ფეხბურთს ახალ სიმაღლეებზე ასვლაში დაეხმარება”, - მიაჩნია დიმიტრი რამიშვილს.

გენერალური სპონსორის, “კოკა კოლას” მარკეტინგის მენეჯერის, გიორგი რობაქიძის თქმით, მისი კომპანია მთელ მსოფლიოში თანამშრომლობს ფეხბურთთან და, ამ მხრივ, საქართველოც ვერ იქნებოდა გამონაკლისი.

“ჩვენი კომპანია მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მთავარი სპონსორია. საქართველოშიც “კოკა კოლა” ფეხბურთისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენდა, რაც ადრე, ძირითადად, ბავშვთა ფეხბურთში განხორციელებულ ინვესტიციებში გამოიხატებოდა. წლეულს პირველად ჩვენ ეროვნული ჩემპიონატის სპონსორობაც ვიკისრეთ. ვფიქრობ, ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლოა”, - განაცხადა გიორგი რობაქიძემ, რომელმაც პფლ-ს თავისი კომპანიის სახელით სიურპრიზიც მოუმზადა. კერძოდ, პირველი ეტაპის 10 საუკეთესო მსაჯს “კოკა კოლამ” საჩუქრად გადასცა არბიტრის ეკიპირების სრული კომპლექტი.

პრესკონფერენციამდე გაიმართა დავით ყიფიანის თასის 1/16-ფინალის წილისყრა, რამაც გუნდები შემდეგნაირად დააწყვილა:

**მცხეთა – თბილისი (რეგიონალლიგა)**
**თბილისი – მილანი (პირველი ლიგა)**
**სპარტაკი – პრემა (რეგიონალლიგა)**
**სიონი – ივერია (პირველი ლიგა)**
**დინამო – ვიტ ჯორჯია (პირველი ლიგა)**
**ცხინვალი – ჰერეთი (ლაგოდეხი)**
**ვიტ ჯორჯია – ჩიხურა (საჩხერე)**
**დილა – ავაზა (რეგიონალლიგა)**
**ამერი – ურიონი (რეგიონალლიგა)**
**ლოკომოტივი (თბილისი) – გორდა**
**დინამო (ბათუმი) – დინამო (ზუგდიდი)**
**მერცხალი – მეტალურგი (ზესტაფონი)**
**ტორპედო – გურია**
**ქობულეთი – ლოკომოტივი (სამტრედია)**
**კოლხეთი – დინამო (ქუთაისი)**
**სამგურალი – ლუკა (ბათუმი)**

პირველი შეხვედრები გაიმართება წყვილში პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე 27-28 თებერვალს, ხოლო განმეორებითი მატჩები – 1-2 მარტს.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი პირველ ლიგაში დაიწყება 16 მარტს, ხოლო უმაღლეს ლიგაში - 18-19 მარტს. მეორე ეტაპს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დამოუკიდებლად, ფეხბურთის ფედერაციის დაუხმარებლად ჩაატარებს.

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებისა და "გლაზგო რეინჯერსის" მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩააგდო შოტლანდიელთა მწვრთნელი ალექს მაკლიში. ხიზანიშვილმა მხრის ტრავმა მიიღო და გუნდს 6 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. როგორც ჩანს, ხიზანიშვილი გამოტოვებს ცნობილ გლაზგოურ დერბის, რომელიც 3 იანვარს გაიმართება. ხიზანიშვილის გარდა, “რეინჯერსს” დააკლდებიან შოთა არველაძე, მური, დე ბური, ტომპსონი და არტეტა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამის "აიაქსი" გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მწვრთნელი რონალდ კუმანი სანაქებოდ ირჯება და მასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. კუმანი გუნდში 2006 წლამდე დარჩება. მოქმედი კონტრაქტი მწვრთნელსა და კლუბს შორის ამ სეზონის ბოლოს მთავრდებოდა. რონალდ კუმანი ამსტერდამის "აიაქსს" 2001 წლიდან ავარჯიშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მუხლის ოპერაციის შემდეგ "რომას" ფორვარდი ვინჩენცო მონტელა გუნდს 40 დღით დაემშვიდობა. მონტელას მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. მას ერთკვირიანი დასვენება გამოუწერეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სრულიად ჯანმრთელი არც მარკო დელვეკიოა, გამოდის, რომ "რომას" ორად ორი ფორვარდი - ჯონ კარეუ და ანტონიო კასანო შემორჩა. "რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო აცხადებს, რომ თუ ტრავმების სახით ახალმა სიურპრიზებმა თავი აღარ იჩინა, კლუბი სირთულეებს როგორმე გაუმკლავდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რივალდოს აგენტმა განაცხადა, რომ მის კლიენტს ინგლისური პრემიერლიგის რამდენიმე კლუბისგან სერიოზული წინადადებები აქვს. "ჩვენ ყოველდღე რამდენიმე გუნდის წარმომადგენლობა გვიკავშირდება. ახლა მათ შორის ორ ყველაზე სარფიან წინადადებას განვიხილავთ, - ამბობს კარლოს არინი, - მაგრამ ესენი არც "ტოტენჰემია" და არც "ლივერპული", როგორც ამას პრესა იუწყებოდა. რა თქმა უნდა, ესპანეთში თამაშიც შეიძლება, მაგრამ რივალდოს ინგლისში არასოდეს უთამაშია. ნისლიანი ალბიონი მისთვის რაღაც ახალი იქნება".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "სანის" ცნობით, ცნობილი დანიელი მეკარის პიტერ შმეიხელის ვაჟი კასპარ შმეიხელი შეიძლება მანჩესტერულ დერბიში - "სიტის" შემადგენლობაში გამოჩნდეს. 17 წლის მეკარე "სიტის" დუბლშემადგენლობაში ახლახან გამოჩნდა. თუმცა, დევიდ სიმენისა და კევინ ელეგაარდის ტრავმებმა "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი კევინ კიგანი შეიძლება აიძულოს, კარი ახალგაზრდა მეკარეს ჩააბაროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** წარსულში ლეგენდარული ბულგარელი ფეხბურთელი ხრისტო სტოიჩკოვი ესპანეთის "ბარსელონაში" ბრუნდება. "ბარსაში" სტოიჩკოვი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს. ის "ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში იმუშავებს. 37 წლის სტოიჩკოვი ამჟამად ერთ-ერთი ამერიკული კლუბის მწვრთნელის თანაშემწეა. დეკემბრის დასაწყისში ბულგარული პრესა იუწყებოდა, რომ სტოიჩკოვი აპირებს, სოფიის მწვრთნელთა ნაციონალური სპორტული აკადემიის დიპლომი მიიღოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამას წინათ გამართულ ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაზე შეხვედრის დროს, ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა იტალიის ნაკრების დამრიგებელ ჯოვანი ტრაპატონის შესთავაზა, სერიოზულად დაფიქრდეს ინგლისის პრემიერლიგაში მუშაობის პერსპექტივაზე. "ტრაპი" "სკუადრა აძურაში" ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჩათვლით იმუშავებს, მაგრამ მისი შემდგომი ბედი ჯერჯერობით ბუნდოვანია. იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ გერმანიის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი შეიძლება სხვა მწვრთნელმა დაიწყოს. მაგალითად, მარჩელო ლიპიმ. ერიქსონმა ეს ამბავი იცოდა და ტრაპატონის ასე მიმართა: "გადმობარგდი ინგლისში. ამ ქვეყანაში უაღრესად ძლიერი და სანახაობრივად საინტერესო ჩემპიონატია. თანაც, სოლიდურ ხელფასს იძლევიან. მთავარია, გამოიცნო კლუბი, რომელშიც მუშაობას აპირებ".

# და ისევ "ბაიერნი" - "რეალი"

აკა ტონია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალებისა და UEFA-ს თასის 1/16 ფინალური ეტაპის კენჭისყრა.

თავდაპირველად ჩემპიონთა ლიგის რვა ჯგუფში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები დააწყვილეს. კენჭისყრის წესების მიხედვით, ჯგუფების გამარჯვებულები მეორე ადგილოსნებს უნდა შეხვედროდნენ, არ იყო გათვალისწინებული ერთი და იმავე ქვეყნის წარმომადგენლების მერვედფინალში შეხვედრაც. ასევე გამორიცხული იყო იმ კლუბების დაპირისპირება, რომლებიც ერთი და იმავე ჯგუფში ასპარეზობდნენ.

პირველი წყვილი, რომელიც კენჭისყრამ გამოავლინა, გერმანული “შტუტგარტი” და ლონდონის “ჩელსი” იყვნენ. მეორე ინგლისური კლუბი, სახელოვანი “მანჩესტერ იუნაიტედი” პორტუგალიურ “პორტოს” დაუპირისპირდება, ესპანურ “სელტას” კი ლონდონის “არსენალი” არგუნა ბედმა. მეტისმეტად რთული ამოცანის წინაშე დადგა “დეპორტივო”. ხავიერ ირურეტას გუნდს ტურინის “იუვენტუსთან” მოუწევს მეოთხედფინალის საგზურისთვის ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე სუსტი გუნდები, მართლაც, აღარ ასპარეზობენ, კახა კალაძის “მილანს”, ალბათ, მაინც გაუმართლა. “მილანის” მეტოქე მერვედფინალში პრაღის “სპარტა” იქნება. შედარებით “კარგი” მეტოქე მიიღო მოსკოვის “ლოკომოტივმაც”. ცხადია, ფრანგული “მონაკო” ანგარიშგასაწევი გუნდია, თუმცა, თუ მოსკოველთა “პოტენციურ” მეტოქეებს, “რეალს”, “იუვენტუსს”, “მანჩესტერ იუნაიტედს” და სხვა გრანდებს გადავავლებთ თვალს, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ “ლოკომოტივი” ბედმა დაინდო. რუსული კლუბის




*ოლივერ კანი და ზინედინ ზიდანი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.*

ხელმძღვანელები მანამდე ხშირად ამბობდნენ, რომ მეტოქედ საფრანგეთის ჩემპიონატის წარმომადგენელს, “ლიონს” ან “მონაკოს” ისურვებდნენ, თუმცა, აქვე ისიც ახსენდებოდათ, რომ ფრანგულ კლუბებთან თამაშის გამოცდილება არა აქვთ. ასეა თუ ისე, “ლოკომოტივი” საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ “მონაკოს” შეხვდება, “ლიონთან” თამაში კი ესპანურ “რეალ სოსიედადს” მოუწევს. თუ “ლოკომოტივი” “ლიონს” და “მონაკოს” ხელსაყრელ მეტოქეებად მიიჩნევს, თავად “ლიონს” და “მონაკოს” საკმაოდ “მოსახერხებელი” მეტოქეები არგუნა ბედმა...

მერვე წყვილი შეგნებულად მოვიტოვეთ ბოლოსთვის. ეს “ბაიერნი” და “რეალია”. ეჭვგარეშეა, რომ ეს წყვილი ყველაზე ძლიერია სხვა დანარჩენთან შედარებით. ტრადიციული მეტოქეები, რომელთა შორის არაერთი დიდი ბრძოლა გამართულა, უფრო ზუსტები თუ ვიქნებით, – 14 მატჩი. სწორედ 14-ჯერ შეხვდნენ ისინი ჩემპიონთა თასზე და ჩემპიონთა ლიგაში, სტატისტიკა კი აშკარად გერმანელების მხარესაა: 9 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება. მიუხედავად იმისა, რომ ახლა “რეალი” “ბაიერნზე” ძლიერ გუნდად მიიჩნევა, შემადგენლობისა და სატურნირო მდგომარეობის მიხედვით, მადრიდელთათვის “ბაიერნი” მაინც არასახარბიელო მეტოქეა. კენჭისყრის შედეგების კომენტირებისას ეს კარგად გამოჩნდა “რეალის” ვიცე-პრეზიდენტის, ემილიო ბუტრაგენიოს სიტყვებშიც. “მეტოქედ სხვა გუნდს ვისურვებდით. “ბაიერნი” მეტისმეტად ძლიერია. თებერვალში მათ წინააღმდეგ თამაში ნაადრევი იყო”, - განაცხადა ბუტრაგენიომ. შედარებით თამამი იყო რობერტო კარლოსი, რომელმაც განაცხადა: “ბაიერნის” არ გვეშინია, “ბაიერნს” უნდა ეშინოდეს ჩვენი. სხვებთან თამაშს ისევ “ბაიერნი” მერჩივნა, რადგან მას ძალიან კარგად ვიცნობთ. თუ მეოთხედფინალში გავედით, მიუნხენელთა სახით უძლიერეს მეტოქეს ჩამოვიშორებთ. ცხადია, ეს არ იქნება იოლი”.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი არიან “ბაიერნის” წარმომადგენლები. “ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა – ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული მეტოქის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში! ჩვენთვის ეს დიდი გამოწვევაა. ეს არის დუელი, რომელშიც “ბაიერნს” მხოლოდ გამარჯვება შეუძლია!” - აღტაცებული იყო მწვრთნელი ჰიცფელდი. “ალბათ, ეს საუკეთესო ვარიანტია ჩვენთვის. “რეალს” კარგად ვიცნობთ. მასთან თამაში დიდი გამოწვევაა ჩვენთვის. ამ ორ მატჩში ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს”, - განაცხადა მეკარე კანმა. ბედნიერი იყო “ბაიერნის” მენეჯერი ული ჰიონესიც: “არაჩვეულებრივი კენჭისყრა იყო. შესანიშნავია. ძალიან მახარებს ჩემპიონთა ლიგის ეს ორი დიდი საღამო”.

აქვს თუ არა საფუძველი მიუნხენელთა სიხარულს, ამას თებერვალში და მარტში შევიტყობთ. ფეხბურთის გულშემატკივარს კი კმაყოფილების მიზეზი ნამდვილად აქვს, ლამაზი საღამოები ჩემპიონთა ლიგაში ჩვენ, მართლაც, არ მოგვაკლდება...

**ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალები**

*გაიმართება 24-25 თებერვალს და 9-10 მარტს*

შტუტგარტი (გერმანია) – ჩელსი (ინგლისი)
პორტო (პორტუგალია) – მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
რეალ სოსიედადი (ესპანეთი) – ლიონი (საფრანგეთი)
სელტა (ესპანეთი) – არსენალი (ინგლისი)
ბაიერნი (გერმანია) – რეალი (ესპანეთი)
სპარტა (ჩეხეთი) – მილანი (იტალია)
დეპორტივო (ესპანეთი) – იუვენტუსი (იტალია)
ლოკომოტივი (რუსეთი) – მონაკო (საფრანგეთი)

**UEFA-ს თასის 1/16 ფინალები**

*გაიმართება 26 თებერვალს და 3 მარტს*

ბრონდბიუ (დანია) – ბარსელონა (ესპანეთი)
პარმა (იტალია) – გენჩლერი (თურქეთი)
ბენფიკა (პორტუგალია) – როსენბორგი (ნორვეგია)
მარსელი (საფრანგეთი) – დნეპრი (უკრაინა)
სელტიკი (შოტლანდია) – ტეპლიცე (ჩეხეთი)
პერუჯა (იტალია) – ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
გროცლინი (პოლონეთი) – ბორდო (საფრანგეთი)
ვალენსია (ესპანეთი) – ბეშიქთაში (თურქეთი)
მაიორკა (ესპანეთი) – სპარტაკი (რუსეთი)
გალათასარაი (თურქეთი) – ვილიარეალი (ესპანეთი)
ბრიუგე (ბელგია) – დებრეცენი (უნგრეთი)
სოშო (საფრანგეთი) – ინტერი (იტალია)
ლივერპული (ინგლისი) – ლევსკი (ბულგარეთი)
გაზიანთეფი (თურქეთი) – რომა (იტალია)
ოსერი (საფრანგეთი) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ვალერენგა (ნორვეგია) – ნიუკასლი (ინგლისი)



## ინფოთეკა

**სამთო თხილამურები.** დაახლოებით ერთთვიანი შესვენების შემდეგ ცნობილმა მოთხილამურემ იანიცა კოსტელიჩმა ისევ მოირგო თხილამურები, თუმცა, შეჯიბრებებზე გამოსვლას ისევ არ აპირებს და, შესაძლოა, საერთოდაც არ დაუბრუნდეს აქტიურ სპორტს. საქმე ისაა, რომ ერთი თვის წინ კოსტელიჩს ექიმებმა ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობა დაუდგინეს და დატვირთვებისგან თავის შეკავება ურჩიეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მის სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე. მას შემდეგ კოსტელიჩმა მკურნალობის კურსი გაიარა, მაგრამ, ექიმთა განცხადებით, სრული განკურნებისთვის ეს საკმარისი არ არის. წინ მკურნალობის ხანგრძლივი პროცესია. მანამდე კი მოთხილამურე თავის შესაქცევად ვარჯიშობს.

■ ■ ■

**სამთო თხილამურები.** მსოფლიო ჩემპიონი, შვედი პერ ელოფსონი დასვენებას აპირებს, შესაბამისად, სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. "მე, უბრალოდ, გადავიღალე. ხომ არ შეიძლება, მუდამ რაღაც შეჯიბრებაზე გამოვდიოდე. ახლა დასვენება მჭირდება", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა მოთხილამურემ. ამას წინათ მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე შვედმა მხოლოდ 50-ე ადგილი დაიკავა, რაც გადაღლილობას დააბრალა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გერმანელი პილოტი ჰაინც ჰარალდ ფრენცენი, რომელმაც დაასრულა გამოსვლა ფორმულა 1-ში, კარიერას DTM–ის სერიაში გააგრძელებს. ფორმულაში მოღვაწეობის მანძილზე 36 წლის მრბოლმა 3 გრან-პრი მოიგო. სულ კი კარიერის მანძილზე 157 რბოლაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ხერესში მიმდინარე ტესტებზე "მაკლარენი" კინაღამ გამოემშვიდობა თავის ერთადერთ ახალ MP4-19-ს. ახალი ბოლიდი, საჯინიბოს ხელმძღვანელობის განცხადებით, მომავალ სეზონში ჩემპიონობის მოპოვების საწინდარი უნდა გახდეს, თუმცა, ბოლიდის ტესტებმა ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ აჩვენეს. ამის გამო საჯინიბოს კონსტრუქტორებს დიდი შრომა მოუწევთ იმისთვის, რომ ბოლიდი სასურველ მდგომარეობამდე მიიყვანონ.

■ ■ ■

**ცურვა.** ავსტრალიური საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, ავსტრალიელ იან ტორპს მწვრთნელი შეეცვალა. ამიერიდან მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლეინ ნიუჯენტი მოამზადებს. ამ პოსტზე მან შეცვალა გრეგ ჰოჯი, რომელმაც თანამდებობა იმ მიზეზით დატოვა, რომ დასვენება სურს, ოლიმპიადისთვის მზადება კი ამის საშუალებას არ მომცემსო. იმავე ინფორმაციით, ნიუჯენტი ასევე ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელადაც დაინიშნა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ჩიკაგო ბულზის" ფორვარდს სკოტი პიპენს, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო წლევანდელ სეზონში უკვე რვა მატჩი გაუცდა, უახლოეს მომავალში ოპერაცია ელის. ექიმთა განცხადებით, კალათბურთელს სრული გამოჯანმრთელებისთვის დაახლოებით თვენახევარი დასჭირდება. გულშემატკივრები შიშობდნენ, რომ ვეტერანს ასეთი ტრავმის შემდეგ, შესაძლოა, საერთოდ კალათბურთიდან წასვლა გადაეწყვიტა, თუმცა, პიპენის თქმით, ის ამას არ აპირებს და, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე აპირებს თამაშს.

■ ■ ■

**რაგბი.** გუშინ სამხრეთაფრიკულ ჯორჯში შვიდკაცას მსოფლიო სერიის მეორე ტურნირი დაიწყო. პირველ დღეს ყველა მატჩი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო - ფავორიტებმა უპრობლემოდ გაიმარჯვეს. გადამწყვეტი მატჩები დღეს გაიმართება. ჯერჯერობით სერიას სამხრეთ აფრიკის ნაკრები ლიდერობს. აფრიკელებმა ერთი კვირის წინ დუბაის შვიდკაცა მოიგეს და 20 ქულაც მოიპოვეს.

■ ■ ■

**რაგბი.** მსოფლიო ჩემპიონი, ინგლისის ნაკრები, პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტულის მოპოვების შემდეგ პირველ მატჩს გამართავს. ინგლისელთა მეტოქე ახალი ზელანდიის ბარბაროსები იქნებიან. გუშინ კლაივ ვუდვორდმა დაასახელა ის მოთამაშეები, რომლებიც ზელანდიელებს შეერკინებიან. სასტარტო ხუთეულში მხოლოდ ოთხი მსოფლიო ჩემპიონი (ჯეისონ რობინსონი, მაიკ ტინდალი, ფილ ვიკერი, სტივ ტომპსონი), სულ კი შემადგენლობაში 11 ჩემპიონი იქნება.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი შავკანიანი სერენა უილიამსი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 40 მილიონი დოლარით გამდიდრდება. ორი დღის წინ მან ხელი მოაწერა კონტრაქტს "ნაიკთან", რომლიოს თანახმადაც ხუთი წლის განმავლობაში კომპანიის პროდუქციის რეკლამირებისთვის ის 40 მილიონს მიიღებს. კონტრაქტით მისი მოქმედების ვადის გაგრძელებაცაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში მომდევნო სამი წლის განმავლობაში ჩოგბურთელი კიდევ 30 მილიონს მიიღებს.

# სპორტი-2003, ათენი-2004



გუშინდელ შეკრებაზე საქართველოს სპორტული სამყაროს წარმომადგენლები მრავლად იყვნენ წარმოდგენილი.

გიგა გურასაშვილი

რა გაკეთდა, რას მივაღწიეთ და რა უნდა გაკეთდეს. აი, ის საკითხები, რომლებზეც მსჯელობა და დავა-კამათი მიმდინარეობდა სასტუმრო "სიმპათიის" საკონფერენციო დარბაზში. როგორც წესი, წინილებს შემოდგომით ითვლიან. მართალია, უკვე ზამთარია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაფართოებულ საბჭოს სხდომაზე მიგვიწვია. დღის წესრიგი სამ ძირითად საკითხზე (ფოთის სპორტის სამსახურის უფროსის დამტკიცება, 2003 წლის 11 თვის სპორტული შედეგებისა და სამეცნიერო პროგრამების შესრულება და საქართველოში ხელბურთის განვითარების მდგომარეობა) მსჯელობას ითვალისწინებდა.

თავდაპირველად ქ. ფოთის სპორტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე როლანდ გარუჩავას დანიშვნის საკითხი იქნა გამოტანილი და იგი უმტკივნეულოდ გადაწყდა. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, ისინი ბევრად უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე თვე დარჩა. ანუ საკმაოდ ცოტა დრო იმისთვის, რომ კარდინალური ცვლილებები განხორციელდეს. მიუხედავად ამისა, მეცნიერები, ექიმები, მწვრთნელები და, რა თქმა უნდა, სპორტსმენები გაძლიერებულ მზადებაზე უნდა გადავიდნენ. ანუ, ტემპი უნდა დააჩქარონ, რათა ლიცენზიების მაქსიმუმი იქნას მოპოვებული. კერძოდ, დღესვე უნდა დაიწყოს 2004 წლის კალენდრის შეთანხმება ექიმებთან და მეცნიერებთან, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს შესაბამისი კონდიციებით შევხვდეთ.

"როდესაც ესა თუ ის სპორტსმენი იმარჯვებს, შედეგს მარტო მწვრთნელის დამსახურებად მიიჩნევენ, ხოლო როდესაც მარცხდება, ექიმს ადანაშაულებენ...

საერთოდ, ბევრი რამაა შესაცვლელი. სპორტსმენი ამა თუ იმ პრეპარატს თვითნებურად არ უნდა იღებდეს. რაც შეეხება დღევანდელ სურათს, იგი არცთუ სახარბიელოა. სპორტსმენთა დიდი ნაწილი დღეს, ფაქტობრივად, ინვალიდია. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ყველა მათგანი მწყობრში ჩავაყენოთ და ლიცინზიებამდე მივიყვანოთ. მერე კი შედეგებზე ვიფიქროთ. ამ მხრივ ცუდ დღეში არიან ძალოსნები, მოკრივეები და სხვა სახეობების წარმომადგენლები.

მწვრთნელი, სპორტსმენი და ექიმი. ეს სამკუთხედი უნდა შეიკრას, რათა შედეგებისთვის ვიბრძოლოთ", - მოგვიანებით საკუთარ გულისტკივილს გაგვაცნობს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.

ათენის თამაშებზე მონაწილეობის უფლება 14 სპორტსმენს აქვს. სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ამ დროს 20-მდე ლიცენზიანტი გვყავდა. "თანამედროვე, ცივილიზებული ურთიერთობები უნდა დამყარდეს, - გვეუბნება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი. - ხელშეკრულებები – ინტერვიუთი დაწყებული და რეკლამით დამთავრებული, უნდა დაიდოს ცალკეულ სპორტსმენთან, მწვრთნელთან. გარდა ამისა, არ შეიძლება, რომელიმე სპორტსმენის პირადი მწვრთნელი იმავდროულად ნაკრების მწვრთნელიც იყოს. ან ერთს უნდა შეელიოს, ან მეორეს. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, როგორც შეუძლია, ისე ამოუდგება ყველას მხარში. თუმცა, ბევრი რამ მაინც ფედერაციებზე იქნება დამოკიდებული. როდესაც ჩვენ ვეხმარებით, შედეგებიც ადეკვატური უნდა მივიღოთ. ძალიან გვიჭირს ფინანსების მოძიება. მაგალითისთვის ძიუდოსა და მშვილდოსნობის ფედერაცია გამოდგება. რა თანხაც დავხარჯეთ მათთვის სიდნეის ოლიმპიური თამაშების სამზადისში, ახლა იმაზე ორჯერ მეტი გადავეცით, მაგრამ სულ სხვა სურათი მივიღეთ. თუ სიდნეის თამაშებამდე ერთი წლით ადრე ძიუდოისტებმა ოთხი ლიცენზია მოიპოვეს, ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე, გაორმაგებული დაფინანსების მიუხედავად, ერთადერთი ლიცენზიანტი ჰყავთ. მშვილდოსნებს კი, როგორც ოთხი წლის წინათ, ახლაც ორი ლიცენზიანტი ჰყავთ. ეს მაშინ, როდესაც "ოლიმპიური ფონდიც" საკმაო თანხას ხარჯავს სპორტსმენთა თუ მწვრთნელთა პირობების გასაუმჯობესებლად. ამით იმის თქმა მსურს, რომ თუ ასე გაგრძელდა, მაშინ სპორტის იმ სახეობის წარმომადგენლებს დავეხმარებით, რომლებიც შედარებით უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული. ერთი სიტყვით, ფული უაზროდ აღარ უნდა დაიხარჯოს. ამის დრო წავიდა".

საბჭოს სხდომის მსვლელობისას საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველა მსურველს მიეცა. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოიაშვილმა ახალგაზრდა თაობაზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, წყალში მხტომელ ბავშვებზე, რომლებსაც პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებზე უხვად მოუპოვებიათ მედლები: "წყალში მხტომელთა ასეთი რაოდენობა არასდროს გვყოლია. თუ ადრე ერთეულებს ვითვლიდით, ახლა გვყავს ჯგუფი, რომლის წევრებმაც ორი წლის განმავლობაში 60 მედალი მოიპოვეს. მათი სახით კარგი თაობა იზრდება და ამიტომ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება".

ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც: დღეის იქით სპორტის დამსახურებული ოსტატი "სპორტის რაინდის" წოდებად გადაინათლა. მაგრამ მარტო სახელი არ შეცვლილა. როგორც ირაკლი მეძმარიაშვილმა თქვა, ეს წოდება მიენიჭებათ მხოლოდ მსოფლიოს ან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს. "სპორტის რაინდი" ძალაში შედის მიმდინარე წლის შედეგების გათვალისწინებით, ესე იგი, მხედველობაში არ მიიღება შარშანდელი და უფრო ადრეული შედეგები.

## ცურვა

# "პატარა წყალი" და დიდი შედეგები

გიგა გურასაშვილი

ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე საერთაშორისო კალენდრის ერთ-ერთი დიდი თარილი ცისფერი ბილიკების ბინადართათვის ევროპის ჩემპიონატია, რომელმაც ხუთშაბათს აიღო სტარტი და უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგითაც მიიქცია ყურადღება. ევროპის ჩემპიონატი თავისთავად მნიშვნელოვანი ასპარეზობაა, მაგრამ კონტინენტის პირველობა, რომელსაც ჩრდილო ირლანდიის დედაქალაქი მასპინძლობს, რანგით ნაკლებ ალმატებულია. კერძოდ, დუბლინური ჩემპიონატი "პატარა წყალში" მიმდინარეობს. 25-მეტრიან აუზში პაექრობები კი "დიდ წყალში" ასპარეზობებს აშკარად ჩამოუვარდება პრესტიჟულობით. პრეტიჟულობას კი ოლიმპიური საზომები განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ოლიმპიადებზე მოცურავეებს სანუკვარი ტიტულისთვის ბრძოლა 50-მეტრიან აუზში უწევთ. აქედან გამომდინარე, საცურაო სამყაროს ბატონ-პატრონნი ყველანაირად ცდილობენ "დიდ წყალში" თავგამოდებას. "პატარა წყალი" კი ერთგვარ გასახურებელ, ფორმის შესანარჩუნებელ საშუალებად ითვლება.

როგორც უკვე ვთქვით, ევროპის ჩემპიონატი "პატარა წყლისაა", თუმცა, შეჯიბრებები "დიდ წყალში" მიმდინარეობს. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის მასპინძლებმა ოლიმპიური სტანდარტების მქონე აუზი სპეციალური მოწყობილობებით შუაზე "გადატიხრეს".

რაც შეეხება მონაწილეებს, ამ მხრივ, კონტინენტის პირველობა ვარსკვლავების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. 39 ქვეყნის 499 მოცურავემ უკვე "დააჭაშნიკა" დუბლინური წყალი. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებმაც საპატიო მიზეზების გამო ჩრდილო ირლანდიაში ვერ ჩავიდნენ. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენი, გერმანელი ფრანცისკა ვან ალმსიკი გაციებულია. თუმცა, გერმანელებს ჰანა შტოკბაუერის სახით, რომელმაც წლეულს ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა, კარგი შემცვლელი ჰყავთ. შტოკბაუერთან დაკავშირებით იმასაც დავძენთ, რომ ცოტა ხნის წინათ გერმანელი მოცურავე ჟურნალ "Swimming World"-ის მიერ წლის საუკეთესო მოცურავედ დაასახელეს (ვაჟთა შორის ასეთი პატივი სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ მაიკლ ფელპსს ხვდა წილად.-რედ.). სახელოვან სპორტსმენთა შორის ევროპის ჩემპიონატზე არ იასპარეზებს "ცარად" წოდებული ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი რუსი ალექსანდრ პოპოვიც. ტიტულოვანმა მოცურავემ, ათენისთვის მზადებას ვერ შევწყვეტო. დანარჩენები კი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას დუბლინიდანვე შეუდგნენ. მათ შორის თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდია, რომლის მთავარი ამოცანაც, იმავდროულად, ძირითადი მეტოქეების ავსტრალიელი იან ტორპის, ალექსანდრ პოპოვისა და ბრიტანელი მარკ ფოსტერის დამარცხებაა. ფოსტერმა უკვე მოასწრო, ბრიტანელთა ყულაბაში პირველი ოქროს მედალი ჩაეჩხრიალებინა. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფოსტერმა ტიტულიც შეინარჩუნა. შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი აუზში ექვსჯერ გადაეშვა – ოთხჯერ 50 მეტრზე და ორჯერ 4X50 კომბინირებულ ესტაფეტაში. თუმცა, ესტაფეტაში ბრიტანელთა კვარტეტს ხელი მოეცარა და ასპარეზობა მეშვიდე ადგილზე დაასრულა. სამაგიეროდ, გერმანელებმა ტომას რუპრატმა, მარკ ვარნეკემ, ფაბიან ფრიდრიხმა და კარსტენ დემლოვმა იყოჩაღეს და მათ მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი (1:34,72) გააუმჯობესეს – 1:34,46.

რეკორდების მხრივ, უხვმოსავლიანი გამოდგა შეჯიბრების მეორე დღე. 4X50 თავისუფალ ესტაფეტაში ჰოლანდიელ ქალთა ოთხეულმა – ჰინკელინ შრედერმა, ანაბელ კოსტენმა, შანტალ გროტმა და მარლენ ველდხაუსმა საკვალიფიკაციო გაცურვისას შვედების მიერ 2000 წლის 15 დეკემბერს ვალენსიის მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი 0,08 წამით გააუმჯობესეს – 1:38,13. პირველი მსოფლიო რეკორდიდან მალევე, ფინალური გაცურვისას, იმავე კვარტეტმა ფინალში ამჯერად უკვე საკუთარი რეკორდი დამხო – 1:37,52. ჰოლანდიელებისა არ იყოს, მსოფლიო რეკორდიც და ოქროს მედალიც სერბია და მონტენეგროს წარმომადგენელმა მილორად სავიჩმა დაისაკუთრა. 100 მეტრზე ბატერფლაით ფინალური გაცურვისას ექს-იუგოსლავიელმა გერმანელი ტომას რუპრატის მიერ შარშან 27 იანვარს ბერლინში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (50.10) დაამხო – 50,02.



ტრავმის გამო ტურნირს ფრანცისკა ვან ალმსიკი გამოაკლდა.

## კალათბურთი

# დეტროიტული ძრავა

### ძრავა, რომელიც არ ჩერდება, ჯერჯერობით გაჩერებულია

სანდრო ნავერიანი

შარშანდელ პლეი-ოფზე ლაპარაკი უკვე კარგა ხნის დამთავრებულია. მით უმეტეს, აღარავინ ლაპარაკობს ტაიშონ პრინცზე, რომელმაც უკანასკნელ პლეი-ოფში ძალიან კარგი თამაში აჩვენა. ახლა უკვე რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც თითქმის ყოველდღე უწევთ თამაში ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებს. ტაიშონ პრინცის მსგავსი სნაიპერი ლიგაში ცოტაა, მაგრამ არიან ისეთები, რომლებსაც სხვა კარგი თვისებები აქვთ და სწორედ მათთან მოუწევს თავისი ოსტატობის გამომჟღავნება. პრინცი, რომელიც ძალიან ჰგავს სკოტი პიპენს, თავის გუნდში უდავო ლიდერია. პრინცი ძალიან კარგად ისვრის ფარში. მისი სროლა, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გახდეს წლევანდელ გათამაშებაში. როდესაც ის "დეტროიტ პისტონზში" მივიდა, ყველას ეგონა, რომ არაფრის გამკეთებელი არ იყო, მაგრამ სტუდენტურ ჩემპიონატში ის პლეი-ოფის MVP დაასახელეს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა "პისტონზის" ხელმძღვანელობამ მისი ყიდვა. მან კარგად იცოდა, რაც შეეძლო და ამიტომ კრიტიკას ყურადღებას არ აქცევდა. მას შემდეგ, რაც გრანტ ჰილი "დეტროიტ პისტონზში" გადავიდა, მას არ ჰყავდა პარტნიორი, რომელიც დაეხმარებოდა გუნდის წინამძღოლობაში. მოკლედ, გრანტ ჰილსაც და "დეტროიტ პისტონზსაც" უნდოდათ კალათბურთელი, რომელსაც მესამე ნომრად შეეძლებოდა თამაში. ამ პოზიციაზე ბევრი მოთამაშე გამოსცადა დეტროიტულმა გუნდმა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაამართლა. დეტროიტის მორიგმა მწვრთნელმა რიკ კარლაილმა ბოლო მოუღო ამ ცდებს და მესამე ნომრად დაყენა მაიკელ კარი, რომელიც თავის საუკეთესო წლებშიც კი თამაშში 6,6 ქულაზე მეტს ვერ აკეთებდა. გუნდში პრინცის მისვლის შემდეგ ეს პოზიცია მისი გახდა, მაგრამ ყველას ეგონა, რომ პრინცი მორიგი სტუდენტია, რომელმაც სროლის მეტი არაფერი იცის. ყველა ელოდა, რომ სულ მალე დაიწყებოდა ის, რაც მანამდე ხდებოდა. პრინცი მოედანზე ცოტა დროს ატარებდა, ისროდა ერთ-ორ სამქულიანს და ჯდებოდა სათადარიგოთა სკამზე. პლეი-ოფში ყველაფერი შეიცვალა. მას მიანდეს ტრეისი მაკგრეიდის დაცვა, რასაც მშვენივრად გაართვა თავი. სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს მას "ბიჭი, რომელმაც ტიმაკი შეაჩერა", - მეტსახელი არც ისე მოკლეა, მაგრამ ტიმაკის შეჩერება, რომელიც ორ თამაშში ერთხელ 50 ქულას აკეთებდა, არცთუ იოლი საქმეა. თან არა მარტო ტიმაკი შეაჩერა, არამედ საკმაოდ ბევრი ბურთიც ჩააგდო. "პისტონზის" MVP პლეი-ოფში სწორედ პრინცი გახდა. ტაიშონმა ბევრი იჩალიჩა იმისთვის, რომ სასტარტო ხუთეულში მოხვედრილიყო. ერთადერთი, რის გამოც მას თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ, ის იყო, რომ გამოცდილება არ ჰქონდა.

პირველად "დეტროიტ პისტონზის" უფროსმა ჯო დუმარსმა მისცა თამაშის საშუალება. ტაიშონ პრინცმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დუმარსის იმედები არ გაეცრუებინა. საქმე ის არის, რომ ჯო დუმარსი ყოველთვის მხარს უჭერდა ახალგაზრდა კალათბურთელებს. სწორედ ამიტომ გააგდეს გუნდიდან რიკ კარლაილი. ასევე ახალგაზრდა კარლაილმა არავითარი შანსი არ მისცა ტაიშონ პრინცს, რომ ამ უკანასკნელს თავისი შესაძლებლობები გამოემჟღავნებინა. დარკო მილიჩიჩიც სწორედ დუმარსის არჩეულია. მისი დამსახურებაა, რომ მილიჩიჩი დღეს დეტროიტელთა შემადგენლობაში თამაშობს. არადა, დეტროიტელები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ კარმელო ენტონისთან, მაგრამ დუმარსმა განაცხადა: "რად გვინდა კარმელო ენტონი? ჩვენ ხომ ტაიშონ პრინცი გვყავს! ის გუნდის ძრავაა, რომელიც არ ჩერდება, უბრალოდ, ცოტა ხნით შეჩერებულია". მართალი იყო დუმარსი - ერთი და იგივე ამპლუის ორი მოთამაშე საჭირო არ იყო, მით უმეტეს, რომ ამოცანას მარტო ტაიშონ პრინციც მშვენივრად ართმევდა თავს. ლარი ბრაუნმა განაცხადა, რომ ტაიშონი მომავალი ვარსკვლავია და ყველა პოტენციური ვარსკვლავის თამაშების მონაწილე. ეს განცხადება მან მაშინ გააკეთა, როდესაც შარშანდელ პლეი-ოფში ტაიშონმა და კომპანიამ მისი "ფილადელფია სევენთისიქსერზი" დაამარცხა. აქედან მოყოლებული, ტაიშონ პრინცზე ფსონებს ჩამოდიოდნენ ცნობილი კალათბურთელები და სპეციალისტები. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ პრინცი უდავოდ დიდი კალათბურთელია და მას ბრწყინვალე მომავალი აქვს.

თუ ტაიშონ პრინცმა ცოტა აგრესიულობას მოუმატა და ორი თანაგუნდელივით - რიპი და ჩონსივით ითამაშა, მაშინ ისინი ერთ-ერთი ყველაზე საშიში გუნდის სახელს მოიხვეჭენ. თუ რეალურად შევხედავთ, ისეთი გუნდები, როგორიც "ლეიკერსი" და "მავერიქსია", რამდენიმე წელიწადში აღარ იქნება - მათი ძირითადი ბირთვი უკვე დაბერებულია და, დიდი-დიდი, კიდევ სამ წელიწადს ითამაშონ. კიდევ ერთი ფაქტორი: ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდები აღარ აფორმებენ მრავალმილიონიან კონტრაქტებს და ხუთ კალათბურთელში არ იხდიან ხუთას მილიონს. ისინი ყიდულობენ ერთ ძლიერ კალათბურთელს, რომელზეც შემდეგ აწყობენ თამაშს. ასეთი გუნდები დღევანდელ ლიგაში ძალიან ბევრია, რომელთა რიცხვშიც შედის ტაიშონ პრინცი და მისი "დეტროიტ პისტონზი".

## TV–სპორტი

**შაბათი. 13 დეკემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 NBA TV - NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1985. პირველი წრე. "DALLAS MAVERICKS " - "PORTLAND TRAILBLAZERS". მე-2 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ფინალი. იაპონია – ბრაზილია
14:55 "ექსპერტიზა"
15:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "მანჩესტერ სიტი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:20 სახვალიო ტელეპროგრამა
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "შტუტგარტი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" – "ბოლტონი"
22:05 საფეხბურთო-იუმორისტული გადაცემა "დარტყმა გოლისთვის"
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" – "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკ" – "რრდ-წგა"
01:30 თავისუფალი დარტყმა
01:45 პორტუგალიის ჩემპიონატი. "სპორტინგი" – "ბოავიშტა"
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1997. პირველი წრე. "WASHINGTON BULLETS" - "CHICAGO BULLS". მე-3 თამაში
06:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV - NBA დღიური

**НТВ+СПОРТ**
10:20 10:20-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 15:00, 18:15, 22:00 პრესცენტრი
11:15, 15:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:50 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი. აშშ. ფინალი
14:25 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. 10კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:25 ტრიატლონი. მსოფლიო თასი პორტუგალიაში
16:15 მაგიდის ჩოგბურთი. "Pro tour Grand Finals" ჩინეთში. წყვილთა ნახევარფინალები
18:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "ORLANDO MAGIC" - "NEW JERSEY NETS"
21:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ტრამპლინი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:25 მაგიდის ჩოგბურთი. "Pro tour Grand Finals" ჩინეთში. ქალები. ერთეულთა ფინალები. წყვილთა ნახევარფინალები. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:40 ტაილანდური კრივი
03:40 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი
04:10 04:10-დან 05:55-მდე შესვენება
05:55 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი. აშშ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი საფრანგეთში
15:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი ჩეხეთში
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
18:30 ბობსლეი. მსოფლიო თასი გერმანიაში
20:00 ზამთრის სპორტი. უქმე დღეები ზამთრის ბაღში
20:15 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ირლანდიაში
21:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
22:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
23:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
23:30 სნოუბორდი. შეჯიბრება ავსტრიაში
00:15 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## "ბოლერო"





საკმაოდ გეგმაზომიერი ადამიანი გახლავართ და მიყვარს, როდესაც ზუსტად ვიცი დღის განრიგი. ამიტომაც, არცთუ ისეთი ხალისით შევხვდი მეგობრისგან თეატრში ჩემს ექსპრომტულ მიპატიჟებას. თეატრში წასვლა ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო, საზეიმო პროცესია და მიყვარს, როდესაც შესაბამისად გამოვიყურები, არ ვარ დაღლილი და უამრავი პრობლემით მოცული. მაგრამ იმ დღეს მაინც მივიღე მიპატიჟება, თუმცა, დაღლილიც ვიყავი, საშინლადაც გამოვიყურებოდი და ნახევარი საათით ადრე რომ გეკითხათ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ჩემს თავს თეატრში.

გადაწყვეტილება კი სპექტაკლის სახელწოდებამ მიმაღებინა - "ბოლერო". მე, ისევე, როგორც ყველა, ვერ ვიქნები გულგრილი მორის რაველის ამ გენიალური ნაწარმოებისადმი და მის მოსასმენად ნებისმიერ სიტუაციაში ვარ მზად. მოკლედ, წავედით ვაკის "სარდაფში", რომელმაც, სხვათა შორის, ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. სცენა სცენას ჰგავს, სკამი - სკამს, ფოიე სიმყუდროვით გამოირჩევა და ბუფეტში კი, კოკა-კოლა დამალევინეს, თანაც, ცივი!

ფოიე სავსე იყო ხალხით, მსახიობებით, პოლიტიკოსებით, ჟურნალისტებით და, ჩემსავით, უბრალოდ, რაველის მოყვარულებით.

საინტერესო, მკაცრი სცენოგრაფიის, ლოკალური განათების ფონზე, სახის საკმაოდ მკაცრი გამომეტყველებით ჩნდება მოცეკვავე თეონა ჩარკვიანი და იწყება "ბოლერო". თეონა ჩარკვიანს პირადად ვიცნობ, ვიცი მისი ოჯახი, ის აურა, სადაც იგი იზრდებოდა და ყალიბდებოდა, ამიტომაც სრულებით არ იყო მოულოდნელი ის კულტურა, რომელიც მის შესრულებაში იგრძნობოდა.

უფრო გასაკვირი ის იყო, რომ სცენოგრაფიიდან დაწყებული, მსახიობ რამაზ ზურაბაშვილის ცეკვით დამთავრებული, ყველაფერში დახვეწილობა, გემოვნება იგრძნობოდა და არანაირი პროვინციალიზმი. ეს კი, დამეთანხმებით, არც ისე ხშირია ჩვენს თეატრებში.

მაგრამ ეს, ეტყობა, პირველ რიგში რაველის დამსახურებაა, რომელმაც თავისი გენიალურობით რეჟისორი გია მარღანია, მხატვარი შოთა გლურჯიძე, შემსრულებლები შესაბამის სიმაღლეზე დააყენა და შედეგად მოგვცა ის, რასაც ნიჭიერი, საინტერესო და, რაც მთავარია, კულტურული სანახაობა ჰქვია.

ყველას გირჩევთ, წახვიდეთ ვაკის "სარდაფში", თანაც ექსპრომტად და ნახოთ "ბოლერო".









## მარიანა აჩბა





მაინც ძალიან წინააღმდეგობებით აღსავსე ქვეყანაა საქართველო და ჩვენც საკმაოდ პარადოქსული ხალხი ვართ, ისეთ კონტრასტებს ვაწყდებით ხოლმე.

სრული მოუვლელობის, ავარიულობის, მიშვებულობის ფონზე, უცებ - ძალიან კარგად მოვლილი, გარემონტებული კონსერვატორია.

უკიდურესად პოლიტიზირებული საზოგადოების ფონზე - ასეთი შოპენიზირებული საზოგადოება, რომლის ერთი ნაწილი კონსერვატორიაში თითქმის არც ერთ კონცერტს არ აცდენს; მეორე ნაწილი კი თითქოს პირველად იყო მოსული.

ასეთი ხმაურიანი და ასეთი სულგანაბული ერი.

ანშლაგი. თითქოს ჩამოსულია სახელგანთქმული ვარსკვლავი.

თუმცა, სცენაზე მართლაც ვარსკვლავი გამოდიოდა, ოღონდ, ამომავალი და თანაც - ჩვენი.

მარიანა აჩბა, 9 წლის, ულამაზესი გოგონა, უნიჭიერესი ბუნებით, დიდი შრომისუნარიანობით, შარმით და მომავლით.

ბევრი შრომაა მარიანაში ჩადებული, ბევრი სითბო და არა მარტო შოპენის ან მოცარტის შესრულების კულტურა, არამედ ზოგადი, შინაგანი, სწორედ ის, რომლის ყველაზე დიდი დეფიციტია დღეს; თორემ, ნიჭით ყოველთვის განებივრებულები ვიყავით და იმედი მაქვს, ვიქნებით.

კონსერვატორიის ულამაზესი მცირე დარბაზი, კეთილღიმილიანი, კონტრასტული საზოგადოება, ნიჭიერი ბავშვი, გენიალური მუსიკა, შესანიშნავი შესრულება და მქუხარე აპლოდისმენტები.

ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს მეც ამ ყველაფრის თანამონაწილე ვიყავი და მომავლის რაღაც განსაკუთრებული იმედით გამოვედი გრიბოედოვის ჩაბნელებულ ქუჩაზე.









# ჩაცმის კულტურაზე

ქართული საზოგადოების, ინტელიგენციის, ხელოვნების წარმომადგენლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული გემოვნებით, ელეგანტურობით, ჩაცმის და ქცევის მანერებით. საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი, მინიმალური შესაძლებლობების ფონზე, უამრავი ლამაზი, შარმიანი, ელეგანტური ქალბატონის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ სიტუაციაში ღირსეულად წარმოადგენდნენ ჩვენს ქვეყანას. მარტო ქალბატონი ნანი ბრეგვაძის ჩაცმულობა, ქალურობა, მანერები და ბუნებრივი შარმი რად ღირს.

სულ სხვა მდგომარეობა იყო ხელისუფლებაში. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ბევრი პოლიტიკური, სამთავრობო, "ელიტარული" თაობა გამოიცვალა. ბევრი მათგანი ქალბატონი გახლდათ და ხელოვანებისაგან, ინტელიგენციისაგან განსხვავებით, ძალიან გამიჭირდება მათი ელეგანტურობის გახსენება.

საბჭოთა პერიოდში ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი პორტრეტი ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილის ან ქალბატონ ნელი გურგენიძის სახით იყო წარმოდგენილი, რომელთა სტილი, ვფიქრობ, კომენტარს არ საჭიროებს. თუმცა, საბჭოთა რეჟიმშიც კი იყო იშვიათი გამონაკლისები. ყველას გვახსოვს ქალბატონი ვიქტორია სირაძე, მისი ქალურობა, თავშეკავებული, მაგრამ ელეგანტური ჩაცმულობა, რბილი საუბრის მანერა და ა.შ.

ბოლო ათწლეულის დემოკრატიულ, დამოუკიდებელ საქართველოში იმატა ქალთა სახეებმა ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, ტელეეკრანებზე, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ელეგანტურობამაც იმატა. საზღვრების გახსნის, საშუალებების გაზრდის მიუხედავად, ხელისუფლებაში ერთეულებია, ვინც იცის თავისი, ან საერთოდ რაიმე სტილი. ვისაც შეუძლია, შესაძლებლობების ფონზე, სწორად შეიძინოს ტანსაცმელი, როგორც ფორმის ან ფერის, ისე ზომის მიხედვითაც კი. ყველაზე უფრო მიკვირს, რატომ ვერ ახერხებენ ზუსტი ზომის შერჩევას. არსებობს S, M, L, XL, XXL, მოკლედ, ყველა გაბარიტზე გათვლილი ტანსაცმელი. თბილისში ყველა კუთხეში იყიდება საშუალო დონის, მაგრამ მაინც მოდის ჟურნალები, უამრავი ინფორმაცია შემოდის მოდის სიახლეებთან და იმასთან დაკავშირებით, ვის როგორ აცვია დღეს მსოფლიოში. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ზოგიერთი ქართველი მანდილოსანი, არ ვიცი, იგნორირებას უწევს მსოფლიო სტანდარტებს, კოსტიუმის ისტორიას და ტრადიციას, თუ, უბრალოდ, გემოვნების, შინაგანი ელეგანტურობის ნაკლებობას განიცდის.

საქართველოს კულტურის მინისტრი (ვერ გამიგია, ექს, თუ არა) რატომღაც იცმევს ერთი-ორი ზომით დიდ კოსტიუმებს, რომლებსაც, მე მგონი, უმეტესად ლონდონში იძენს. ინგლისური სტილი, მეტ-ნაკლებად, ყველამ იცის. ზოგს უხდება და ზოგს კი - კატეგორიულად არა, ზოგს უყვარს და ზოგს - არა, მაგრამ არავინ შემეკამათება, რომ ინგლისური სტილი ნამდვილად არ გულისხმობს სხვის ტანზე შეკერილს. თუ კულტურის მინისტრი "ინგლისურ სტილს" ანიჭებს უპირატესობას, თუნდაც თავისებურ ინტერპრეტაციაში, დეპუტატი ქალბატონი ჩხეიძე, არ ვიცი, რა სტილით იცმევს. ასეთი სტილი კაცობრიობის კოსტიუმების ისტორიას, ეტყობა, ჯერ არც შეუსწავლია. სხვათა შორის, ამით მაინც შეიძლება იყოს საინტერესო დეპუტატი ქალბატონის ჩაცმულობა, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი.

ჩემთვის სრულიად გაუგებარი მდგომარეობაა ქართულ ტელევიზიაშიც. დღეს, როდესაც საკმაოდ რთული ვითარებაა ქვეყანაში და წამყვან ჟურნალისტებს დაძაბული მუშაობა უწევთ, კიდევ უფრო ირთულებენ მდგომარეობას და იმოსებიან ისეთი ტანსაცმლით, სუნთქვის შეკვრამდე რომ უჭერთ და, უბრალოდ, ცოტათი ახრჩობთ კიდეც. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთ წამყვან ჟურნალისტ ქალბატონს სულ სხვა ტონი ექნებოდა და უფრო მშვიდად გაგვესაუბრებოდა ეთერიდან, ასე რომ არ აწუხებდეს თავის მიერვე მაზოხისტურად შერჩეული ტანსაცმელი. დამეთანხმებით, ძალიან დიდი დისკომფორტია, როდესაც რაღაცა სადღაც გქაჩავს, გულზე გაწვება, გზღუდავს. ყოველთვის ვღელავ ხოლმე, პირდაპირ ეთერში წამყვანს რომელიმე ღილი არ აწყდეს.

გასაგებია, რომ უმეტეს ქართულ ტელეკომპანიებს არა აქვთ განსაზღვრული ბიუჯეტში ტელეწამყვანების ჩაცმულობა, მაგრამ ელემენტარული კონტროლი მაინც უნდა არსებობდეს, რადგან ამაზე გადაცემის ხარისხიცაა დამოკიდებული. ამგვარი კონტროლისთვის სრულებით არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება. ყველა ტელევიზიაში უნდა არსებობდეს ერთი კონსულტანტი მაინც, რომელიც გააკონტროლებს და ასწავლის ჟურნალისტებს, როგორ უნდა ეცვათ საინფორმაციო ან საავტორო გადაცემისას, როგორი ინტონაციით უნდა საუბრობდნენ და როგორ პოზაში ისხდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ გადაცემაში წამყვანს ფეხი ფეხზე ისე ჰქონდა გადადებული, რომ მუხლი მაგიდაზე მთასავით იყო აღმართული, ქუსლი კი ერთ-ერთი სტუმრის ცხვირთან ჰქონდა მიტანილი. მესმის წამყვანის ემოციურობისა, მაგრამ ემოცია ემოციად და ამგვარ პოზაში მჯდომ ჟურნალისტს ნამდვილად ვერ ნახავთ ვერც ბიბისი-ზე და ვერც სიენენ-ზე.

საქართველოს I არხს ისეთი გამოსახულება აქვს, რომ, პრინციპში, სულ ერთია, რა აცვიათ ჟურნალისტებს, მაინც ბუნდოვნად ჩანან. ერთადერთი, რაც ანათებს I არხის ეთერს, კოკა ყანდიაშვილის თამამი, ვარდისფერი ჰალსტუხია. სხვათა შორის, ბევრად უკეთესი იქნება, თუ ბატონი კოკა გაუცვლის თავის ვარდისფერ ჰალსტუხს რომელიმე ჟურნალისტ ქალბატონს მათ უზარმაზარ, აშკარად კაცის, მამის ან ბაბუის კისრიდან მოხსნილ დემოდე ჰალსტუხში.

არსებობს ჟურნალები, წიგნები, რომლებშიც ცნობილი პარიზელი ქალები ზუსტად აღწერენ, სად, როდის და როგორ უნდა ეცვას, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, მსახიობი ქალი. როგორ უნდა მოიხვიო შარფი, სად დაიბნიო გულსაბნევი, როგორი საყურე უნდა გეკეთოს დღისით და როგორი - საღამოს. სად შეიძლება უსახელო, მოკლე კაბის ჩაცმა, სად - არა და ა.შ.

ახალაღმოცენებულ დიზაინერ თათა ვარდანაშვილს ცოტა რომ გაეკითხა, ენახა წინა კონკურსების ვიდეოჩანაწერები, დაეთვალიერებინა მოდის ჟურნალები და ნაკლებად ამბიციური ყოფილიყო, მაშინ, ეგებ, არ გამოაწყობდა ქართველ ლამაზმან ირინა ონაშვილს კაფეშანტანის კოკოტკასავით ან ცირკში პუდელების მომთვინიერებელივით და ირინას ბუნებრივი სილამაზე და შარმი დამსახურებულ გამარჯვებას მოიპოვებდა მსოფლიოს სილამაზის კონკურსზე.

მოკლედ, გამოსავალი არსებობს. მთავარია მონდომება და ნაკლები ამბიციურობა.

**P.S.** ირინა სარიშვილმა თავისი ცნობილი მომწვანო ჯემპრი რესპუბლიკის მოედანზეც რომ დაწვას საქვეყნოდ, მაინც ვერ გახდება ვერც ელეგანტური და ვერც ნაკლებად ამბიციური. ამიტომ ქალბატონ ირინას შეუძლია, დრო არ დაკარგოს, თავი არ დაიღალოს და მხოლოდ პოლიტიკური სასწავლო წიგნებით შემოიფარგლოს, რაც მას ნამდვილად უფრო სჭირდება.

## დაბადების დღე









ჩემს გარშემო სულ უფრო და უფრო იშვიათად იხდიან დაბადების დღეებს. ზოგი ასაკს მალავს, ზოგს იმდენი მეგობარი ჰყავს, რომ ვერსად დატევს, ზოგს ფული არა აქვს და ზოგსაც, უბრალოდ, ეზარება.

ამ კვირაში ერთმა ჩემმა ახლო მეგობარმა მეორე მეგობარს თავის სახლში შესთავაზა დაბადების დღის გადახდა და ჩვენც ავიტაცეთ ეს იდეა. ძალიან მოგვენატრა დაბადების დღეები. დიდი, ლამაზი სახლი, გემრიელი სუფრა, ყველა ერთმანეთის ახლობელი და, რაც მთავარია, კარაოკე!

მღეროდა ყველა, სმენიანი და უსმენო (პირველ რიგში ჩემს თავს ვგულისხმობ). ვიცინეთ, ვიმხიარულეთ, ერთმანეთი ვნახეთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც გვიჭორავია, არც პოლიტიკაზე გვილაპარაკია და არც ტრადიციული ტორტი გვქონია.

ერთადერთი, რაც ყოველთვის უცვლელია თბილისურ დაბადების დღეებზე - ყველანი შავებში ვიყავით გამოწყობილნი.



# მშენებლობა ინგლისურად


პიტერ გებრიელი

პიტერ გებრიელმა სასამართლოში უჩივლა სამშენებლო კომპანიას, რომელიც 12 წელიწადია, თურმე სახლს აშენებს მუსიკოსისთვის. გებრიელის სარჩელი შეფასებულია მილიონნახევარ ამერიკულ დოლარად. მშენებლობა ლონდონის პრესტიჟულ რაიონში – ნოთინგ ჰილში მიმდინარეობს. სწორედ იქაა 53 წლის მუსიკოსის სამფლობელო, რომლის ცენტრალური ნაწილის (სადაც განთავსებულია ხმისჩამწერი სტუდია, მედიტაციური ცენტრი და აუზი) გადაკეთებაც 12 წელიწადი დაუჯდა გებრიელს. რატომღაც, ეს ამოცანა მეტად რთული შესასრულებელი აღმოჩნდა ბრიტანელი მშენებლებისთვის.

მთელ ამ ისტორიას მუსიკოსმა კოშმარი უწოდა. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარე კომენტარებისგან თავს იკავებს.

# რობი თვითშეფასების ასაკშია


რობი ვილიამსი

"ავსტრალიაში გამართული სამი შოუ ჩემი კარიერის გარკვეულ ნაწილს დაასრულებს, - უთხრა რობი ვილიამსმა ერთ-ერთ ავსტრალიელ ჟურნალისტს, - რაც არ უნდა გავაკეთო მომავალში, ეს აუცილებლად განსხვავებული იქნება. 15 წელიწადი ვიყავი ბოიბენდის წევრი, მერე – კაბარეს მომღერალი-მსახიობი რობი ვილიამსი. მე მქონდა საკმაო დრო, მომეფიქრებინა, რა მსურს მომავალში. 30 თებერვალს 30 წელი შემისრულდება. ამ ასაკში რა თქმა უნდა, კარგად აფასებ ადამიანი, ვინ ხარ საერთოდ". მუსიკოსმა დაამატა, რომ შესაძლოა, მისი ახალი მუსიკა ნაკლებად კომერციული იყოს.

# ქორწილი კუნძულზე


ნატალია იმბრულია

დეკემბერში ნატალია იმბრულია თხოვდება. ავსტრალიელი ლამაზმანის რჩეული მისი დიდი ხნის მეგობარი დენიელ ჯონსია. სტუმრებმა უკვე მიიღეს მიწვევა, მაგრამ უსაფრთხოებისთვის, საზეიმო ჯვრისწერის ადგილი არ ხმაურდება. მიწვევასთან ერთად, იმბრულიას ახლობლებმა მიიღეს გაფრთხილება, თან იქონიონ სამი დღის საკმარისი საზაფხულო ტანსაცმელი. ამ ცნობის საფუძველზე, დასავლელმა ჟურნალისტებმა უკვე გაავრცელეს, რომ იმბრულიას ქორწილი რომელიმე კუნძულზე შედგება.

# ბრიტნი ისევ კინოშია


ბრიტნი სპირსი

ბრიტნი სპირსის სამსახიობო კარიერა წარმატებით გრძელდება. პოპვარსკვლავს ამჯერად შესთავაზეს მონაწილეობა მიიღოს ფილმში Carry On, სადაც იგი ფილმის მთავარი გმირის მომხიბლავი ქალიშვილის როლს შეასრულებს. შესაძლოა, კინოსურათში მონაწილეობა მიიღოს პოლ მაკარტნიმაც; ცენტრალურ სიმღერას ამ ფილმისთვის კი ის ნამდვილად წერს.

ამას გარდა, ძალიან მალე გამოვა ეკრანებზე ავტორბოლებზე გადაღებული ფილმი სახელწოდებით - Trading Paint, ასევე ბრიტნი სპირსის მონაწილეობით. კიდევ ერთი: როგორც იქნა, ბრიტნიმ გადაწყვიტა, რომ მისი მეორე სინგლი იქნება სიმღერა Toxic.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

13 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "განდგომილი" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ. ფილმი "მფრინავი ჰოლანდიელი". რეჟ. იოს სტერლინგი. **02.20** მხ.ფილმი "გამოსასყიდი". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, რენე რუსო.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.50** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი" **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. სერიალი "ორიენტირი" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი" **16.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **22.00** ფორტუნა **22.40** პროფათეული **23.15** ამბობენ **00.05** მხ. ფილმი "ფორსაიტების საგა" მე-17-18ს. **01.15** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ფლირტი მხეცთან" მთ. რ-ში ეშლი ჯადი, ჰიუ ჯეკამანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "დინების საწინააღმდეგოდ" მთ. რ-ში ჯეფრი რაში, ჯუდი დევისი. **01.50** "ღამურა" მხ. ფილმი "გემი-მოჩვენება" მთ. რ-შიგებრიელ ბირნი, ჯულიანი მარგულისი. **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "პატარა ქალთევზა" **10.35** საბ. სერიალი "სამყაროს შექმნა" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 19.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.30** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **18.10** სერიალი "შტრაუსების დინასტია" **20.20** მხ. ფილმი "მრისხანების მართვა" **22.20** მხ. ფილმი "შავი ქორი" **00.30** მზის სერენადა. მადონა

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** წარსულის ტერიტორია **22.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.45** მხ. ფილმი "ბედის შემოქმედი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მილიონის ღირებულების ოპერაცია" **13.30** მხ. ფილმი "შურისგების ანგელოზი" **15.00** მხ.ფილმი "ტალღის ქიმზე" **17.00** მხ.ფილმი "შოკოლადი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "გლადიატორი" **00.20** მხ. ფილმი "მიზერი"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "წაიკითხე ტუჩებზე" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ანგელოზთა საოცნებო ცხოვრება" **02.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.20** მხ. ფილმი "არმაგედონი" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "დაუმთავრებელი წერილები" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" მე-8ს. **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15, 12.25, 14.50, 20.50, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი "უფლისწული და მათხოვარი" 1-ლი ნ. **10.45** მხ. ფილმი "ნორჩი დონჟუანი" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** "თემა" **15.15** მხ. ფილმი "ქალბატონი ჯულია" **17.05** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია: ბოსტონი-ტორონტო **18.30** ერთხელ ჰოლივუდში **19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "არჩევანი", "შუშის ნამსხვრევი" **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი" **10.45** მუსიკა **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი "რეკრუტი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი "რეკრუტი" (გაგრძ) **14.20** მუსიკა **14.30** კომედია "ქაღალდის ჯარისკაცები" **16.20** მულტფილმი "ბოსტნეულთა ისტორია" **17.45** მუსიკა **18.05** დოკუმენტური ფილმი **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "ჭიტა-ჭიტა" **19.40** კომედია "შანჰაის რაინდები" **21.35, 00.40, 05.50** მუსიკა **21.55** "ბუხარი" **23.00** "Слово" **23.30** დოკუმენტური ფილმი **01.00** მელოდრამა "შეყვარებული შექსპირი" **03.40** მხატვრული ფილმი "გამოსასყიდი"

### VII არხი

**18.10** მობილურები **18.30** მელოდია **19.00** "აჩიკუდა **19.20** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** "ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.10** მელოდია **22.00** კომპიუტერული ტექნიკა **22.35** "კინოკლუბი " - "ლოს-ანჯელესის საიდუმლოებები". თრილერი. რეჟისორი: კერტის ჯენსონი. როლებში: ქევინ სპეისი, კიმ ბესინჯერი

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Олег Табаков в фильме "Транссибирский экспресс" 09.00** Детский сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Александра Маринина. Львов" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Звери: Внутренний мир" **14.15** Умницы и умники **15.00** Дисней-клуб: "Мышиный дом" **15.20** "Путешествия натуралиста" **15.50 Игорь Бочкин в детективе "Барханов и его телохранитель" 18.10** экстремальное шоу "Трюкачи" **19.20** Песня года. Зима **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25** Последний герой **23.30** "Золотой Граммофон" **00.30 Аль Пачино в фильме "Крестный отец-3" 03.30 Боевик Брайана Де Пальмы "Военные потери" 05.20 Женские тайны в фильме "Любовное письмо"**

### РТР

**06.50 Комедия "ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ" 08.15** Киноистории Глеба Скороходова. **08.25 Сериал "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА" 08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.35** "Том и Джерри". Мультсериал **10.00** Большая перемена. **10.20** Результаты голосования - "Народный артист - Ваш выбор!" **10.45** Утренняя почта. **11.20** "Не скуЧАЙ!" **12.20** Сам себе режиссер. **13.15** Крутой маршрут - Юг. **14.15** Клуб сенаторов. **15.00** Вести. **15.20 Светлана Дружинина в комедии "ЗА ВИТРИНОЙ УНИВЕРМАГА" 17.00** "ХА". Маленькие комедии. **17.15** Иосиф Кобзон, Тамара Гвердцители, Владимир Девятов и другие в концерте памяти Майи Кристалинской. **19.00 Дидье Фламан и Ив Ренье в комедии "БОЛЬШАЯ ГОНКА" 21.00** Вести. **21.25** Михаил Задорнов представляет: "Юрмалина-2003". 2-я ч. **23.45 Любовь Полищук, Нина Усатова в комедии "КАДРИЛЬ" 01.30 Жерар Депардье, Кароль Буке в фильме "БЛАНШ" 03.30** Антонио Бандерас, Гленн Клоуз в концерте Эндрю Ллойда Уэббера.

### НТВ

**07.20 Боевик "ОГОНЬ ИЗ ПРЕИСПОДНЕЙ" 09.00, 13.00, 17.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.25** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Балаган Лимитед - Мадава. **11.55** Квартирный вопрос: зоопарк в детской. **12.55** Спорт "Лотто 6 из 49". **13.20** "Дикий мир: столица крыс". Экспедиция Тимофея Баженова. **14.05 Александр Лыков в комедии "РАЗБОРЧИВЫЙ ЖЕНИХ" 16.05** Своя игра. **17.20** Алсу. Новая история. "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **17.55 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: КАЛЕЙДОСКОП". 1 с. 19.05** Галина Волчек в фильме "Своевременная женщина" **20.00** "Личный вклад". **21.00 Антонио Бандерас в комедии "ДВОЕ - ЭТО СЛИШКОМ" 23.30 Блокбастер Егора Кончаловского "АНТИКИЛЛЕР". 01.55** Ночные музы. **02.10** "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **02.40** Просто цирк. **03.10** Про дизайн. **03.35 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# მუსიკა მასებისთვის



ნენსი სინატრა

11 წლიანი დაგეგმარების შემდეგ, როგორც იქნა შემუშავდა აშშ-ში ნაციონალური მუსიკალური ცენტრისა და მუზეუმის გეგმა. ეს ყველაფერი კი ხუთი წლის შემდეგ განხორციელდება.

"საზეიმო გახნის ცერემონიალი 2008-ში გაიმართება", - ამბობს მომღერალი ნენსი სინატრა, რომელიც ამ პროექტში 1998 წლიდან, მამის გარდაცვალებისთანავე საკმაოდ აქტიურად ჩაერთო. სხვათა შორის, პროექტის იდეას ფრენკ სინატრაც დიდი ენთუზიაზმით შეხვდა.

ცენტრის შესაქმნელად გათვალისწინებულია 200 მილიონი ამერიკული დოლარის ბიუჯეტი. დღეისათვის მხოლოდ 5 მილიონია შეგროვებული, თუმცა, ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ თანხის მოძიება პრობლემა არ იქნება.

საგანგებოდ პროექტზე მუშაობს საბჭო, სადაც საკმაოდ ცნობილი ადამიანები – ამერიკელი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები არიან შეკრებილნი. მათ შორისაა: სენატორი ბობი დოილი, "ვაშინგტონ პოსტის" დირექტორთა საბჭოს წევრი დონალდ გრემი; პროექტში ჩართულია ამერიკელი პროდიუსერი ქუინსი ჯონსი.

მუზეუმში იქნება ექსპოზიციები, რომლებიც ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებს მიეძღვნებათ, როგორებიც არიან: ფრენკ სინატრა, ლუი არმსტრონგი, ელა ფიცჯერალდი და სხვები.

# მეორე საიდუმლო ქორწილი



ელვის კორტელო და დაიან კრალი

გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ "ქოლდფლეის" ლიდერი, კრის მარტინი საიდუმლოდ დაოჯახდა; რომ მან გვინეტ პელტროუსთან ხელი სანტა ბარბარაში მოაწერა და რომ ისინი ბავშვს ზაფხულში ელოდებიან.

გუშინვე კიდევ ერთი საიდუმლო ქორწინების შესახებ გახდა ცნობილი. შაბათს, 6 დეკემბერს ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა ელვის კოსტელომ კანადელ ჯაზ-მომღერალზე დაიან კრალზე იქორწინა და ამის შესახებ პრესას მხოლოდ გუშინ ამცნო. 150-კაციანი საზეიმო ცერემონიალი ელნტონ ჯონის კუთვნილ რეზიდენციაში ჩატარებულა და სტუმრებს შორის სერ პოლ მაკარტნიც ყოფილა.

49 წლის კოსტელო მანამდე ორჯერ იყო დაქორწინებული. ბოლოს მისი მეუღლე ირლანდიური პანკ-ფოლკ ჯგუფის Pogues-ის მომღერალი ქეით ო`რიორდანი იყო. კრალს კი კოსტელო შარშან, ნიუ იორკში "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე შეხვდა. სხვათა შორის, იმ საღამოს კრალმა მომავალ მეუღლესთან ერთად "გრემიც" მოიპოვა. მანამდე კი მან მაყურებელს თავისი 1998 წლის ალბომით When I Look in Your Eyes-ით შეაყვარა თავი.

# დიდი პოეტი დიდი პოეტების ქვეყნიდან



გონსალო რობანსი

სერვანტესის სახელობის ესპანეთის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი ჩილელი პოეტი გონსალო როხასი გახდა. ჟიურის თავმჯდომარის თქმით, "როხასი გახლავთ პოეტი, რომელმაც თავისი ინდივიდუალური სამყაროს შექმნა შეძლო". დაჯილდოებული პოეტი კი სიხარულს ასე გამოხატავდა: "ბედნიერი ვარ, მაგრამ მგონია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პრიზის მიღებას არ ვიმსახურებდი".

როხასმა წერა 1930-იან წლებში დაიწყო და იმავე პერიოდში, ჩილეში სიურეალისტთა დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ლექსების პირველი კრებული 1948 წელს გამოსცა, 1998 წელს კი ოქტავიო პასის სახელობის პრიზით დაჯილდოვდა პოეზიასა და ესეისტიკაში. მაშინ, ჟიურის წევრებმა თქვეს, რომ როხასი "დიდი პოეტია დიდი პოეტების ქვეყნიდან".

რაც შეეხება სერვანტესის სახელობის პრიზს, მას ხშირად ესპანურენოვან ნობელსაც უწოდებენ. საპრიზო ფონდი 90 ათასი ევროს შეადგენს. ჯილდო 1976 წელს ესპანეთის კულტურის სამინისტრომ დააარსა ესპანელი ან სამხრეთ ამერიკელი მწერლებისა და პოეტებისთვის. წინა წლების გამარჯვებულებს შორის ცნობილი პერუელი მწერალი მარიო ვარგას ლიოსა და კუბელი გილერმო კაბრერა იფანტეც გახლავთ.

# კოვერდეილი კოლეგებს აკრიტიკებს



დევიდ კოვერდეილი

დევიდ კოვერდეილმა მკაცრად გააკრიტიკა ყოფილი კოლეგები და პარტნიორები: ბერნი მარდენი, მიკი მუდი, ნილ მიურერი, ტონი მარტინი, ჯიმი კოპლი და მარკ სტენუეი. როგორც ცნობილია, ეს მუსიკოსები გაერთიანდნენ ჯგუფში, რომელსაც უწოდეს M3, ხოლო ქვესათაურად იყენებენ Classic Whitesnake-ს. მუსიკოსები ამზადებენ ალბომს, სადაც მხოლოდ კოვერდეილის შექმნილი ჯგუფის Whitesnake-ის კომპოზიციები შევა.

"სამი წელიწადი Deep Purple-ში ვიყავი, დავწერე საკმაოდ ბევრი კომპოზიცია, მაგრამ მე ეს არ მაძლევს უფლებას, Deep Purple საკუთარ ჯგუფად მოვიხსენიო. აქ არაა საუბარი სიმღერების შესრულების უფლებაზე. მათ შეუძლიათ დაუკრან Whitesnake-ის მუსიკა, მაგრამ არ აქვთ უფლება, საკუთარ თავს Whitesnake უწოდონ", - ასე ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ცნობილი როკ-მუსიკოსი დევიდ კოვერდეილი.














## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.